დიალექტიკური მატერიალიზმი

განაკვეთი შედგენილი პროფ. ვ. გოგიბერიძის მიერ.

მასალა დალაგებულია კრესტომატიული წესით მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის, ლენინის და სტალინის ნაწერების მიხედვით

კრებული პირველი

შესავალი და თემა: მატერიალიზმი და იდეალიზმი

ტფილისი.
სახელმწიფო გამომცემლობა 1933 სასწ. პედაგოგიური სექტორი

ა. ფ. მიასნიკოვის სახ. სტამბა გამ. „ხარია ვოსტოკა“

შეკ. 2054. მთავლ. 1897. ტირ. 3000

წინასიტყვაობა.

დაუსწრებელი პედინსტიტუტისათვის შედგენილი განაკვეთების განმარტებითი ბარათში ჩვენ წამოვაყენეთ მოთხოვნილება, რათა დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესწავლა დაყრდნობილი ყოფილიყო მარქსიზმის კლასიკოსების გაცნობაზე: „არავითარ სახელმძღვანელოს არ შეუძლია — ვწერდით ჩვენ იქ — მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ნაწერების მაგივრობის გაწევა". ეს დებულება ურყევია დღემდე და განაკვეთები მომავალშიაც ამ პრინციპის მიხედვით შედგება. მაგრამ როგორც გამოირკვა სტუდენტების წერილებიდან ამ პრინციპის განხორციელებას წინ აღუდგა ძნელად გადასალახავი ხელის შემშლელი პირობები. ეს არის საჭირო ლიტერატურის უქონლობა ადგილებზე. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ინსტიტუტის დირექციასთან ერთად ჩვენ გადავწყვიტეთ ინსტიტუტის სტუდენტობისათვის ქრესტომატიული წესით შეკრებილი მასალა მიგვეწოდებია. როგორც ყველა სხვა ქრესტომატიული მასალას ისე წინამდებარესაც, რასაკვირველია, დამხმარე სახელმძღვანელოს ადგილი შეუძლია დაიჭიროს და არა ძირითადის, ამიტომ სტუდენტი, რომელიც იფიქრებს, რომ ეს ქრესტომატიული განაკვეთები მას გაანთავისუფლებს მარქსის, ენგელსის, ლენინის, თუ სტალინის ამა თუ იმ ნაწარმოების მთლიანად წაკითხვისაგან, მიზანს ვერ მიაღწევს და დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიის საფუძვლიანი შესწავლას ვერ უზრუნველჰყოფს.

მასალის შეკრების დროს ძნელი საკითხი იყო, თუ ვინ და რა უნდა შესულიყო ამ კრებულში. ეს გარეშეობა

დაკავშირებულია უძირითადეს საკითხთან; როგორ უზრუნველვყოთ ამ ქრესტომატიულ მასალებში ლენინური ეტაპი მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებისა და როგორ გამოვხატოთ ორ ფრონტზე ბრძოლა ფილოსოფიაში? სათანადო მოფიქრებისა და მსჯელობის შემდეგ ჩვენ გადავსწყვიტეთ ქრესტომატიული დავალებები შეგვედგინა ხუთი ავტორის მიხედვით ე. ი. მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის, ლენინის და სტალინის. გაგებული და საქმით დაინტერესებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ლენინური ეტაპი და ლენინი, როგორც ფილოსოფოსი. ძალიან რელიეფურათ არის წარმოდგენილი. იქ უფრო ძნელი საკითხი აღმოჩნდა, თუ როგორ მოვქცეოდით პლეხანოვს. არავის ისე ნათლად და კარგათ არ აღუნიშნავს პლეხანოვის ფილოსოფიური ნააზრევის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე, როგორც ლენინმა აღნიშნა. ჩვენ შევეცადეთ ლენინის გზას გავყოლოდით. პლეხანოვს შეცდომები აქვს, ჩვენ მოგვყავს იგი მისი შეცდომებით. მაგრამ გვერდით ვათავსებთ ლენინის კრიტიკულ შენიშვნებს მის წინააღმდეგ, ხშირათ ლენინი პლეხანოვის შეცდომებს ასწორებს პლეხანოვის სახელის დასახელების გარეშე. საუცხოო მაგალითს ასეთი შემთხვევისათვის მკითხველი ნახავს ამ კრებულის პირველი თემის („ძატერიალიზმი და იდეალიზმი") პირველსავე დავალებაში. ჩვენ ავიღეთ ძირითადი საკითხი რა არის ძატერია? როგორ ესმის ის პლეხანოვს, როგორ ლენინს? პლეხანოვის შეხედულება ავიღეთ მისი ცნობილი პოლემიკიდან ედ ბერნშტაინის წინააღმდეგ (იხ. სტატია: „მატერიალისტები მატერიის ცნების შესახებ"). რევიზიონისტი ბერნშტაინის ხელიდან პლეხანოვი სამართლიანად იცავს მატერიალიზმს და მატერიის ცნებას, მაგრამ ამ დაცვას თვით აკლია აზრის რევოლუციური გამოკვეთილობა, საკითხისადმი ამოწურულად დიალექტიკური მიდგომა. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ პლეხანოვი თვით იმყოფება მე-XVIII საუკუნის დიდი ფრანგი მატერიალისტების გავლენის ქვეშ, ე. ი. მექანიკური მატერიალიზმის გავ-

ლენის ქვეშ. ახლა აიღეთ და შეადარეთ თქვენ ლენინის სტატია („მატერიის ეგზისტენციალური რაობა") მისი წიგნიდან: („მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"). ლენინი დაყრდნობით ბუნების მეტყველების უკანასკნელ მიღწევებზე იშვიათი დიალექტიკური გამჭრიახობით, გარეშე ყოველივე კომპრომისისა მექანიკურ მატერიალიზმთან მიჯნავს მატერიის ფილოსოფიურ გაგებას მისი ბუნებისმეტყველური შინაარსისგან. ამით ლენინი საბოლოოდ მატერიალისტური დიალექტიკის მოთხოვნილების თანახმად ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელ განმარტებას იძლევა მატერიის ცნებისა, ასწორებს პლეხანოვის კომპრომისს და შეცდომებს და იძლევა ნიმუშს იმისა, თუ როგორ დამუშავდა ეს საფუძველმდებელი პრობლემა ლენინურ ეტაპზე, აი ეს არის ერთ-ერთი ნიმუში პლეხანოვის ფილოსოფიური კომპრომისების და შეცდომების გასწორებისა ლენინის მიერ პლეხანოვის სახელის დასახელების გარეშე.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ე.ი. საკითხს ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ ფილოსოფიაში — მექანისტების და მომენშევიკო იდეალიზმის წინააღმდეგ — აქ დამაკმაყოფილებელი მასალის მოძებნა ურო ძნელი აღმოჩნდა. მაგრამ ამ ნაკლს გამოასწორებს ჩვენი უკანასკნელი დავალება, რომელშიაც მოცემული იქნება ყველა სადირექტივო დადგენილება, ინსტრუქცია და რეზოლიუციები მიღებული სათანადო ორგანიზაციების და მებრძოლ მატერიალისტ - დიალექტიკოსთა საზოგადოების მიერ.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ სახით შერჩეული მასალა დახმარებას გაუწევს დაუსწრ. პედ. ინსტ. მსმენელებს და თავის დანიშნულებას შეასრულებს, მიუხედავათ ამისა კრებულს აუცილებლად ბევრი ნაკლი ექნება. შემდგენი სიამოვნებით მიიღებს ყველა მითითებას და რჩევას ნაკლის და შეცდომების გასასწორებლად მიმართულს და შეეცდება მათ გამოყენებას შემდეგი დავალების შედგენის დროს.

ტფილისი 17/III 1932

შესავალი.

ფრ. ენგელსი.

1. კ. მარქსის ისტორიული მნიშვნელობა.

სიტყვა წარმოთქმული მარქსის
საფლავზე 17 მარტს 1883 წ.

14 მარტს, სამს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ჩვენი დროის უდიდეს მოაზროვნემ შეწყვიტა აზროვნება. ჩვენ იგი მხოლოდ ორის-წუთით დავსტოვეთ და როდესაც დავბრუნდით, იგი დაგვხვდა სავარძელში მძინარე — მძინარე სამარადისო ძილით.

შეუძლებელია განსაზღვრა იმისა, თუ რა დაჰკარგა ამ კაცის სიკვდილით ევროპისა და ამერიკის მებრძოლმა პროლეტარიატმა, რა დაჰკარგა საისტორიო მეცნიერებამ, მაგრამ მალე ვიგრძნობთ იმ საშინელ სიცარიელეს, რაიც ამ ტიტანის სიკვდილის შემდეგ დარჩა.

როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანიული ქვეყნის განვითარების კანონი, ისე მარქსმა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი აღმოაჩინა. მან აღმოაჩინა მარტივი ფაქტი, რომელიც მანამდე მიჩქმალული იყო იდეოლოგიურ მოსაზრებათა სამოსელში, რომ ადამიანებმა პირველ ყოვლისა უნდა იზრუნონ საქმელზე, სასმელზე, საცხოვრებელ ბინაზე და ტანისამოსზე და მხოლოდ შემდეგ აწარმოონ პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია და სხვა, რომ, მაშასადამე არსებობის პირდაპირი მატერიალური პირობების წარმოება და ამასთან ერთად ამა თუ იმ ხალხის ან ამა თუ იმ ისტორიული ხანის ეკონომიური განვითარების შესაფერი საფეხური განსაზღვრულ მომენტში შეადგენს საფუძველს, საიდა-

ნაც ვითარდებიან შესაფერი ეპოქის სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით ადამიანთა რელიგიური წარმოდგენები და რომლიდანაც უნდა გამოვიდოდეთ ყველა ამ მოვლენის ახსნის საქმეში, — მათში პოულობენ ისინი თავის ახსნას არა პირიქით, როგორც აქამდე ეგონათ.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მარქსმა აღმოაჩინა აგრეთვე სპეციალური კანონი წარმოების ახლანდელი კაპიტალისტური წესის და მისგან წარმოშობილი ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებისა. ზედმეტ ღირებულების აღმოჩენამ ამ საკითხებში ერთბაშათ შეიტანა ნათელი მაშინ, როდესაც ყველა წინანდელი მკვლევარი — სულ ერთია, ბურჟუაზიული ეკონომისტი იყო იგი თუ კრიტიკოს სოციალისტი—ბნელში დაეხეტებოდა. ორი ასეთი აღმოჩენა საკმარისია ერთი ადამიანის ცხოვრებისთვის. უკვე ბედნიერია ისიც, ვინც ერთს ასეთს აღმოჩენას მოახერხებს. მაგრამ ყოველ დარგში, სადაც მარქსი მუშაობდა — იგი კი მრავალ დარგში მუშაობდა და არც ერთს ზერელედ არ ეპყრობოდა—მათემატიკის დარგშიაც კი მან დამოუკიდებელი აღმოჩენა მოგვცა.

ასეთი იყო იგი როგორც მეცნიერი. მაგრამ ეს მისი მოღვაწეობის ნახევარსაც კი არ შეადგენდა. მარქსისთვის მეცნიერება იყო ისტორიულად მამოძრავებული, რევოლუციური ძალა, მას განუსაზღვრელ სიხარულს გვრიდა ყოველი აღმოჩენა რომელსაც თეორიულ დარგში, რომლის პრაქტიკულად გამოყენების გათვალისწინებაც თითქმის ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. მაგრამ სულ სხვა იყო სიხარული ისეთ აღმოჩენათა გამო, რომელსაც მრეწველობასა და, საერთოდ ისტორიულ განვითარებაში რევოლუცია შექონდა. მაგალითად იგი გულდასმით ადევნებდა თვალყურს აღმოჩენათა საქმის წარმოებას ელექტრობის დარგში, ხოლო უკანასკნელ ხანებში კი თვალყურს ადევნებდა მარკ დეპრეს ცდებს.

მაგრამ მარქსი, უპირველესად ყოვლისა, რევოლუციონერი იყო. მისი სიცოცხლის ნამდვილი მოწოდება იყო—ამა თუ იმ საშუალებით ხელის შეწყობა კაპიტალისტური საზოგადოების და მის მიერ შექმნილ სახელმწიფო დაწესებულებათა დამხობისათვის, ხელის შეწყობა თანამედროვე პროლეტარიატის განთავისუფლების საქმისთვის, რომელსაც პირველად მან შთაბერა შეგნება საკუთარი მდგომარეობისა და საკუთარი განთავისუფლების პირობებისა. ბრძოლა მისი სტიქიონი იყო, და იგიც იბრძოდა გატაცებით, დაჟინებით ისეთის წარმატებით, როგორიც ცოტას ღირსებია. პირველი „რეინის გაზეთი" 1842 წ. პარიზის „ფორვერტსი" 1844 წ., ბრიუსელის „გერმანული გაზეთი„ 1847 წ., „რეინის ახალი გაზეთი" 1848-49 წ. წ., „ნიუორკის ტრიბუნა" 1852—61 წ. წ., და გარდა ამისა, მრავალი საბრძოლო ბროშურა, მუშაობა პარიზის, ლონდონის და ბრიუსელის ორგანიზაციებში, ვიდრე ყველაფერი დაგვირგვინდა დიდ „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობით",—აი შედეგი მისი მუშაობისა, ეს კი იმდენი რამ არის, რასაც შეეძლო მისი გული სიამაყით აღეესო, თუნდაც მას სხვა არაფერი გაეკეთებინოს.

სწორეთ ამიტომ იყო მარქსი თავის დროის ყველაზე საძულველი ადამიანი, რომელსაც ათასგვარ ცილსა სწამებ დენ. მას აძევებდენ თავის სამფლობელოებიდან როგორც მონარქისტული, ისე რესპუბლიკანური მთავრობები, მისი სახელის გატეხაში ერთმანეთს ასწრობდა ყველა, კონსერვატიული თუ უკიდურესად დემოკრატიული ბურჟუა. იგი, როგორც ობობას ქსელს, ისე იშორებდა გზიდან ყველაფერ ამას, ყურადღება არავის აქცევდა და პასუხს იძლეოდა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს: და იგი მიიცვალა პატივცემული, საყვარელი, დაპირებული მრავალი მილიონი რევოლიუციონერი მუშისაგან, რომელნიც გაფანტული არიან მთელი მსოფლიოში, ციმბირის მაღაროებიდან მოყოლებული ვიდრე ევროპამდე, ევროპიდან ვიდრე ამერიკასა და კალიფორნიამდე. და თამა-

მად შეშიძლია ვთქვა: მას ჰყავდა ბევრი მოწინააღმდეგე, მაგრამ არ ჰყოლია არც ერთი პირადი მტერი.

მისი სახელი და მისი შრომა იცოცხლებს საუკუნეთა განმავლობაში.

3. ლენინი.

მარქსიზმის სამი წყარო, სამი შემადგენელი ნაწილი.

მარქსის მოძღვრება უდიდეს მტრობასა და სიძულვილს იწვევს განათლებული ქვეყნების ბურჟუაზიული (როგორც ოფიციალურ, ისე ლიბერალურ) მეცნიერების მხრივ, რომელიც მარქსიზმში რაღაც „მავნე სექტას" ხედავს, სხვანაირი დამოკიდებულება მოსალოდნელიც არ არის, ვინაიდან კლასობრივ ბრძოლაზე აგებულ საზოგადოებაში, არ შეიძლება არსებობდეს „მიუდგომელი" სოციალური მეცნიერება, ასეა თუ ისე, მთელი ოფიციალური და ლიბერალური მეცნიერება იცავს დაქირავებულ მონობას, მარქსიზმა კი ულმობელი ომი გამოუცხადა ამ მონობას. დაქირავებულ მონობის საზოგადოებაში მიუდგომელი მეცნიერების ძებნა ისეთივე უგუნური გულუბრყვილობაა, როგორც იმის ფიქრი, რომ მეფაბრიკე მიუდგომლობას გამოიჩენს საკითხში, უნდა გაუდიდდეს თუ არა მუშებს ხელფასი კაპიტალის მოგების ხარჯზე.

მაგრამ ეს ცოტაა. ფილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერების ისტორია სრულ სიცხადით გვაჩვენებს, რომ მარქსიზმში არაფერია „სექტანტობის" მსგავსი, თუ სექტანტობას გავიგებთ როგორც დახავსებულ კარჩაკეტილ მოძღვრებას, რომელიც წარმოშობილა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების დიდი გზის გარეშე. პირიქით, მარქსის მთელი გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან გასცა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც უკვე წამოაყენა კაცობრიობის მოწინავე აზრმა, მისი მოძღვრება წარმოიშვა, როგორც ფილოსოფიის,

პოლიტიკურ ეკონომიის და სოციალიზმის უდიდეს წარ-
მომადგენლების პირდაპირი და უშუალო გაგრძელება.

მარქსის მოძღვრება ყოველთვის შემძლეა, რადგან ის სწორია. ის სრული და მწყობრია და აძლევს ადამიანს მთლიან მსოფლმხედველობას, რომელიც არ ურიგდება არავითარ ცრუმორწმუნეობას. არავითარ რეაქციას, არავითარ დაცვას ბურჟუზიულ ჩაგვრისას. კანონიერი მემკვიდრე ყველაფერზე უკეთესისა, რაც შეუქმნია კაცობრიობას მე-19 საუკუნეში გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიისა და ფრანგული სოციალიზმის სახით.

აი მარქსიზმის ამ სამ წყაროზე, რომლებიც იმავე დროს მისი შემადგენელი ნაწილებიც არიან, შევჩერდებით ცოტა ხნით.

I.

მარქსიზმის ფილოსოფია არის მატერიალიზმი ევროპის მთელი უახლოესი ისტორიის განმავლობაში, განსაკუთრებით კი მე-18 საუკუნის დასასრულს საფრანგეთში, სადაც მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა საშუალო საუკუნოების დახავსებულ ნაშთებთან დაწესებულებასა და იდეებში გაბატონებულ ბატონყმობასთან, მატერიალიზმი აღმოჩნდა ერთად - ერთი თანამიმდევნო ფილოსოფია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა შოძღვრება და ერთგულიც და ცრუმორწმუნოებისა და ფარისევლობის მტერიც. ამიტომ დემოკრატიის მტრები მთელი თავიანთი ძალ-ღონით სცდილობდენ დაერღვიათ, ძირი გამოეთხაროთ, ცილი დაეწამებიათ მატერიალიზმისათვის და იცავდენ იმ ფილოსოფიური იდეალიზმის სხვა დასხვა ფორმებს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ასე თუ ისე გამოიხატება რელიგიის დაცვასა ან მხარის დაჭერაში.

მარქსი და ენგელსი თავგამოდებით იცავდენ ფილოსოფიურ მატერიალიზმს და მრავალჯერ განუმარტავთ მატერიალიზმის საფუძვლიდან ყოველგვარი გადახრის სრული მიუღებლობა და შეცდომა. მათი აზრი ამ საგანზე უფრო ნათლად და დაწვრილებით გამოთქმულია ენგელსის თხზულებაში: „ლუდვიგ ფეიერბახი“ და

„ანტი—დიურინგი“, რომელნიც—„კომუნისტური მანიფესტის“ მსგავსად—სახელმძღვანელო წიგნებია ყოველი შეგნებული მუშისათვის.

მაგრამ მარქსი შეჩერებულა მე-18 საუკუნის მატერიალიზმზე, არამედ მან წინ წასწია ფილოსოფია. მან გაამდიდრა ის გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მონაპოვრებით, განსაკუთრებით ჰეგელის სისტემით, რომელმაც თავის მხრივ მიგვიყვანა ფეიერბახის მატერიალიზმამდე. მთავარ ამ მონაპოვართაგანი დიალექტიკაა, ე.ი. მოძღვრება განვითარების შესახებ მისი უფრო სრული, ღრმა და ცალმხრივობიდან თავისუფალი სახით მოძღვრება ადამიანის ცოდნის რელატივობის შესახებ, რომელიც იძლევა მხოლოდ მუდმივად განვითარების პროცესში მყოფ მატერიის ანასახს. ბუნებისმეტყველების უახლოესმა აღმოჩენებმა — რადიმ, ელექტრონებმა, ელემენტების გარდაქმნამ — შესანიშნავად დაადასტურეს მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი, იმ ბურჟუაზიული ფილოსოფოსების მოძღვრებათა წინააღმდეგ, რომელიც „ხელახლა“ უკუიქცევიან ძველი და დახავსებული იდეალიზმისაკენ.

გააღრმავა და გაანვითარა რა ფილოსოფიური მატერიალიზმი, მარქსმა იგი ბოლომდი მიიყვანა და ბუნების ფილოსოფიურ - მატერიალისტურ გაგება ადამიანთა საზოგადოების გაგებაზე გაავრცელა. მარქსის ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერული აზრის უდიდესი მონაპოვარია. ქაოსი და თვითნებობა, რომლებიც აქამდე მეფობდენ შეხედულებებში ისტორიაზე და პოლიტიკაზე, შეიცვალენ გასაოცარი მწყობრი და მთლიანი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვაჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობრიდან, საწარმოო ძალთა ზრდის გამო, მეორე უფრო მაღალი წყობა: მაგალითად, ბატონყმობიდან აღმოცენდება ხოლმე კაპიტალიზმი.

სწორედ ისე, როგორც ადამიანის შემეცნება არის მისგან დამოუკიდებლად არსებული ბუნების, ე.ი. განვი-

თარების პროცესში მყოფ მატერიის ასახვა, ისევე ადამიანის საზოგადოებრივი შემეცნება, (ე.ი. სხვადასხვა გვარი ფილოსოფიური, სარწმუნებრივი, პოლიტიკური და სხვა შეხედულებანი და მოძღვრებანი) —საზოგადოების ეკონომიური წყობილების ანარეკლია. პოლიტიკური დაწესებულება ეკონომიური საფუძვლის ზედნაშენია. ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, თუ როგორ ემსახურებიან თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების სხვადასხვა პოლიტიკური ფორმები პროლეტარიატზე ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებას.

მარქსის ფილოსოფია დამთავრებული მატერიალისტური ფილოსოფიაა, რომელმაც შემეცნების საუკეთესო იარაღი მისცა კაცობრიობას საზოგადოთ. ხოლო მუშათა კლასს კი განსაკუთრებით.

II

შეიგნო რა, რომ ეკონომიური წყობილება ის საფუძველია, რომელზედაც აღმართულია პოლიტიკური ზედნაშენი, მარქსმა ყველაზე უფრო მეტი ყურადღება ამ ეკონომიური წყობილების შესწავლას მიაქცია. მარქსის მთავარი შრომა „კაპიტალი" შეიცავს თანამედროვე, ე.ი. კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური წყობილების შესწავლას.

მარქსამდე არსებული კლასიკური პოლიტიკური ეკონომია შეიქმნა ინგლისში — ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ადამ სმიტი და დავით რიკარდო, იკვლევდენ რა ეკონომიურ წყობილებას, საფუძველი ჩაუყარეს **შრომითი ღირებულების თეორიას.** მარქსმა განაგრძო მათი საქმე, მან მტკიცედ დაასაბუთა და თანამიმდევრობით განავითარი ეს თეორია. მან გვაჩვენა რომ ყოველგვარი საქონლის ღირებულება განისაზღვრება საზოგადოებრივად საჭირო სამუშაო დროის რაოდენობით, რომელიც საქონლის წარმოებაზე იხარჯება.

იქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები საგნების ურთიერობას ხედავდენ (საქონლის გაცვლა საქონელზე), იქ მარქსმა აღმოაჩინა **ურთიერთობა ადამიანთა შორის**

საქონლის გაცვლა - გამოცვლა გამოხატავს კავშირს ცალკე მწარმოებელთა შორის ბაზრის მეშვეობით. ფულ ი ნიშნავს იმას, რომ ეს კავშირი სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება და ცალკე მწარმოებლების მთელ სამეურნეო ცხოვრებას აერთიანებს. კაპიტალი ამ კავშირის შემდგომ განვითარებას ნიშნავს: საქონლად იქცევა ადამიანის სამუშაო ძალა. დაქირავებული მუშა ჰყიდის თავის სამუშაო ძალას მიწის, ფაბრიკის და შრომის იარაღების მფლობელზე. სამუშაო დღის ერთ ნაწილს მუშა იყენებს იმაზე, რომ დაჰფაროს თავისი ოჯახის შესანახი ხარჯები „სამუშაო ხელფასი", ხოლო სამუშაო დღის მეორე ნაწილის განმავლობაში მუქთად შრომობს და კაპიტალისტისათვის ზედმეტ ღირებულებას ქმნის, მოგების წყაროს, კაპიტალისტთა კლასის სიმდიდრის წყაროს.

მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ—მარქსის ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედია.

მუშის შრომით შექმნილი კაპიტალი მუშასვე ავიწროებს, ანადგურებს წვრილ მწარმოებელს და უმუშევართა ამით ჰქმნის. მრეწველობაში მსხვილი მწარმოებლის გამარჯვება ადვილი დასანახავია, მაგრამ იმავე მოვლენას ვხედავთ ჩვენ მიწათმოქმედებაშიც: მსხვილი კაპიტალისტური მიწათმოქმედების უპირატესობა მატულობს, იზრდება მანქანების გამოყენება. საგლეხო მეურნეობა ებმება ფულადი კაპიტალის მახეში, ეცემა და ნადგურდება ჩამორჩენილ ტექნიკის წყალობით. თუმცა მიწადმოქმედებაში წვრილი წარმოების დაცემის ფორმები სხვანაირია, მაგრამ თვით მისი დაცემა უდაო ფაქტია.

ამარცხებს რა წვრილ წარმოებას, კაპიტალი ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამავე დროს მონოპოლიურ მდგომარეობას ჰქმნის უსხვილეს კაპიტალისტთა კავშირებისათვის. თვით წარმოება სულ უფრო საზოგადოებრივი ხდება. მრავალი ასი ათასი და მილიონი მუშა ერთ გეგმაშეზომილ სამეურნეო ორგანიზმში კავშირდება, ხოლო საერთო შრომის პროდუქტს ითვისებს ერთი მუჭა კაპიტალისტები. იზრდება წარმოების ანარქია, კრიზისე-

ბი, ბაზრების გაშმაგებული ძებნა, გაჭირვება და სიღატაკე მოსახლეობის მასებისათვის.

აძლიერებს რა მუშების დამოკიდებულებას კაპიტალისაგან, კაპიტალისტური წყობილება გაერთიანებული შრომის უდიდეს ძალას ჰქმნის.

მარქსმა გამოიკვლია კაპიტალიზმის განვითარება დაწყებული საქონლის მეურნეობის პირველი ჩანასახიდან, მარტივი გაცვლა - გამოცვლიდან ვიდრე მის უმაღლეს ფორმებამდე, მსხვილ წარმოებამდე.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყნის, როგორც ახალის, ისე ძველის გამოცდილება წლიდან – წლამდე თვალსაჩინოთ ხდის მუშების უფრო და უფრო დიდი რიცხვისათვის მარქსის ამ მოძღვრების სისწორეს.

კაპიტალიზმმა მთელ ქვეყანაზე მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ შესავალია შრომის გამარჯვებისა კაპიტალზე.

როდესაც ბატონყმობა დამხობილი იქნა და ქვეყანაზე „თავისუფალი" კაპიტალისტური საზოგადოება გაჩნდა უცებ გამოაშკარავდა, რომ ეს თავისუფლება მშრომელთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ახალ სისტემას მოასწავებს, დაუყოვნებლივ იწყო წარმოშობა სხვადასხვა სოციალისტურმა მოძღვრებმა, როგორც ამ ჩაგვრის ანარეკლმა და პროტესტმა მის წინააღმდეგ. მაგრამ პირველ. დაწყებითი სოციალიზმი უტოპიური სოციალიზმი იყო. ის აკრიტიკებდა კაპიტალისტურ საზოგადოებას, ჰკიცხავდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა მას, ოცნებობდა მის მოსპობაზე და უკეთეს წყობილებაზე, არწმუნებდა მდიდრებს რომ ექსპლოატაცია უზნეობაა.

მაგრამ უტოპიურ სოციალიზმს არ შეეძლო ნამდვილი გამოსავალის ჩვენება. მას არ შეეძლო კაპიტალიზმის დროს დაქირავებულ მონობის წინაარსის ახსნა, არც მისი განვითარების კანონების აღმოჩენა, არც იმ საზოგადოებრივი ძალის გამონახვა, რომელსაც უნარი შესწევს ახალი საზოგადოების შემომქმედი შეიქნეს.

ამავე დროს რევოლუციური ქარიშხალი, რომელიც თან სდევდა ფეოდალიზმსა, და ბატონყმობის დამხობას ყველგან ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში, სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოს ხდიდა მთელი განვითარების საფუძველს და მის მამოძრავებელ ძალას - **კლასთა ბრძოლას.**

არსად პოლიტიკურ თავისუფლებას მებატონეთა კლასზე არ გაუმარჯვია გაშმაგებული წინააღმდეგობის გარეშე. არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა არ აშენებულა ცოტათ თუ ბევრათ თავისუფალ დემოკრატიულ საფუძველზე გარეშე სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლისა, კაპიტალისტურ საზოგადოების სხვადასხვა კლასთა შორის.

მარქსის გენიალობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ყველაზე ადრე შესძლო აქედან გამოეტანა და თანმიმდევრობით გაეტარებია ის დასკვნა, რომელსაც გვასწავლის მსოფლიო ისტორია. ეს დასკვნა არის მოძღვრება კლასთა ბრძოლის შესახებ.

ადამიანები პოლიტიკაში ყოველთვის იყვნენ და ყოველთვის იქნებიან მოტყუებისა და თვით მოტყუების უგუნური მსხვერპლი, სანამ ისინი იმდენად არ განვითარდებიან, რომ შესძლებენ ყოველგვარ ზნეობრივ, სარწმუნოებრივ, პოლიტიკურ, სოციალურს განცხადებებში, ფრაზებში, დაპირებებში ეძიონ ამათუიმ კლასის **ინტერესები.** რეფორმის და გაუმჯობესების მომხრეებს ყოველთვის ძველის დამცველები გააბრიყვებენ, სანამ არ შეიგნებენ, რომ ყოველგვარი ძველი დაწესებულება, რაგინდ უცნაურად და დახავსებულად არ გვეჩვენებოდეს იგი, არსებობს ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ კლასების ძალთა მეოხებით და კლასთა წინააღმდეგობის დასაძლევად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: უნდა თვით ჩვენ საზოგადოებაში გამოინახოს, გაწითლდეს და ბრძოლისათვის დაირაზმოს ისეთი ძალები, რომელთაც შეძლება ექნებათ და თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით

იძულებულიც იქნებიან შეადგინონ ის ძალა, რომელიც ძველს აღგვის და ახალს შეჰქმნის.

მხოლოდ მარქსის ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა უჩვენა პროლეტარიატს გამოსავალი სულიერ მონობიდან, რომელშიაც დღემდი გაყინული იყვნენ დაჩაგრული კლასები, მხოლოდ მარქსის ეკონომიურმა თეორიამ გააშუქა **პროლეტარიატის ნამდვილი** მდგომარეობა კაპიტალისტურ წყობილებაში.

(იხ. ვ. ლენინი. „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი" თხზულ. — კრებული. ტ. 12).

გ. პლეხანოვი.

3. მარქსიზმი, როგორც მთლიანი მსოფლმხედველობა.

მარქსიზმი, ეს მთელი მსოფლმხედველობაა. მოკლედ, ეს თანამედროვე მატერიალიზმია, რაც დღეს წარმოადგენს მსოფლიოზე იმ შეხედულების განვითარების უმაღლეს საფეხურს, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში დემოკრიტის და რამოდენიმედ მის წინამორბედ იონიელ მოაზრეთა მიერ: ე.წ. ჰილოძოიზმი იგივეა, რაც გულუბრყვილო მატერიალიზმი. უდიდესი ღვაწლი თანამედროვე მატერიალიზმის შემუშავებაში უთუოდ კარლ მარქსს და მის მეგობარს ფრიდრიხ ენგელსს ეკუთვნით. ამ მსოფლმხედველობის ისტორიული და ეკონომიური მხარე, ე.ი. ეგრეთწოდებული ისტორიული მატერიალიზმი და მასთან მჭიდრო დაკავშირებული შეხედულებათა ერთობლიობა პოლიტიკური ეკონომიის ამოცანებზე, მეთოდსა და კათეგორიებზე და საზოგადოების განსაკუთრებით კაპიტალისტური საზოგადოების, ეკონომიურ განვითარებაზე — არსებითად თითქმის მარტო მარქსისა და ენგელსის საქმეს წარმოადგენს. ის, რაც ამ დარგებში მათმა წინამორბედებმა შეიტანეს, განხილულ უნდა იქნას მხოლოდ როგორც მოსამზადებელი

მუშაობა მასალის დასაგროვებლად; ეს დიდ-ძალი და ძვირფასი მასალა იყო. მაგრამ აკლდა სისტემატიური დალაგება, არ იყო გაშუქებული ერთი ზოგადი აზრით, ამიტომ არც შეფასებული და გამოყენებული იყო თავისი ნამდვილი მნიშვნელობით. ის, რაც გააკეთეს იმავე დარგებში მარქსისა და ენგელსის ევროპიელმა მიმდევრებმა, წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ, ხშირად მართლაც მეტად მნიშვნელოვანს საკითხთა ცოტად თუ ბევრად მოხერხებულ და მარჯვე დამუშავებას. აი ამიტომ არა მარტო „ფართო საზოგადოებაში", რომელიც ჯერ არასოდეს არ მომწიფებულა ფილოსოფიურ მოძღვრებათა ღრმა შეგნებისათვის, არამედ იმათშიაც კი, ვინც მარქსისა და ენგელსის ერთეულ მიმდევრებად თვლიან თავს, როგორც რუსეთში ისე მთელს განათლებულ მსოფლიოში. „მარქსიზმის" სახელწოდებით ხშირად აღნიშნავენ სახელდობრ თანამედროვე მატერიალისტური მსოფლმხედველობის მხოლოდ ამ ორს, ჩვენ მიერ აღნიშნულ მხარეს. ეს ორი მხარე ასეთს შემთხვევაში იშინჯება როგორც „ფილოსოფიურ მატერიალიზმისაგან" სრულიად დამოუკიდებელი და თითქმის მისი საპირდაპირო რამე.

ხოლო რადგანაც ეს ორი მხარე, თვითნებისად ამოგლეჯილი თავის მონათესავე და თეორიული დასაბუთების შემცველ შეხედულებათა ზოგადი ერთობიდან, ჰაერში გამოკიდებული ვერ დარჩება, ამიტომ იმათ, ვინც ამ ამოგლეჯის ოპერაციას ახდენენ, ბუნებრივად ებადებათ მოთხოვნილება ხელახლა „დაასაბუთონ მარქსიზმი", შეუერთონ იგი, — ისევ სრულიად თვითნებისად და უფრო ხშირად ბურჟუაზიის იდეოლოგებში გამეფებული ფილოსოფიური სულისკვეთების გავლენით, — ამა თუ იმ ფილოსოფოსს: კანტს, მახს, ავენარიუსს, ოსტვალდს, უკანასკნელ დროს იოსებ დიცგენსაც კი. მართალია ი. დიცგენის ფილოსოფიური შეხედულება წარმოიშვა სრულიად დამოუკიდებლად ბურჟუაზიულ გავლენათაგან და დიდათაც ენათესავება იგი მარქს-ენგელსის ფილოსოფი-

ურ მსოფლიო მხედველობას, მაგრამ უკანასკნელი გაცილებით უფრო სრული, ჩამოყალიბებული და მდიდარია შინაარსით და მარტო ამიტომაც შეუძლებელია იგი შევსებულ იქნეს დიცგენის მოძღვრებით, — დიცგენის მოძღვრების საშუალებით შესაძლებელია რამოდენიმედ მისი პოპულიარიზაცია მხოლოდ. ჯერ არ უცდიათ „მარქსის შევსება“ მხოლოდ თომა აქვინელით. მაგრამ შეუძლებელი არაფერია იმაში, თუ მიუხედავად პაპის უკანასკნელი ენციკლიკისა მოდერნისტების წინააღმდეგ — კათოლიკური ქვეყანა როდესმე წამოაყენებს თავის წრიდან ისეთს მოაზრეს, რომელიც ამ თეორეტიულ გმირობას ჩაიდენს.

(იხ. პლეხანოვი: „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“)

3. ლენინი.

4. მარქსიზმი როგორც პროლეტარიატის კლასობრივი მსოფლმხედველობა. თეორიის როლი

ა) მარქსის თეორიის მნიშვნელობა.

(მარქსიზმის თეორიამ) პირველად გადააქცია სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად, დაამყარა ამ მეცნიერების მტკიცე საფუძველი და აღნიშნა გზა, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმე, რომ განვითარდეს ეს მეცნიერება და დამუშავდეს იგი ყოველ მის წვრილმანებში. მან აღმოაჩინა თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის არსება, ახსნა თუ რა სახით მუშის დაქირავებაში, სამუშაო ძალის ყიდვაში, იფარება ერთი მუჭა კაპიტალისტების, მიწის, ფაბრიკის, მაღაროების და სხვათა მფლობელების მიერ მილიონ არაფრის მქონე ხალხის დამონავება. მან გვაჩვენა თუ როგორ მიისწრაფის თანამედროვე კაპიტალიზმის მთელი განვითარება წვრილ წარმოებათა გამსხვილებისაკენ, როგორ ჰქმნის პირობებს, რომლებიც შექმნილი არიან საზოგადოების სოციალისტუ-

რად მოწყობის შესაძლებლობის და აუცილებლობის. მან გვასწავლა ძველი ზნე-ჩვეულების, პოლიტიკური ინტრიგებისა, ბრძნული კანონებისა და მლიქვნელ ეშმაკურ მოძღვრებათა ქვეშ დანახვა კლასთა ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს ყოველგვარი სახეობის მქონებელ კლასებისა და არა მქონებელ მასას—პროლეტარიატს შორის, რომელიც დგას ყველა არა მქონებელთა სათავეში. მან ამოხსნა რევოლიუციონურ სოციალისტური პარტიის ნამდვილი ამოცანა: არა საზოგადოების გარდაქმნის გეგმების შეთხზვა, არა ქადაგება კაპიტალისტებსა და მათ მაჩანჩალებთან მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, არა მოწყობა შეთქმულების არამედ პროლეტარიატის კლასთა ბრძოლის ორგანიზაცია და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობა, რომლის საბოლოო მიზანია პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობა და სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია. (ის „ჩვენი პროგრამა“ თხზ. ტ. 2.)

ბ) მარქსის თეორიის აუცილებლობა.

იმ დაჩაგრული კლასის უდიდესი განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიოში, რომელიც ამასთანავე ისტორიაში ყველაზე რევოლუციონური კლასია, არ შეიძლება რევოლუციური თეორიის გარეშე. ამ თეორიის გამოგონება შეუძლებელია, ის უნდა აღმოცენებულიყო ყველა ქვეყნის მთლიანი რევოლუციური გამოცდილებისა და რეველუციონურ აზრიდან და ასეთი თეორია აღმოცენდა კიდეც მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. მას მარქსიზმი ეწოდება. არ შეიძლება ვინმემ სოციალისტობა დაიჩემოს, არ შეიძლება ვინმემ რევოლუციონური სოციალ—დემოკრატობა დაიჩემოს, თუ შეძლებისა და გვარად მონაწილეობას არ იღებს ამ თეორიის დამუშავებასა და გამოყენებაში, ხოლო ჩვენს დროში — პლეხანოვის, კაუცკის და ძმათა მათთა მიერ ამ თეორიის დამახინჯებასთან დაუზოგველ ბრძოლაში.

(ვ. ლენინი „ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა“ თხზულ. 18. ტ.).

დ) თეორიის როლი რევოლუციურ მოძრაობაში.

რევოლუციურ თეორიის გარეშე არ შეიძლება რევოლუციური მოძრაობა. შეუძლებელია ხაზგასმით არ ავღნიშნოთ ეს აზრი ისეთ დროს, როცა ოპპორტუნიზმის მოდური ქადაგება თავის მოხვევი პრაქტიკული მოქმედების უვიწროვეს ფორმებსაც კი. მაგრამ თეორიის მნიშვნელობა რუსეთის სოციალ - დემოკრატებისათვის ძლიერდება კიდევ სამი გარემოებით, რომლებსაც ხშირად ივიწყებენ ხოლმე, სახელდობრ: ისე რომ ჩვენი პარტია ჯერ მხოლოდ ყალიბდება. ჯერ მხოლოდ იმუშავებს თავის ფიზიონომიას და ჯერ კიდევ შორსაა რევოლუციური აზრის სხვა მიმართულებებთან ანგარიშის გასწორებამდე, რომლებიც ემუქრებიან მას მოძრაობის სწორი გზიდან გადაცდენით, პირიქით სწორედ ბოლო დრო აღინიშნა (როგორც დიდიხანია უკვე უწინასწარმეტყველა აქსელროდმა ეკონომისტებს) არა სოციალ - დემოკრატიულ რევოლუციურ მიმართულებათა გამოცოცხლებით—პირველ შეხედვით ასეთ პირობებში „უმნიშვნელო შეცდომას შეუძლია გამოიწვიოს მეტად სამწუხარო შედეგები და მხოლოდ ბევრ ადამიანს შეუძლია არა დროულად ან ზედმეტად ჩასთვალოს ფრაქციული დავა და განსხვავებათა მკაცრი გარჩევა, ამა თუ იმ „განსხვავების“ განმტკიცებისაგან შეიძლება დამოკიდებული იყოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავალი მრავალ წლებისათვის.

მეორე, სოციალ - დემოკრატიული მოძრაობა თავის საკუთარი არსებით საერთაშორისოა. ეს ნიშნავს, არა მხოლოდ იმას, რომ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ნაციონალურ შოვინიზმთან, ეს ნიშნავს კიდევ იმას, რომ ახალ მხარეში დაწყებული მოძრაობა ნაყოფიერი იქნება მხოლოდ სხვა მხარეთა გამოცდილების გათვალისწინებით.

მაგრამ ასეთი შეთვისებისათვის არაა საკმარისი გამოცდილებათა უბრალო გაცნობა ან უკანასკნელი რეზოლუციების უბრალო გადმოწერა. ამისათვის აუცილებელია ამ გამოცდილებისადმი კრიტიკულად მიდგომის უნარი და დამოუკიდებლად მისი შემოწმება. ვინც მხოლოდ წარმოიდგენს თუ როგორ გიგანტიურად გაიზარდა და განშტოვდა თანამედროვე მუშათა მოძრაობა, ის მიხვდება, თუ თეორიულ ძალთა და პოლიტიკურ (და აგრეთვე რევოლუციონურ) გამოცდილებათა რა მარაგია აუცილებელი ამ ამოცანის შესრულებისათვის.

მესამე, რუსეთის სოციალ - დემოკრატიის ნაციონალური ამოცანები ასეთია, როგორიც არ ყოფილა ის არც ერთ სოციალისტური პარტიის წინ. ჩვენ ქვეყნად მოგვიწევს ლაპარაკი იმ პოლიტიკური და ორგანიზაციულ მოვალეობაზე, რომელსაც გვაკისრებს მთელი ხალხის თვით მპყრობელობის უღლიდან განთავისუფლების ამოცანა. ეხლა კი ჩვენ გვსურს იმაზე მიუთითოთ, რომ მოწინავე მებრძოლის როლს შეასრულებს მხოლოდ პარტია, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. მაგრამ რამოდენიმედ კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მკითხველმა ოუ რას ნიშნავს ეს,—მან მოიგონოს რუსეთის სოციალ - დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი როგორც ჰერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იან წლების რევოლუციონერებს ბრწყინვალე პლეადა იყო. დეე, იფიქროს იმ მსოფლიო მნიშვნელობაზე, რომელიც ეხლა რუსეთის ლიტერატურამ მოიპოვა, დეე... მაგრამ ესეც კმარა.

3) ენგელსის შენიშვნები თეორიის მნიშვნელობაზე 1875 წლის მუშათა მოძრაობაში.

ენგელსი იცნობს სოციალ - დემოკრატიის დიადი ბრძოლის არა ორ ფორმას (პოლიტიკურს და ეკონომიურს), როგორც ეს ჩვენშია მიღებული, —არამედ სამს ე. ი. მათ რიგში ათავსებს თეორიულ ბრძოლასაც. მისი ღარი-

გება პრაქტიკულად გამაგრებულ გერმანიის მუშათა მოძრაობისადმი ისეთი შთაგონებელია თანამედროვე საკითხებისა და ატეხილი დავის თვალსაზრისით ისეთი, მნიშვნელოვანია, რომ მკითხველი, იმედია არ გვისაყვედურებს გრძელი ამონაწერისათვის, რომელსაც მოვიყვანთ მისი ბროშურის წინასიტყვაობიდან Der Deutche Bauernkrieg— (ეს ბროშურა დიდი ხანია უკვე დიდ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.)

„გერმანელ მუშებს აქვთ ორი არსებითი უპირატესობა დანარჩენი ევროპის მუშების მიმართ. პირველი — ის, რომ ისინი ეკუთვნიან ყველაზე უფრო თეორეტიულ ხალხს ევროპაში და რომ ისინი ინახავენ თავისში, იმ თეორეტიულ აზრს, რომელიც თითქმის სრულებით დაუკარგავთ ე. წ. „განათლებულ“ კლასებს გერმანიაში მის წინ არსებულ გერმანული ფილოსოფიის გარეშე, განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიის გარეშე არასდროს არ შეიქმნებოდა გერმანული მეცნიერული სოციალიზმი, —ერთადერთი მეცნიერული სოციალიზმი, რომელიც ოდესმე კი არსებობდა. თეორეტიული აზრის გარეშე ეს მეცნიერული სოციალიზმი არასოდეს არ შეეიდა მუშების სისხლში და ხორცში, როგორც ამას ახლა ჩვენ ვხედავთ. თუ როგორ წარმოუდგენლად დიდია ეს უპირატესობა,—ამას აჩვენებს, ერთი მხრივ ის გულგრილობა ყოველგვარი თეორიისადმი, რომელიც წრმოადგენს ერთ იმ მთავარ მიზეზთაგანს, რომ ინგლისის მუშათა მოძრაობა ასე ნელა მიიწევს წინ მიუხედავად ცალკე პროფესიათა კარგი ორგანიზაციისა, და მეორე მხრივ ამას გვიჩვენებს ის არევ-დარევა, რომელიც ლათესა პრდუდონიზმმა, მის პირველ დასაწყისის ფორმით ფრანგებთან და ბელგიელებთან; მის ბაკუნინის მიერ მიცემულ კარიკატურული სახით,—ესპანელებთან და იტალიელებთან.

„მეორე უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ გერმანელებმა მონაწილეობა მიიღეს მუშათა მოძრაობაში თითქმის ყველაზე გვიან. როგორც გერმანული თეო-

რიული სოციალიზმი არასოდეს არ ივიწყებს, რომ ის-
დგას სამი მოაზროვნის – სენსიმონის, ფურიესა და ოუ-
ნის ეხრებზე. რომლებიც, მიუხედავად მათი მოძღვრე-
ბის ფანტასტიკურებისა ეკუთვნიან უდიდეს მოაზროვ-
ნეთ ყველა დროისა და რომლებმაც გენიალურად განს-
ჭვრიტეს აურაცხელი სიმრავლე ისეთ ჭეშმარიტებათა
რომელთა სისწორეს ჩვენ ეხლა მეცნიერულად ვამტკი-
ცებთ, — ასე გერმანულ პრაქტიკულ მუშათა მოძრაობამ
არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ ის ინგლისურ და
ფრანგულ მოძრაობის მხრებზე განვითარდა, რომ მას მიე
ცა შესაძლებლობა ულბრალოდ გამოეყენებია ძვირად ნა-
სყიდი მათი გამოცდილება, და აიცილოს ეხლა მათი შე-
ცდომები, რომელთა აცდენა უმრავლეს შემთხვევაში მა-
შინ შეუძლებელი იყო. სად ვიქნებოდით ეხლა ჩვენ ინ-
გლისის ტრედუნიონების და ფრანგული მუშათა პოლი-
ტიკური ბრძოლის მაგალითების გარეშე, იმ კოლოსალუ-
რი ბიძგის გარეშე, რომელიც მოგვცა განსაკუთრებით
პარიზის კომუნამ.

„სიმართლე უნდა ითქვას გერმანულ მუშებზე რომ
მათ იშვიათი უნარით ისარგებლეს თავიანთი მდგომა-
რეობით. პირველად იქედან რაც კი მუშათა მოძრაობა
არსებობს, ბრძოლა მიმდინარეობს გვგმაშეწონილად. შე-
თანხმებული და შეკავშირებულ სამივე მიმართულებით.
თეორეტიულით, პოლიტკურით და პრაქტიკულ-ეკონო-
მიურით: (კაპიტალისტებისადმი წინააღმდეგობა). ამ. ასე
ვთქვათ. კონცენტრიულ თავდასხმაშია სწორედ გერმა-
ნული მოძრობის ძალა და შეუპოვრობა.

„ერთი მხრივ მათი ამ ხელსაყრელ მდგომარეობის შიდე
გად, მეორე მხრივ ინგლისის მოძრაობის კუნძულებრი-
ვი თავისებურების გამო და ფრანგების მთავრობის ძალ-
დატანებითი დაკვმით, გერმანიის მუშები დგანან ამ მო
მენტში პროლეტარული ბრძოლის სათავეში. მდგომარეო-
ბა თუ რამდენ ხანს მისცემს საშუალებას მათ ამ საპატიო
საგუშაგოზე ყოფნისას. ამის წინასწარ თქმა არ შეიძლე-
ბა. მაგრამ სანამდი ისინი აქ იქნებიან, უნდა ვიფიქროთ.

რომ როგორც შეეფერებათ, ისე შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამისათვის საჭიროა გაორკეცებითი დაძაბვა ძალისა ბრძოლის და აგიტაციის ყველა სფეროში. ბელადთა განსაკუთრებული მოვალეობა იქნება ის, რომ უფრო მეტად და მეტად გაიწრთვნებიან ყველა თეორიულ საკითხებზე, რომ უფრო მეტად და მეტად განთავისუფლდენ ტრადიციის გავლენისაგან, რომელიც ძველმსოფლმხედველობას და ძველ ფრაზებს ეკუთვნოდა და მუდამ მხედველობაში იქონიონ, რომ სოციალიზმი, რაც შეიქმნა მეცნიერებად, მოითხოვს. რომ მას მოეკიდონ როგორც მეცნიერებას ე.ი. უნდა შეისწავლონ იგი. ამგვარად შეძენილი გათვითცნობიერებული შეგნება აუცილებლად გავრცელებულ უნდა იქნეს მუშათა მასაში უფრო და უფრო გულისყურით და უფრო უნდა განმტკიცდეს პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები.

...თუ გერმანელი მუშები ამგვარად წინ იცლიან, ძაშინ ისინი იქნებიან—არა მოძრაობის მეთაურები—ეს სრულებითაც არ შეადგენს მოძრაობის ინტერესს, რომ მუშები რომელიმე ნაციისა წინამძღოლობდეს მას, არამედ დაიჭერენ საპატიო ადგილს მებრძოლთა რიგებში; და ისინი ყოველმხრივ მზათ იქნებიან იმ შემთხვევისათვის, თუ უეცარი მძიმე განსაცდელი ან დიდი გარემოებანი მოთხოვენ მათგან უძლიერესს ვაჟკაცობას, უფრო მეტ გამბედაობას და ენერგიას".

(იხ. „რა ვაკეთოთ". თხზულ. ტომი 4):

ზ) თეორიის და პრაქტიკის ერთიანობა.

სოციალ - დემოკრატების თეორიული მუშაობის აუცილებლობის მნიშვნელობის და სიდიადის ხაზგასმით მე სრულიადაც არ მინდა იმის თქმა, რომ ეს მუშაობა პირველ ადგილას უნდა იყოს პრაქტიკული მუშაობის

წინაშე*)-მით უმეტეს იმისი თქმა, რომ გადაიდვას პირველის გათავებამდე. ასე შეუძლიათ დაასკვნან მხოლოდ „სოციოლოგიაში სუბიექტიური მეთოდის“ თაყვანისცემლებს და უტოპიური სოციალიზმის ბიჭდევრებს. რასაკვირ, ველია თუ სოციალისტების ამოცანა მდგომარეობს იმაში-რომ ვეძიოთ ქვეყნის „სხვა (არა ნამდვილი) განვითარების გზები“ მაშინ ბუნებრივია, რომ პრაქტიკული მუშაობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ როცა გენიალური ფილოსოფოსები ამ „ახალ გზებს“ აღმოაჩენენ და გვიჩვენებენ; და პირიქით: თუ ეს გზები აღმოჩენილი და ნაჩვენებია —თავდება თეორეტიული მუშაობა და იწყება მათი მუშაობა, ვინც „სამშობლო“ ახლად „აღმოჩენილი“, „სხვა გვარი გზებით“ უნდა წაიყვანოს. საქმე სულ სხვაგვარადაა, როცა სოციალისტების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარიატის იდეურ ხელმძღვანელებათ იქცენ მის ნამდვილ ბრძოლაში არსებულ ნამდვილ მტრების წინააღმდეგ, რომელნიც მოცემულ საზოგადოებრივ - ეკონომიური განვითარების ნამდვილი გზაზე დგანან. ასეთ პირობებში თეორეტიკული და პრაქტიკული მუშაობა ერთიანდება ერთ მუშაობაში, რომელიც ასე შესამჩნევად დახასიათებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ვეტერან ლიბკნეხტის სიტყვებით. Studieren propagandieren, organisieren — ვისწავლოთ, პროპაგანდას ვეწიოთ, ორგანიზაცია ვაშენოთ.

შეუძლებელი იყო იდეური ხელმძღვანელი ზემო აღნიშნულ თეორეტიულ მუშაობის გარეშე, როგორც შეუძლებელია ამ მუშაობის მიმართვა საქმის მოთხოვნის

---

*) პირიქით პირველ რიგში ყოველთვის პრაქტიკული მუშაობა, პროპაგანდა და აგიტაცია უნდა იდგეს. ეს უპირველეს ეს ყოველისა იმიტომ, რომ თეორიული მუშაობა პასუხს იძლევა პრაქტიკის მიერ დასულ საკითხებზე, მეორეს მარივ იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატია. ითისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ხშირად იძულებულია მარტო თეორიული მუშაობა აწარმოოს და ძალიან შორს არის იქიდან, რომ ვერ შეაფასოს ძვირფასი მომენტი, როცა შესაძლებელი ხდება პრაქტიკული მუშაობა.

მიხედვით, თუ ამ თეორიის რეზულტატები მუშებს შორის არ იქნა პროპაგანდა ქმნილი და მათ ორგანიზაციას დახმარება არ გაეწია.

ამოცანის ასეთი დაყენება უხრუნველყოფს სოციალ-დემოკრატიას იმ ნაკლებისაგან, რომელთაგანაც ასე იტანჯებიან სოციალისტების ჯგუფები — დოგმატიზმისა და სექტანტობისაგან.

არ შეიძლება დოგმატიზმი იქ, სადაც დოქტრინის მაღალ და ერთადერთ კრიტერიუმად ხდება მისი შესაბამისობა საზოგადოებრივ - ეკონომიური განვითარების ნამდვილ პროცესთან; არ შეიძლება სექტანტობა, როცა ამოცანა იმაშია, რომ ხელი შეუწყოს პროლეტარიატის ორგანიზაციას, როცა მაშასადმე, „ინტელიგენციის" როლი მდგომარეობს იმაში, რომ არა საჭიროთ გახადოს განსაკუთრებული ინტელიგენციის ხელმძღვანელობა.

(იხ. „რანი არიან ხალხის მეგობრები" თხზულ. I).

ი. სტალინი.

ნ. რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა.

ზოგი ფიქრობს, რომ ლენინიზმი არის პრიმატი (უპირატესობა) პრაქტიკისა თეორიაზე, იმ მნიშვნელობით, რომ მასში უმთავრესია მარქსისტულ დებულებათა საქმეთ გადაქცევა და მათი „შესრულება". ხოლო რაც შეეხება თეორიას, ლენინიზმი ამ მხრივ თითქოს საკმაოდ უდარდელია. ჩვენ ვიცით, რომ პლეხანოვი არა ერთხელ დაცინოდა ლენინის „უდარდელობას" თეორიისა და განსაკუთრებით ფილოსოფიის შესახებ. ცნობილია, აგრეთვე, რომ მრავალი თანამედროვე პრაქტიკოსი ლენინელი მაინც და მაინც არ სწავლობს თეორიას, განსაკუთრებით იმ უდიდესი პრაქტიკული მუშაობის გამო, რომელიც მათ მდგომარეობამ დააკისრა. მე უნდა განვაცხადო, რომ ეს უცნაური შეხედულება ლენინზე და ლენინიზმზე სავსებით შემცდარია და სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს: თანამედროვე პრაქტიკოსების სურ-

ვილი, რომ თავიდან მოიშორონ თეორია, ეწინააღმდეგება ლენინიზმის შინაარსს და დიდ საფრთხეს უმზადებს საერთო საქმეს.

თეორია არის ყველა ქვეყნის მუშათა კლასის გამოცდილება მისი ზოგადი სახით. რა თქმა უნდა თეორია ხდება უშინაარსო თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისე, როგორც ბრმავდება პრაქტიკა, თუ იგი არ იკვლევს გზას რევოლუციური თეორიით, მაგრამ, თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ ის განუწყვეტლივ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, რადგან მხოლოდ თეორიას შეუძლია მისცეს მოძრაობას სიმტკიცე და გაბედულება, მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგებისა და მდგომარეობის გარკვევის უნარი, რადგან მას (თეორიას) და მხოლოდ მას შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას, გაიგოს თუ არა მარტო ის, როგორ და საით მიიმართება კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა წავიდენ ისინი (კლასები) ახლო მომავალში.

ლენინმა სთქვა და მრავალჯერ განიმეორა ცნობილი დებულება, რომ:

„რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობა“ (იხ. ტ. 5, გვ. 135). ლენინს სხვაზე უკეთ ესმოდა თეორიის უდიდესი მნიშვნელობა. განსაკუთრებით ისეთი პარტიისათვის, როგორიც არის ჩვენ პარტია, რომელსაც წილად ხვდა შეასრულოს საერთაშორისო მოწინავე პროლეტარიატის მებრძოლი რევოლუციონერის როლი და აგრეთვე იმ გართულებული საშინაო და საერთაშორისო პირობების გამო, რომელშიდაც იგი იმყოფება. ლენინმა ჯერ კიდევ 1902 წ. გაითვალისწინა ჩვენი პარტიის განსაკუთრებული დანიშნულება და საჭიროდ სცნო აღენიშნა, რომ:

„მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რომელ მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“. (იხ. ტ. 5. გვ. 136). ეხლა, როდესაც ლენინის ეს წინასწარმე-

ტყველება ჩვენი პარტიის როლის შესახებ, უკვე განხორციელდა. ზედმეტია მტკიცება, რომ ამ დებულებამ მოიპოვა განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა.

შესაძლებელია ამ დებულების განსაკუთრებულ და ყველაზე უფრო ნათლად დამამტკიცებელ საბუთად ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ თვით ლენინმა მოჰკიდა ხელი ურთულეს ამოცანის შესრულებას, მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიღწევათა განზოგადოებას მატერიალისტურ ფილოსოფიაში ენგელსიდან ლენინამდე; მან ყოველი მხრით გააკრიტიკა ანტიმატერიალისტური მიმართულებანი მარქსისტთა შორის. ენგელსი ამბობდა: „რომ მატერიალიზმი იძულებულია მიიღოს ახალი სახე ყოველი ახალი დიდი აღმოჩენის შემდეგ". ჩვენ ვიცით რომ ეს ამოცანა თავის დროისათვის შეასრულა მხოლოდ ლენინმა თავის შესანიშნავ შრომაში: „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიცზმი". ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ პლეხანოვს — რომელიც ხშირად ოხუნჯობდა ლენინის „უდარდელობაზე" ფილოსოფიის შესახებ, — აზრადაც არ მოსვლია სერიოზულად შესდგომოდა აღნიშნული ამოცანის შესრულებას. (იხ. სტალინი: „ლენინიზმის საკითხები", ქართული გამოცემის — გვ. 23—25).

* *
*

მაგრამ თუ ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიამაყოთ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული წარმატებით არ შეიძლება იგივე ითქვას ჩვენი თეორიული მუშაობის წარმატებაზე საერთოდ ეკონომიკის სფეროში და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სფეროში. მეტიც: უნდა ვაღიაროთ, რომ თეორიული აზროვნება ჩამორჩება ჩვენ პრაქტიკულ წარმატებებს, რომ არსებობს ერთგვარი უთანაბრობა პრაქტიკულ წარმატებებსა და თეორიული აზროვნების განვითარებას შორის. ამავე დროს კი საჭიროა, რომ თეორიული მუშაობა არა თუ არ ჩამორჩებოდეს პრაქტიკულ მუშაობას, არამედ უსწრებდეს კიდევ ამ მუშაობას და აიარაღებდეს ჩვენ პრაქტიკოსებს მათ ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ თეორიის მნიშვნელობის შესახებ. თქვენ ეს საკმაოდ მოგეხსენებათ. ისიც მოგეხსენებათ, რომ თეორია, თუ იგი ნამდვილი თეორია, აძლევს პრაქტიკოსებს ორიენტაციის აღების საშუალებას, პერსპექტივის სიცხადეს, რწმენას მუშაობაში, ჩვენი გამარჯვებაში. ყოველსავე ამას აქვს—და არც შეიძლება არა ჰქონდეს — უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. უბედურება ის არის, რომ ჩვენ მოვიკოჭლებთ ამ სფეროში, ჩვენ ეკონომიკის საკითხების თეორიულ დამუშავების დარგში; მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენს საზოგადოებრივ—პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გასავალი აქვს სხვადა სხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებს ჩვენი ეკონომიკის საკითხების შესახებ. რით უნდა აიხსნას, რომ ამ თეორიებს დღემდე სათანადო წინააღმდეგობა ეწევა, რით უნდა აიხსნას, რომ დავიწყებას ეძლევა მარქსისტულ - ლენინური პოლიტეკონომიის მთელი რიგი ძირითადი დებულებები, რომელიც საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ ბურჟუაზიული და წვრილ ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, რომ არ ხდება მათი პოპულიარიზაცია ჩვენს პრესაში, რატომლაც არ აყენებენ მათ პირველ ადგილზე. განა ძნელია იმის გაგება, რომ თუ მარქსისტულ—ლენინური თეორიის საფუძველზე შეუოიგებელი ერთოლა არ ვწარმოკეთ ბურჟუაზიული თეორიების წინაღმდეგ, შეუძლებელია სრული გამარჯვება კლასობრივ მტრებზე.

ახალი პრაქტიკა წარმოშვებს ახალ მიდგომას გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემისადმი. ახალი სახით ისმება ახალი საკითხი ახალი ეკონომიურ პოლიტიკის, კლასების, მშენებლობის ტემპების, მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირების, პარტიის პოლიტიკის შესახებ. რათა პრაქტიკას არ ჩამოვრჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ ყველა ამ პრობლემის დამუშავებას ახალი ვითარების თვალსაზრისით. უამისოდ შეუძლებელია იმ ბურჟუაზიული თეორიების დაძლევა, რომლებითაც გა-

ჰედილია ჩვენი პრაქტიკოსების თავები, უამისოდ შეუძლებელია აღმოფხვრა ამ თეორიებისა, რომლებმაც ყალბი აზრის აიმტკიცე შეიძინეს მხოლოდ მაშინ, როდესაც თეორიაში შევებრძოლებით ბურჟუაზიულ ყალბ აზრებს, შეეძლებთ მივახწიოთ მარქსიზმ - ლენინიზმის პოზიციის განმტკიცებას.

(იხ. იქვე 589—90)

თემა პირველი

მატერიალიზმი და იდეალიზმი
პირველი დავალება

ენგელსი: 1. ძველი ფილოსოფიის დასასრული და საგანი ახალი ფილოსოფიისა.

ჰეგელი ხისტემას აშენებდა, ფილოსოფიური სისტემა კი, ძველადვე მიღებულ ჩვეულების მიხედვით, ამა თუ იმ გვარი აბსოლუტური ჭეშმარიტებით უნდა დაძთავრებულიყო და იგივე ჰეგელი, რომელიც თავის ლოგიკაში ამტკიცებდა, რომ მარადიული ჭეშმარიტება მხოლოდ ლოგიკური, ე.ი. აგრეთვე ისტორიული პროცესია და სხვა არაფერიცო, იძულებული გახდა საზღვარი დაედო ამ პროცესისათვის, იმიტომ რომ ოდესმე ხომ უნდა დაევთავრებინა თავისი სისტემა.

მაგრამ ამან ჰეგელის ფილოსოფიას ხელი არ შეუშალა ბევრად უფრო ფართო ასპარეზი დაეპყრო, ვიდრე რომელიმე წინანდელ სისტემას, და ამ ასპარეზზე ისეთი აზრთა სიმდიდრე განვითარებინა, რომელიც დღესაც გვაოცებს. სულის ფენომენოლოგია (რომელსაც შეგვიძლია სულის ემბრიოლოგიის პარეონტოლოგიის პარალელი უწოდოთ ე.ი. ინდივიდუალურ შეგნების განვითარება წარმოდგენილი როგორც კაცობრიობის შეგნების ეიერ ისტორიულად განვლილი საფეხურების შემოკლებული განმეორება).

ლოგიკა ბუნების ფილოსოფიაა. სულის ფილოსოფია შეშუშავებული ცალკე ისტორიულ განყოფილებებში,

ე.ი. ისტორიის, უფლების და რელიგიის ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, ესთეტიკა და სხვა: ყოველ ამ ისტორიულ დარგში ჰეგელი ცდილობს ძაფი აღმოაჩინოს. და აღნიშნოს. და რადგან იგი იყო არა მარტო შემოქმედი გენიოსი, არამედ ენციკლოპედიური სწავლულიც მისმა მოვლინებამ ყველგან ეპოქა შექმნა. თავისთავად იგულისხმება, რომ „სისტემის" საჭიროება ხშირად ავალებდა ალდატანებული თეორიული შენებისათვის მიემართა რის გამო დღემდე ასე საშინლად ყვირიან მისი უბადრუკი მოწინააღმდეგენი. მაგრამ ეს შენობა მხოლოდ მისი შემოქმედების ჩარჩო და ხარაჩოა. ვინც გარედ არ ჩერდება და თვით ამ უზარმაზარ შენობაში შედის იგი აურაცხელ განძს პოულობს, რომელიც დღემდე სრულ ღირებულებას ინარჩუნებს.

ყოველი ფილოსოფოსის შემოქმედებაში წარმავალია სწორედ „სისტემა", იმიტომ რომ სისტემა წარმოსდგება ადამიანის სულის იმ წარუვალი მისწრაფებიდან, **რომელიც ყველა წინააღმდეგობათა დაძლევას მოითხოვს.**

მაგრამ ყველა წინააღმდეგობა, რომ მართლაც ერთხელ და სამუშაოდან მოსპობილიყო ეგრეთწოდებულ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მივაღწევდით, მსოფლიო ისტორია დამთავრდებოდა და მიუხედავად ამისა მაინც იძულებულიც იქნებოდა გაგრძელებულიყო, თუმცა მაინც გასაკეთებელი არაფერი ექნებოდა; ესეც ახალი გადაუჭრელი წინააღმდეგობაა. ჩვენ უწინარეს ყოვლისა, თვით ჰეგელის შემწეობით გავიგეთ, რომ არ შეიძლება ფილოსოფიას ყველა წინააღმდეგობის ახსნა მოსთხოვონ, იმიტომ რომ ასეთი მოთხოვნა ერთს ფილოსოფოსს ისეთს **საქმეს** დააკისრებდა, რომლის შესრულება მხოლოდ მთელ კაცობრიობას შეუძლია თავის წინ მიმავალ განვითარების დროს, რა წამს ეს გაგვიგია იმ წამიდან ვაღწევთ ჩვენ ფილოსოფიის დასასრულამდე ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით.

ჩვენ თავს ვანებებთ „აბსოლუტურ ჭეშმარიტებას", რომლის მიღწევა ამ გზით ცალკე ადამიანს არ შეუძლია, და შეიარაღებულნი პოზიტიური მეცნიერებათა და მეცნ-

ნიერული შედეგების გაშაერთიანებული დიალექტიკური აზროვნებით, ხელმისაწდომ რელატიურ ჭეშმარიტებებს ვეძებთ. ჰეგელით საზოგადოთ თავდება ფილოსოფია.

ერთი მხრივ, იმიტომ რომ მისი სისტემა მთელი წინამორბედი განვითარების ჯამს წარმოადგენს, მეორე მხრივ, იმიტომ რომ თვით იგი შეუგნებლად გზას გვიჩვენებს, რომელსაც სისტემათა ლაბირინტიდან მსოფლიოს ნამდვილი და დადებითი შემეცნებისაკენ მივყევართ.

...(მარქსის) მსოფლმხედველობის დამტკიცება თვით ისტორიის საქმეა და აქ თამამად ვიტყვი, რომ სხვა ნაწერებში ბევრი ასეთი საბუთია მოყვანილი, მაგრამ ეს შემეცნება ფილოსოფიას ბოლოს ულებს ისტორიის დარგში, ისევე როგორც დიალექტიკური შეხედულება ბუნებაზე ზედმეტად და შუძლებლად ხდის ბუნების ფილოსოფიას. ამიერიდან ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოვლენების შემაერთებელი კავშირი გამოვიგონოთ, არამედ იმაში რომ ის თვით ფაქტებში აღმოვაჩინოთ, ბუნებისა და ისტორიიდან განდევნილ ფილოსოფიას რჩება მხოლოდ წმინდა აზროვნების სამეფო. (თუ რაიმე კიდევ შერჩენია მას): **სახელდობრ მოძღვრება აზროვნების პროცესის კანონებზე—ლოგიკა და დიალექტიკა.**

(ენგელსის „ლ. ფოიერბახიდან“).

გ. პლეხანოვი:

2. ფილოსოფიის პრობლემა და ამოცანა.

ოდესღაც თალესი არისტოტელის ეპოქაში ფილოსოფია იყო ყველაფერი. იგი თავის უფლებას ავრცელებდა მეცნიერული ცოდნის მთელს გასაქანზე. არისტოტელი რომელმაც რეზიუმზე მოგვცა ძველი კლასიური ნააზრევი, იყო, როგორც ცნობილია, პოპულიატორი და დამაარსებელი მრავალი მეცნიერებისა. იგი იყო მეტაფიზიკოსი, ფიზიკოსი, ზოოლოგი, მამამთავარი ლოგიკისა და ეთიკის. მისი შედარებით ნაკლებ ცნობილი ნაწარმოები

პრობლემები, შეიცავენ იმ დროინდელ ცოდნის ყველა დარგისათვის საჭირო საკითხებს და პასუხებს. ძველების ტრაქტატები სახელწოდებას ატარებდენ, „ბუნებისათვის მსოფლიოსათვის“ ეს ჰეგემონია მეცნიერებაზე ფილოსოფიამ შეინარჩუნა მე-XIX საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე. ჯერ კიდევ მე-XVIII საუკუნის დასასრულს სკეპტიკოსი დავით ჰიუმე სწერდა: „ეს ფილოსოფიის თავისებური შეურაცყოფაა, როდესაც მას აიძულებენ მისაგან გამომდინარე შედეგებისათვის ყოველთვის თავი იმართლოს, გააამართლოს ეს შედეგები თვითეული მეცნიერებისა და ხელოვნების წინაშე, რომელსაც შეიძლება იგი არ ეთანხმებოდეს. მისი ძლევამოსილი ავტორიტეტი კი ყოველგან ცნობილი უნდა იყოს. ეს ხომ იგივე იქნებოდა მონარქიისათვის ქვეშერდომებისათვის ღალატში ბრალი რომ დაგვედო. „მარქსის ერთმა აკადემიურმა მასწავლებელმა ბუნებისმეტყველების პროფესორმა ან იმ დროს ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ ნატურ-ფილოსოფოსმა — სტეფანესმა ერთი თავისი სტუდენტ-გეოლოგს ძალიან ცუდი დახასიათება მისცა იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა კონკრეტული საგნების შესწავლა „აბსოლუტური სულის“ შესწავლაზე მაღლა დააყენა. კანტით და განსაკუთრებით ჰეგელით გატაცება გასული საუკუნის ოციან — ოცდაათიან წლეებში პირდაპირ საზღაპრო საზღვრებს აწყვევენ. მიხაილოვსკის ჭკუამახვილი გამოთქმით ჰეგელის ფილოსოფია მდინარე მოსკოვის ნაპირებზედაც კი გასაქანს არ გვაძლევს (სტანკევიჩის და ჰერცენის ფილოსოფიურ წრეზეა აქ ლაპარაკი). დღეს ყოველივე ეს გარემოება გამოცვლილია. ფილოსოფიის უნივერსალური მონარქიიდან თანდათან გამოეყო სხვა და სხვა სამეცნიერო დარგები, ასე რომ ფილოსოფია ერთხელ „ყველაფერი“, დღეს იძულებულია ბრძოლა აწარმოოს თავის არსებობისათვის. ის სრულ დაბნეულობამდე მივიდა და დღემდე თავის ობიექტს დაეძებს და თავისი მეთოდის დადგინებით არის გართული. ბევრი, მსხვილი მოაზროვნე და მათ შორის მარქსი და ენგელსი საკამათოდ

ხდიან მის დამოუკიდებელ არსებობას. ასევ მაგ. თავის „ანტი—დიურინტში" ენგელსი სწერს: „როგორც კი კერძო მეცნიერებიდან მოითხოვენ გამოიოკვიოს თავისი ადგილი საგანთა და ცოდნათა ერთობლიობაში, მაშინ კერძო მეცნიერება მოვლენათა საყოველთაო კავშირზე ზედმეტი ხდება. რაც ახლა დარჩება აქამდე არსებული ფილოსოფიიდან და დამოკიდებული არსებობას შეინარჩუნებს, ეს არის მოძღვრება აზროვნებაზე და ძის კანონებზე, ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა. ყველაფერ დანარჩენს შეანთქავს პოზიტიური მეცნიერება ბუნებისა და ისტორიის". (იხ.

Fr. Engels „Anti-Duhring" III Aufls 11

სხვა ადგილს ენგელსი ლაპარაკობდა ფილოსოფიაზე როგორც „განსვენებულ" მეცნიერებაზე.

დღეს ფილოსოფია ისე აღარ არის, როგორც დავით ჰიუმეს დროს იყო. იგი „მეცნიერულობის" სახელწოდებას ძალიან საპატიოთ სთვლის და არამც თუ აღარ ფიქრობს მონარქიულ ბატონობას სხვა მეცნიერებაზე, არამედ თავს ძალიან ბედნიერად ჩასთვლიდა, თუ მას უდავოთ მეცნიერული აზრის თავისუფალი რუსპუბლიკის მოქალაქეთ მიიჩნევდენ.

თუ მიუხედავათ ამისა შესაძლებლად მიგვაჩნია მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლები შევისწავლოთ, ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი მოსაზრებით:

1) მარქსი და ენგელსი ყოველთვის ისე ცუდათ არ იხსენიებენ ფილოსოფიას, როგორც ეს ჩანს ენგელსიდან მოყვანილი ციტატის მიხედვით. მარქსი თავისი „Zur Kritik der Hegl. Rechtsphilosop.(Nahlass B.I.S.398 შემდეგ წინასწარმეტყველურ სიტყვებს სწერდა: „როგორც ფილოსოფია პოულობს პროლეტარიატში მატერიალურს, ისე ჰპოულობს პროლეტარიატი ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს". პლეხანოვის მიერ აქ დასახელებული მარქსის ნაწარმოები არის ახალგაზრდა მარქსის ის ცნობილი შრომა, რომლითაც მარქსმა პირველად

გარკვეულად გაიმიჯნა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიიდან და „მასწავლებლის“ კრიტიკულად დაძლევის ცდასთან ერთად მოგვცა, პირველი გაფორმება იმ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის აზრისა, რომელიც შემდეგ მეცნიერული სოციალიზმის და პროლეტარიატის კასლობრივი მსოფლმხედველობის სახით ჩამოყალიბდა. მარქსის ამ ნაწარმოებს ჰქვია.

„Zur Kritik der Hegelschen Rechtsphilosophie“

(პლეხანოვი სწორად არ ასახელებს მას) აქ ჩვენ მოვიყვანთ მთლიანად მარქსის ტექსტის იმ ადგილს, რომლისგანაც ამოღებულია პლეხანოვის მიერ ზემოთ მოყვანილი ციტატები.

„პროლეტარიატი დღემდე არსებული ქვეყნის წესწყობილების მოსპობას რომ გვაუწყებს, ამით საკუთარი არსების საიდუმლობასაც გამოთქვამს, იგი ფაქტიური მოსპობაა ამ წესწყობილებისა. პროლეტარიატი კერძო საკუთრების მოსპობას რომ მოითხოვს, ამით ის საზოგადოების პრინციპათ აქცევს იმას, რაც საზოგადოებამ უკვე თავის პრინციბად გადააქცია, რაც მასში. როგორც საზოგადოების ნეგატიური შედეგი მის დაუხმარებლათაც განსახიერებულია როგორც ფილოსოფია პროლეტარიატში მატერიალურს ისე ჰპოულობს პროლეტარიატი ფილოსოფიაში თავის სულიერ იარაღს, და რა წუთს აზრის ჭექა და ქუხილი ამ გულუბრიყვო ხალხის ნიადაგს მოხვდება, იმ წამსვე მოხდება გერმანელ ემანსიპაცია, იგი ადამიანად იქცევა... საფუძვლიანი გერმანია არ გარეევოლუციურდება, თუ საფუძვლებიდანვე არ გავარევოლუციონერეთ. გერმანელის ემანსიპაცია ადამიანის ემანსიპაციაა. ამ ემანსიპაციის თავი ფილოსოფიაა, მისი გული კი პროლეტარიატი. (იხ. K. Marxu nd Fr. Fngels: Gesamelte Werke, Nachlas I Bd. Stuttgart 1913.)

2) უკანასკნელ დროს გაჩნდა ვრცელი ლიტერატურა, რომელიც მარქსიზმის ფილოსოფიურ დასაბუთებაზეა შეწირული.

3) და თუ ჩვენ მივიღებთ ენგელსის მიერ მოცემულ განსაზღვრას ფილოსოფიისა, აზროვნების და მისი კა-

ნონების სფეროთი, ეს სფეროც საკმარისად ფართო და საინტერესოა. ჩვენ შეგვიძლია სწორედ ეს სფერო ვიგულისხმოდ, როცა „მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძველზე“ ვლაპარაკობთ:

4. აზროვნების თეორია და მისი კანონები უზრუნველყოფენ ზოგად სინთეთურ თვალსაზრის ბუნებაზე და ისტორიაზე. ჩვენ ვნახავთ სწორეთ ასეთი ზოგადი სინთეზი მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა. ჩვენ დიალექტიკურ ფილოსოფია მიგვაჩნია ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო ცდათ გააერთიანოს ფილოსოფიური აზრი.

5) თუ ფილოსოფიას კლასიკური მეტაფიზიკის თანახმად აბსოლუტური სუბსტანციების მეცნიერებათ არ ჩავთვლით, ენგელსი ძალიან მოხდენილად შენიშნავს, რომ ეათ შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ მათზე აბსოლუტურად არაფერი არ ვიცით—მაშინ ფილოსოფიას შემდეგი რაციონალური განმარტება უნდა მივცეთ:

ფილოსოფია არის სინთეტური იდეების სისტემა, რომელიც ამთლიანებს ადამიანის ცდის მრავალსახიანობას ამა თუ იმ ეპოქაში მიღწეულ ინტელექტუალურ და საზოგადოებრივ განვითარების მიხედვით. მოკლეთ: მოკლეთ ფილოსოფია არის მოცემულ ეპოქის არსის შემეცნებული სინთეზი. ჩვენ ქვევით ვნახავთ, რომ დასკვნები, რომელიც მიიღეს მარქსმა და ენგელსმა საკვლევით ეთანხმება ჩვენს განმარტებას.

საზოგადობრივი აზრის მოთხოვნილებას იწვევს საზოგადოებრივი და ინტელექტუალური არსის ყველა პირობა. და რამდენად უფრო ვითარდებიან კერძო მეცნიერებანი, იმდენად ეს მოთხოვნილება უფრო დაჟინებით მოითხოვს დაკმაყოფილებას. კერძო მეცნიერებათა შედეგები მხოლოდ მასალას გვაძლევენ საყოველთაო მეცნიერული სინტეზისათვის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიურში ისე აზრის სფეროშიაც ძალაში რჩება ის საერთოდ ცნობილი ეკონომიური პრინციპი, რომლის მიხედვით ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ მინიმალურ საშუალებათა დახარჯვით მაქსიმალური ეფექტის მიღწევას. ეს

თავისებური ინტენსიური მეურნეობა აზრის სფეროში, თავისებური კონდენსაცია აზრისა. ადამიანის ტვინი, ეგუება რა გარემოებას ამ შეგუების დროს ახდენს ამ კონდენსაციას განზოგადოებული აზრის საშუალებით. იგი ცდილობს ქაოსში ჰარმონია აღმოაჩინოს, ერთსახეობა — დაუსრულებელ მრავალსახიანობაში, უმაღლესი კანონშონილება — შემთხვევისა და ძალმომრეობის სამეფოში. სულ სხვაა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ეს მეცნიერული გაერთიანება, რამდენად შესაძლებელია ყოვლისშემცველი მეცნიერული სინთეზი? ამ საკითხზე ჩვენ მარქსთან ენგელსთან გარკვეულ პასუხს ვნახულობთ. ახლავე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს პასუხი არის დადებითი.

რა არის ფილოსოფიის ამოცანა? ის, რომ „გამოიკვლიოს შემეცნებისა და არსის უკანასკნელი საფუძვლებიდან. ამ საფუძვლების ნიადაგზე მისწვდეს ყოველ რეალურსაო“, — გვიპასუხებს ლ. კელერი.

და ეს პასუხი სწორია. მაგრამ აქ დაუყონებლივ ჩნდება მეორე საკითხი: შესაძლებელია თუ არა, „ამის საფუძვლების“ დამოუკიდებლად შემეცნების საფუძვლების განხილვა. იძულებულნი ვართ ამ საკითხის სრულის უარყოფით ვუპასუხოთ, თუმცა ჩვენი „მე“ უპირსპირდება გარე-მყარს (არა—მე—ს), მაგრამ იმავე დროს იგი გრძნობს კავშირს მასთან სწორედ ამიტომ, რა წამს ადამიანი ფილოსოფოსობას დაიწყებს ე.ი. როცა მას დაებადება სურვილი შექმნას მთლიანი და მუყობრი მსოფლმხედველობა იმ წამსვე გადაეჩეხება ისეთს საკითხებს, როგორც არის დამოკიდებულება „მე—სა“ „და“ არამეს-“ს „შემეცნებასა“ და „არსის“, „სულისა“ და „ბუნების“ შორის. იყო ისეთი დროც, როცა ეს საკითხი ფილოსოფოსებისათვის არ არსებობდა. ასე იყო ძველი ბერძნული ფილოსოფიის განვითარების პირველ პერიოდში. თალესი, მაგალითად ამბობდა, რომ წყალი არის ის პირველადსაბამი ნივთიერება, რომლისაგანაც ყოველივე წარმოსდგა და რომელსაც ყოველივე დაუბრუნდება, მაგრამ ამა-

სიან თავლესი არ ეკითხებოდა თავის თავს: რა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ამ ძირითად ნივთიერებასთან? არ წამოუყენებია ეს საკითხი არც ანაქსიმენს, როგელსაც ძირითად ნივთიერებად მიაჩნია ჰაერი, და არა წყალი, მაგრამ შემდეგში დადგა ისეთი დრო, როცა ვეღარც ბერძნებმა ფილოსოფოსებმა აუქციეს გზა „მე—სა“ და „არა—მე“-ს, ცნობიერებისა და არსის დამოკიდებულების საკითხს და მაშინ უკვე გადაიქცა ეს საკითხი ფილოსოფიის ძირითად საკითხად. ასეთავე დარჩა იგი დღემდე.

სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემა სხვადასხვა პასუხს იძლევა ამ საკითხზე. მაგრამ თუ ჩაუკვირდებით ამ ფილოსოფიური სისტემების პასუხებს, დაინახავთ რომ ისინი არც ასე მრავალფეროვანი არიან, როგორც პირველი შეხედვით მოსჩანს. ისინი ორ ჯგუფად იყოფიან.

ერთ ჯგუფს მიეკუთნება ყველა ის პასუხი, რომელსაც იძლევა მოაზროვნე მაშინ, როცა გამოსავალ წერტილად აღებული აქვს ობიექტი, ე.ი. არსი ან სხვანაირად ბუნება. ამ შემთხვევაში მოაზროვნემ უნდა ახსნას, როგორ ემატება ობიექტს სუბიექტი, არსს ცნობიერება, ბუნებას სული, რადგან ისინი ერთნაირად არ ხსნიან ამას, ამიტომ; მიუხედავათ ერთი ამოსავალი წერტილისა, მთლად ერთნაირი სისტემები არ გამოდის.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის ყველა ისეთი ფილოსოფიური ცდა, რომელიც ამოსავალ წერტილად იღებს სუბიექტს. ცნობიერებას, სულს. ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში მოაზროვნე, მოვალეა გვიჩვენოს, როგორ ემატება **სუბიექტს ობიექტი, ცნობიერებას-არსი**, სულს—ბუნება, და ამის მიხედვით, თუ როგორ შეასრულებენ ამ მოვალეობას, ამ ჯგუფის ფილოსოფიური სისტემები, განირჩევიან ისინი ერთმანეთისაგან.

ვინც ობიექტიდან ამოდის, იგი — თუ კი მას თანამიმდევნო აზროვნების გამბედაობა და უნარი **აქვს**, —

უნდა მივიდეს **მატერიალისტური მსოფლმხედველობის ერთ-ერთ სახეობამდე.**

ვის ამოსავალს ყერტილსაც სუბიექტი შეადგენს, ის, — თუ კი ძას ბოლოდან ძისელისა არ ეშინია — უნდა გახდეს ამა თუ იმ ტიპის იდეალისტი.

ის ხალხი კი, რომელსაც თანაბრადევნო აზროვნების უნარი არ გააჩნია, შუა გზაზე ჩერდება და იდეალიზმისა და მატერიალიზმის ნარევით კმაყოფილდება, ასეთს ბოლ-ბროვნეს **ეკლექტიკოსს** უწოდებენ.

ამაზე ძეიძლება მიპასუხეთ, რომ არსებობენ კიდევ **„კრიტიკული ფილოსოფიის"** - მომხრეები, რომელნიც ერთნაირად შორს არიან როგორც მატერიალიზმისა, ისე იდეალიზმისაგან და რომელიც მოკლებულნი არიან იმ სისუსტეს, რაც ყოველთვის ახლავს ეკლექტიკოსების მსოფლგაგებასა. ძახსოვს, სწორედ ამგვარად გაძოძეკამათა ოდესღაც პროფესორი ჩელპაოვი. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს ძას უორჩევ წაიკითხოს დებორინის წიგნის მეექვსე თავი (Дебورин: В вден. в Фил. диал. Матер). იქ მკითხველი დაინახავს, რამდენად შემცდარია ამ აზრის მომხრე. დებორინი ნათლად საარწმუნოდ ამტკიცებს, რომ კანდის „კრიტიკული" ფილოსოფია დუალიზმის შემცველია, და რადგან **დუალიზმი ყოველთვის ეკლექტიურია, ამიტომ ცხადია ძხოლოდ გაუგებრობით ზეიძლება** კანტზე მითითება იმ ჩემი აზრის უარსაყოფად, რომ ყოველმა თანამიმდევრო მოაზროვნემ ძატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის ერთ-ერთი უნდა აირჩიოს.

კანტიანიზმის არა თანამიმდევრობა აღნიშნა ჯერ კიდევ ფიხტემ, რომელმაც პირველ ხანს ეს ნაკლი მიაწერა არა თვით კანტს, არამედ ძის მიმდევრებს, „თქვენი დედამიწა, — მიმართავდა მათ ფიხტე, — დაყრდნობილია სპილოზე, სპილო კი თავის მხრით დედამიწას ეყრდნობა, თქვენმა თავისთავადმა საგანმა, რომელიც წმინდა აზრით უნდა. იმოქმედოს სუბიექტზე" დარწმუნებული. რომ თვით კანტი თავისუფალი იყო ამ უდაო, მაგრამ მიუტევებელ წინააღმდეგობისგან, ფიხტე ამტკიცებდა, რომ „კანტის კანტიანიზმის" ნამდვილი სახე იდეალიზმში

მოლენგლი (სახელდობრ თვით ფიხტეს Wissenschaftslehre მეცნიერების მეტყველებაზეც) ძაგრამ კანტია ამას არ დაეთანხმა. კანტმა ყერილობითი პროტესტი გაანაცხადა მისი ფილოსოფიის ასეთი გაგების წინააღმდეგ. მისი სიტყვებით, ფიხტეს იდეალისტური სისტემა მოჩვენებას ჰგავს: „როცა ფიქრობს — გავიგე და შევეხეო, აღმოჩნდება, რომ თქვენ ხელთ არაფერია, გარდა საკუთარ თავისა, ამასთან ამ საკუთარ თავსაც"[1]) არაფერი გააჩნია გარდა შესახებად გაწვდილი ხელისა, ამის შემდეგ ფიხტეს რაღა უნდა დარჩენოდა, გარდა იმისა რომ თვით კანტისთვის ეკიჟინა არათანამიმდევნობა. ის ასეც მოიქცა, უწოდა რა მას სიტყვა—სიტყვით: სამი მეორედი (იხ. დებორინის წიგნი: Введение в Философ. диалек. матер. წინასიტყვაობა).

ლენინი

4. პარტიები — ფილოსოფიაში.

...აქამდე, როცა გნოსეოლოგიის ან ახალი ფიზიკის მიერ დასძულ ფილოსოფიურ კითხვებს ვეხებოდით, ჩვენ კვალდაკვალ მივდევდით მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლას. ტერმინოლოგიის იონბაზობისა და გელერტული სქოლასტიკის ნაგავში ჩვენ ყოველთვის ვპოულობდით ორ ძირითად ხაზს ორ ძირითად მიმართულებას ფილოსოფიური კითხვების გადაჭრაში. რა უნდა მივიღოთ პირველათ ბუნება, მატერია, ფიზიკური რიგი, გარეგანი ქვეყნიერება, ხოლო მეორედათ შეგნება, სული, შეგრძნება (ცდა—ჩვენ დროში გავრცებული ტერმინოლოგიით). თუ პირიქით, — არის ძირითადი კითხვა, რომელიც ნამდვილათ ჰყოფს ფილოფოსებს ორ დიდ ბანაკად. ათასი და ათი ათასი შეცდომის და არევდარევის წყარო ამ დარგში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ტერმი-

---

[1]) Kants Werke „Ausgabe Von Hartenstem Rd. X S. 577—78. უფრო დაწვრილებით ამის ბესახებ ნახავთ ჩემს სტატიაში Материализм и Кантианизм.

წების, განმარტებების, სქოლასტიკური აბრუნდების სიტყვიერი ონანიზობის უკან ვერ ამჩნევენ ამ ორი ძირითად ტენდენციას (ძაგ. ბოგდანოვს არ სურს თავისი [illegible] აღიაროს მიტომ, რომ ისეთი „მეტაფიზიკური“ ცნებების მაგიერად, როგორიცაა „ბუნება“ და „სული“ „განცდითი“ ცნებები ავიღე—ფიზიკური და ფსიქიკური რიგით, სიტყვები შესცვალა.).

მარქსის და ენგელსის გენიოსობა სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ დიდი პერიოდის, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისინი მატერიალიზმს ანვითარებდენ, წინ უბიძგებდენ ერთს ძირითად მიმართულებას ფილოსოფიაში, არ ღეჭდენ უკვე გადაწყვეტილ გნოსიოლოგიურ კითხვებს, არამედ თანამიმდევრად ატარებდენ მას: ისინი გვიჩვენებდენ როგორ უნდა გავატაროთ იგივე მატერიალიზმი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, ულმობელად სანაგვე ყუთში ისროდენ მრავალრიცხოვან ცდებს „ახალი“ ხაზის გამონახვისა ფილოსოფიაში, „ახალი“ მიმართულების გამოგონებისა და სხვა. მარქსი და ენგელსი მთელი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში სდევდენ ასეთი ცდების სიტყვიერ ხასიათს. ახალი ფილოსოფიური „იზმების“ სქოლასტიკურ თამაშობას, კითხვის დედაარსის მიფუჩეებას მალალ. ფარდოვანი ფრაზებით, ორი ძირითადი გნოსეოლოგიური მიმართულების ბრძოლის გაუგებრობას და სხვა.

ჩვენ ვთქვით, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაშითქო. მართლაც ჯერ კიდევ 1843 წელს, როცა მარქსი მხოლოდ მარქსი ხდებოდა ე.ი. **მეცნიერული სოციალიზმის და იმ თანამედროვე მატერიალიზმის** დამაარსებელი, რომელიც შეუდარებლად უფრო მდიდარია შინაარსით და უფრო თანმიმდევარია, ვიდრე მატერიალიზმის ყველა ადრინდელი ფორმა — მაშინაც კი მარქსი გასაოცარი გარკვეულობით აღნიშნავდა ძირითად ხაზებს ფილოსოფიაში. კარლ გრიუნს მოჰყავს მარქსის წერილი ფეერბახისადმი, 1843 წლის 30 ოქტომბრით დათარიღე-

ბული, სადაც მარქსი ფეიერბახს იწვევს წერილი დასწერ-
რე Deutsh Französiche Iahrbücher შელლინგის
წინააღმდეგო. — ეს შელლინგი ტრაბახა ვინმეა,
აგი პრეტენზიას აცხადებს შემოფარგლოს და
დასძლიოს ყველა წინანდელი ფილოსოფიური მიმა-
რთულებაო, სწერდა მარქსი. „ფრანგ რომანტიკოსებს და
პოსტიკოსებს შელლინგი ეუბნება: მე ფილოსოფიის და
ოეოლოგიის შეერთება ვარ; ფრანგ სკეპტიკოსებს: დო-
გმატიკის გამნადგურებელი ვარ“ Karl Grun „L. Feuerbach in seinem Biefuechsel und Nachlas ect I Bd. L. 1874 s. 161 მარქსი უკვე მაშინვე ხედავდა, რომ „სკეპტიკოსები“, სულერთია რა ქვიათ მათ — ჰიუმისტები თუ კანტიანელები (თუ მახისტები XIX-XX-ე საუკუნეში), გაჰკივიან მატერიალიზმის და იდეალიზმის „დოგმატიკის“ წინააღმდეგ; მაგრამ იგი არ გაჰყვა არც ერთ ბეჩავ ფილოსოფიურ სისტემას და შეს-ძლო ფეიერბახის შემწეობით პირდაპირ მატერიალისტურ აზზე შემდგარიყო იდეალიზმის წინააღმდეგ. ოცდაათი წლის შემდეგ, „კაპიტალის“ პირველი ტომის მეორე გა-მოცემის ბოლოსიტყვაობაში, **მარქსი თავის მატერია-ლიზმს** ასევე ნათლად და გარკვევით უპირდაპირებს ჰეგე-ლის იდეალიზმს. ე.ი. ყველაზე თანმიმდევარ, ყველაზე განვითარებულ იდეალიზმს. ამასთანავე უკუაგდებს **კო-ნტის „პოზიტივიზმს“**. ხოლო საკუთარ ეპიგონებათ აცხა-დებს **თანამედროვე ფილოსოფესებს, რომელთაც ჰგონიათ ჰეგელი გავანადგურეთო**, ნამდვილათ კი კანტის და ჰიუმის შეცდომებს უბრუნდებიან. კუგელმანისადმი მიმართულ წერილში, რომელიც 1870 წლის 27 ივნისითაა დათარიღე-ბული, მარქსი ასეთივე ზიზღით ეპყრობოდა „ბიუხნერს, ლანგეს, დიურინგს და ფეხნერს“, მიტომ, რომ მათ ვერ შესძლეს ჰეგელის დიალექტიკის გაგება და აბუჩათ იგდე-ბენ მასო (პოზიტივისტს ბიზლის (Beesley) შესახებ მარქსი ამბობს 1870 წლ. 13 დეკემბრის დათარიღებულ წერილში: როგორც კონტის მიმდევარს, მას არ შეუძ-ლია სხვადასხვაბრუნდი Croteres არ გააკეთესო. (შე-

ად. აძას ენგელსის დაფასება ჰექსლის მსგავსი პოზიტივისტებისა).

გაიხსენეთ ბოლოს მარქსის ცალკე ფილოსოფიური შენიშვნები „კაპიტალში" და სხვა თხუზულებებში. ყველგან უცვლელ ძირითად მოტივს გაიგონებთ: **მატერიალიზმის** დაჟინებით აღიარებას და დაცინვას ყოველი მიფუჩეჩებისა, ყოველი არევ-დარევისა, ყოველი იდეალისტური გადახვევის მიმართ. მარქსის ყველა ფილოსოფიური შენიშვნა ამ ორი ძირითადი წინააღმდეგობის გარშემო ტრიალებს და პროფესორული ფილოსოფიის თვალსაზრისით, მისი შეცდომა ამ „სივიწროვესა" და „ცალმხრივობაში მდგომარეობს". ნამდვილად კი მარქსის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მას არ სურდა ანგარიში გაეწია **მატერიალიზმის და იდეალიზმის შერიგების პროექტებისათვის და წინ მიდიოდა ნათლად გარკვეული ფილოსოფიური გზით.**

ისევე, როგორც მარქსი, მისი თანამებრძოლი ენგელსი ყველა თავის თხუზულებაში ნათლად და მოკლედ ერთი მეორეს უპირისპირებდა იდეალისტურ და მატერიალისტურ ხაზს, არც 1878, არც 1888, არც 1891 წელს მას სერიოზულად არ მიუღია უთვალავი ცდა მატერიალიზმის და იდეალიზმის ცალმხრიობის „გადალახვისა", ახალი ხაზის გამონახვისა „პოზიტივიზმი" იქნებოდა იგი „რეალიზმი" თუ სხვა რაიმე პროფესორული შარლატანიზმი. მთელი ბრძოლა დიურინგის წინააღმდეგ ენგელსმა სავსებით გაატარა თანმიმდევარი მატერიალიზმის ლოზუნგის ქვეშ, იგი მატერიალისტ დიურინგს ბრალს სდებდა, სიტყვების კორიანტელში ახვევს საქმის ვითარებას, ბევრ რასმეს უთმობს იდეალიზმსო, იდეალიზმის პოზიციაზე გადადისო. ან ბოლომდე თანმიმდევარი მატერიალიზმი ან ფილოსოფიური იდეალიზმის სიცრუე და არევ დარევა, აი როგორაა დასმული კითხვა „ანტიდიურინგის" თვითეულ პარაგრაფში; ამის არ შემჩნევა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც ტვინი უკვე გაფუჭებული აქვთ რეაქციონური პროფესორული ფილოსოფიის მიერ.

1894 წლამდე, როცა ენგელსმა თავის უკანასკნელად გასინჯულ და შეესებულ „ანტიდიურინგს“ უკანასკნელი წიხასიტყვაობა დაუწერა, იგი შეუწყვეტლივ თვალ-ყურს ადევნებდა ახალ ფილოსოფიას და ახალ ბუნებისმეტყველებას, წინანდელი გაბედულებით იდგა თავის ნათელ და მტკიცე პოზიციაზე, უკუაგდებდა ახალ სისტემის ხაგავს.

„ლიუდვიგ ფეიერბახიდან სჩანს რომ ენგელსი თვალ ყურს ადევნებდა ახალ ფილოსოფიას. 1886 წლის დაბეჭდილებულ წინასიტყვაობაში ლაპარაკია თვით ისეთ მოვლენაზე, როგორიცაა კლასიკური გერმანული ფილოსოფიის აღორძინება ინგლისსა და სკანდინავიაში. ხოლო გაბატონებულ ნეოკანტიანობასა და ჰიუმიზზე ენგელსს სხვა სიტყვა ვერ უპოვია, გარდა უკიდურესი ზიზღისა (როგორც წიხასიტყვაობაში ისე წიგნის ტექსტში). ცხადია, რომ ენგელსი ხედავდა, თუ როგორ იძეორებდა მოდაში შემოსული გერმანული და ინგლისური ფილოსოფია ძველ, ჰეგელის წინანდროინდელ შეცდომებს, ჰიუმიზმის და კანტიანობის შეცდომებს და სიკეთეს ელოდა თვით ჰეგელისკენ მიბრუნებიდან (ინგლისსა და სკანდინავიაში): იმედი ჰქონდა ეს დიდი დიალექტიკოსი და იდეალისტი დაგვეხმარება წვრილმანი იდეალისტური და მეტაფიზიკური ძეცდომების დანახვაშიო.

ენგელსი დაწვრილებით არ იხილავს ნეოკანტიანობის ურიცხვ ნიუანსს გერმანიაში და ჰიუმიზმისა ინგლისში, იგი იმთავითვე უარყოფს მათს ძირითად გადახოას **მატერიალიზმისაკენ. ენგელსი ორივე სკოლის** მიმართულებას სთვლის „**უკან გადადგმულ მეცნიერულ ნაბიჯად**“. და როგორ აფასებს იგი უცილობლად „**პოზიტივისტურ**“. უცილობლად „რეალისტურ ტენდენციას ამ ნეოკანტიანელებისა და ჰიუმისტებისა, რომელთაგან მას არ შეეძლო ჰექსლი არ ცნობოდა, იმ „პოზიტივიზმს“ და „რეალიზმს“, რომელიც უამრავ გზადაბნეულ ადამიანს ხიბლავდა და ხიბლავს, ენგელსი საუკეთესო შემთხვევაში აცხადებდა ფილისტერულ ოინად, რომლის შემწეობით მატერიალიზმს ფარულად გვაპარებენ, ხოლო იმავე დროს

საკვანძოთ უაოყოფენ. საკმაოა ერთი წუთით დაუფიქრდეთ იმ გარემოებას, რომ ტ. ჰექსლი უდიდესი ბუნებისმეტყველი იყო, შეუდარებლად უფრო რეალისტურია რეალისტი და პოზიტივისტური პოზიტივისტი, ვიდრე მახი, ავენარიუსი და კომპ; გავიგოთ, რა ზიზღით შეხვდებოდა ენგელსი ზოგიერთი მარქსისტის გატაცებას „უახლესი პოზიტივიზმით" ან უახლესი რეალიზმით და სხვ.

მარქსი და ენგელსი თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში. ისინი ადვილად ამჩნევდენ ყოველივე გადახრას მატერიალიზმისაგან, ყოველივე დათმობას იდეალიზმისა და ფიდეიზმისადმი, რომელიც ამა თუ იმ უახლეს მიმართულებაში ხდებოდა. ამიტომ ჰექსლს ისინი მხოლოდ მატერიალიზმის თანამიმდევრობის თვალსაზრისით აფასებდენ. ამიტომ ფეიერბახს ჰკიცხავდენ იმისათვის, რომ მან მატერიალიზმი ბოლომდე ვერ გაატარა, რომ იგი უარს ამბობდა მატერიალიზმზე ზოგიერთი მატერიალისტის შეცდომების გამო, რომ სარწმუნოებას ებრძოლა მისი განახლებისა ან ახალი სარწმუნოების დაწესების მიზნით. რომ ბოლოს მან ვერ შესძლო სოციალოგიაში იდეალისტურ ფრაზას გაშორებოდა და მატერიალისტი გამხდარიყო.

და თავისი მასწავლებლების ეს უდიდესი და უძვირფასესი ტრადაცია სავსებით დააფასა და გადაიღო. ი.დიცგენმა, როგორიც არ უნდა იყოს მისი კერძო შეცდომები დიალექტიკური მატერიალიზმის გადმოცემაში. ბევრს სცოდავდა ი. დიცგენი, როცა მატერიალიზმის გზას ასცდებოდა ხოლმე, მაგრამ არასოდეს არ უცდია პრინციპიალურად გაშორებოდა მას, „ახალი" დროშა აეფრიალებია; ყოველთვის გადამწყვეტ მომენტში იგი მტკიცედ და კატეგორიულად აცხადებდა: მე მატერიალისტი ვარ, ჩვენი ფილოსოფია მატერიალისტურიაო. „პარტიათა შორის ყველაზე უხამსი შუაგულის პარტიაა, ამბობდა ჩვენი დიცგენი... როგორც პოლიტიკა, სადაც პარტიები ორ ბანაკად იყოფიან... ისევე მეცნიერებაც ორ გენერალურ კლასათ (Generalklassen) ნაწილდება: იქ არიან მეტაფი-

ზიკოსები, აქ ფიზიკოსები ანუ მატერიალისტები[1]) შუამავალი ელემენტები და სხვადასხვა სახელწოდების შემრიგებელი შარლატანები, სპირიტუალისტები, სენსუალისტები, რეალისტები და სხვა თავიანთი გზიდან ან ერთ მიმდინარეობაში ვარდებიან, ან მეორეში. ჩვენ ვითხოვთ გაბედულებას, ჩვენ გარკვეულობა გვსურს. იდეაალისტების[2]) სახელს რეაქციონერი ბნელეთის მოციქულები ირკვევენ, მატერიალისტები კი იმათ უნდა დაირქვან, ვინც სცდილობს ადამიანის გონება გაანთავისუფლოს მეტაფიზიკური აბდაუბდისაგან... თუ ჩვენ ერთ პარტიას რამეს მტკიცეს შევადარებთ, ხოლო მეორეს მიმდინარეს, მათ შუა რაღაც ფაფის მსგავსია 3)

სრული სიმართლეა „რეალისტები" და მათი მსგავსნი, მათ შორის „პოზიტივისტებიც", მახისტებიც და სხ. უბადრუკ ფაფას წარმოადგენენ, შუაგულის ბეჩავ პარტიას ფილოსოფიაში. ისინი ყოველ ცალკე საკითხში მატერიალისტურ და იდეალისტურ მიმართულებას ურევენ ერთმანეთში, ცდა ამ ორი ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებიდან გამოხტომისა. არაფერს შეიცავს, გარდა „შემრიგებელი შარლატანობისა" ი. დიცგენს სრულიად ეჭვი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ იდეალისტური ფილოსოფიის „მეცნიერული ხუცური იდეები" უბრალო შესავალია პირდაპირი ხუცობისა „მეცნიერული ხუცური იდეები, — წერდა იგი, სერიოზულად ცდილობს დახმარება გაუწიოს რელიგიურ ხუცობას" (გვ. 51) „განსაკუთრებით შემეცნების თეორიის დარგი, ადამიანის სულის არ ცოდნა ასეთ ტილიან ორმოს წარმოადგენს, სადაც კვე-

---

[1]) აქაც უხერხული შეუფერებელი გამოთქმაა ნახმარი: „მეტა, ფიზიკოსების" მაგივრად უნდა ეთქვა „იდეალისტები" სხვაგან ი დიცგენი თვით უპირისპირებს ერთმანეთს მეტაფიზიკოსებს და დიალექტიკოსებს.

[2]) როგორც ხედავთ დიცგენი უკვე ასწორებს თავის შეცდომას და უფრო სწორად აღნიშნავს, „ეს ეაა მატერიალისტების პარტია

[3]) შად. წერილი; „სოციალ დემოკრატიული ფილოსოფიის" დაწერილი 1875 წ. „Kleine philosoph. Schriften" 1903, s. 55.

რ(ჯ)ებს დებს მეცნიერული და რელიგიური ხუ(ჯ)ობა"... (51). „დიპლომიანი ლაქიების სიტყვებს ლაპარაკობენ „იდეალურ სიკეთილზე და ხალხს მაღალ ფარდოვანი იდეალიზმით აბრიყვებენ". აი რას წარმოადგენენ ფილოსოფიის პროფესორები ი. დიცგენის აზრით: „როგორც ღმერთის ანტიპოდი ეშმაკია, ისე პროფესორ ხლეის Kathederpafaffen ანტიპოდი მატერიალისტია" მატერიალიზმის შემეცნების თეორია უნივერსალური ინარალს წარმოადგენს რელიგიური რწმენის წინააღმდეგ (55), — არა მარტო „ყველასათვის ცნობილი, ნამღვილი ჩვეულებრივი ხუცური რელიგიის, არაქედ შეხარბოზებული იდეალისტების ამაღლებული პროფესორული რელიგიის წინააღმდეგაც"

„მეორეევ თავისუფალ მოაზროვნე პროფესორებთან შედარებით დიცგენი. „რელიგიურად პატიოსან ხალხს" აძლევდა უპირატესობას (60), — „აქ არის სისტემა, აქ არიან მთლიანი ადამიანები, რომელნიც არ სთიშავენ თეორიას და პრაქტიკასო, ბატ. პროფესორებისათვის ფილოსოფია მეცნიერება კი არ არის, არამედ სოციალ — დემოკრატიისაგან თავის ლაცვის საშუალებაო" (107.) „ისინი, ვინც თავიანთი თავს ფილოსოფოსებს და პრივატდოცენტებს უწოდებენ ყველანი ცრუმორწმუნეობასა და მისტიკაში არიან ჩაფლული, თავისუფალი აზროვნების მიუხედავად.. ყველანი ერთ რეაქციონურ მასას წარმოადგენენ სოციალ — დემოკრატიის მიმართ" (108). „თუ გინდა სწორი გზით ვიაროთ, ასე რომ არავითარმა რელიგიურმა და ფილოსოფიურმა აბდაუბდამ არ დაგვაბნიოს, უნდა შევისწავლოთ ყველაზე სახიფათო გზა der Halzweg, der Halzweg ფილოსოფია" (103).

ახლა ფილოსოფიური პარტიების თვალსაზრისით შეხედეთ მახსა. ავენარიუსს `და მათს სკოლას, ჰო ამ ვაჟბატონებს თავი მოაქვთ თავიანთი უპარტიულობით და მათ თუ ანტიპოდი ჰყავთ, მხოლოდ ერთი, მხოლოდ

მატერიალისტი. ყველა მახისტის ყველა ნაწერში წი. თელი ზოლით სჩანს რეგვენური პრეტენზია მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მალლა დადგომისა, ამ „დაძველებული წინააღმეგობის დაძლევისა. ნამდვილად კი მთელი ეს ძმობა ყოველ წუთში იდეალიზმში ვარდება, განუწყეტლივ შეუდრეკელ ბრძოლას აწარმოებს მატერიალიზმის წინააღმდეგ. ავენარიუსის რთული გნოსელოგიური აბრუნდები პროფესორულიონებად რჩება „თავიანთი“ პატარა ფილოსოფიური სექტის დაარსების ცდათ, ხოლო ნამდვილად თანამედროვე საზოგადოების იდეალთა და მიმართულებათა ბრძოლის ზოგად პირობებში, ამ გნოსეოლოგიური ოინების ობიექტიური როლი ერთი და მხოლოდ ერთია: იგი გზას უკვალავს იდეალიზმს და ფიდეიზმს, ერთგულ სამსახურს უწევს მათ. მართლაც. შემთხვევითი მოვლენა ხომ არ არის, რომ ემპერიოკრიტიკის პატარა სკოლას ებღაუჭებიან ინგლისელი სპირიტუალისტებიც როგორც მაგ. უორდი, ფრანგი ნიოკრიტიცისტებიც, რომელნიც მახს აქებენ მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და გერმანელი იმანენტებიც. ი. დიცგენის ფორმულა: „ფიდეიზმის დიპლომიანი ლაქიები“ პირდაპირ გულში ხვდება მახს, ავენარიუსს და მის სკოლას.

იმ რუსი მახისტების უბედურება, რომლებმაც წარმოადგინეს, მახიზმს და მარქსიზმს „ვარიგებთო“, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ენდენ ფილოსოფიის რეაქციონურ პროფესორებს. და თავღალმართში დაქანდენ. მეტის მეტად მარტივი იყო სხვადასხვა ცდის მეთოდები,რომლითაც მარქსის განგრძობას და შევსებას ცდილობდენ. წაიკითხავენ ოსტვალდს, დაუჯერებენ ოსტვალდს. მოგვითხრობენ ოსტვალდს. ამას მარქსიზმს უწოდებენ. წაიკითხავენ მახს, დაუჯერებენ მახს, მოგვითხრობენ მახს, ამას მარქსიზმს უწოდებენ. არც ერთ ამ პროფესორს რომელსაც შეუძლია მეტად ძვირფასი შრომები მოგვცეს ქიმიის ისტორიის სპეციალურ დარგებში, ერთ სიტყვასაც ვერ ვენდობით, რაკი ლაპარაკი ფილოსოფიაზე ჩამოვარდება. რატომ. იმა-

ვე მიზნების გამო, რომლითაც პოლიტიკური ეკონომიის პროფესორს, რომელსაც შეუძლია ძვირფასი შრომა მოგვცეს, როცა საქმე ფაქტიურ სპეციალურ კვლევა-ძიებას ეხება, ვერც ერთს სიყტვას ვერ ვენდობით როცა ლაპარაკი პოლიტიკურ ეკონომიის ზოგად თეორიაზე იწყება. მიტომ რომ ეს უკანასკნელიც ისეთივე პარტიული მეცნიერებაა თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც გნოსეოლოგია. საზოგადოთ პროფესორი—ეკონომისტები კაპიტალისტების სწავლული ნოქრები არიან, ხოლო ფილოსოფიის პროფესორები — თეოლოგების სწავლული ნოქრები.

(იხ. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი).

ფრ. ენგელსი.

5. მატერიალიზმი და იდეალიზმი.

დიდი ძირითადი საკითხი ყველა, სპეციალურად კი ახალი ფილოსოფიისა არის საკითხი აზროვნების და არსის დამოკიდებულების შესახებ. კიდევ ძალიან შორეული დროში, როდესაც ადამიანი საკუთარი სხეულის აგებულებაზე ჯერ უცოდინარეობაში იმყოფებოდა, ხოლოდ სიზმრის გამო მივიდა წარმოდგენამდე, რომ მისი აზროვნება და შეგრძნება მისი სხეულის აყოფი კი არა, არამედ ერთი განსაკუთრებული ამ სხეულში მცხოვრები და სიკვდილის შემდეგ სხეულის დამტოვის სულის— იმ დროიდან იძულებული იყო ადამიანი ამ სულის გარე ქვეყანასთან დამოკიდებულების შესახებ თავის შეხედულება გამოეთქვა, რადგან ის (ე. ი. სული) სიკვდილის დროს სხეულს შორდებოდა და სიცოცხლეს აგრძელებდა. ცხადია, არავითარი საფუძველი არ არსებობს მისთვის ახალი სიკვდილი მიეწერათ, ასე წარმოიშვა წარმოდგენა სულის უკვდავებაზე; ეს სულის უკვდავება ხალხის კანვითარების იმ საფეხურზე არავითარ სანუგეშოს არ შეიცავდა, არამედ ის იყო აუცილებელი ბედისწერა ზო-

გიერთ შემთხვევაში, როგორც მაგალითად ბრძნებისა-
ოვის, ნამდვილ უბედურებაც კი იყო: რელიგიური ნუ-
ბეშის საჭიროებისაგან კი არ წარმოდგა ოცნება შესა-
ხებ პირადი უკვდავებისა, არამედ იმის უცოდინარეობის
გამო თუ რა ექნა სულისთვის მაშინ, როდესაც სხეული
მკვდარი იყო. სწორეთ ამგვარადვე ბუნების ძალების გა-
პიროვნებების საშუალებით წარმოსდგნენ პირველი ღმე-
რთები, რომლებიც რელიგიების განვითარების დროს მე-
ტათ და მეტათ არა ამ ქვეყნიური სახეს ღებუ-
ლობენ, და ბოლოს სულიერი განვითარების გა-
მო ბუნებრივად შექმნილ აბსტრაქციის (ის კი არა მე მი-
ნდა ვთქვა დესტილაციის) პროცესის საშუალებით
ბევრი შევიწროებულან. ერთი მეორეს შემვიწროებელ
ღმერთებისაგან ადამიანის თავში წარმოიშვა ერთი ღმე-
რთი ე.ი. მონოთეისტური რელიგიების ღმერთი.

ამრიგად მთელი ფილოსოფიის უდიდეს საკითხს, სა-
კითხს აზროვნებისა და არსის, სულისა და ბუნების დამო-
კიდებულების შესახებ, ისე როგორც ყველა რელიგიას,
საფუძველი ველური ადამიანის შეზღუდულ და უმეცარ
წარმოდგენაში აქვს. მაგრამ მთელი თავისი სიმწვავით
ეს საკითხი მხოლოდ მაშინ იქნა დასმული, თავის დიდ
მნიშვნელობას მაშინ შიაღწია მან, როცა ევროპის კაცო-
ბრიობამ ქრისტიანული საშუალო საუკუნოების საზამთ-
რო ძილისაგან გამოიღვიძა. საკითხი შესახებ აზროვნებისა
და არსის დამოკიდებულებისა, რომელმაც სხვათა შორის
სქოლასტიკობაშიაც დიდი როლი ითამაშა, საკითხი: რა
არის უმთავრესი — სული თუ ბუნება? — ეს საკითხი

---

[1]) ველურებსა და ბარბაროსულად მცხოვრებ ხალხებს შ·რის
დღემდისაც საყოველთაოდ გავრცელებულია წარმოდგენა, რომ სიზ-
მარში მოჩვენებული ადამიანის ხატები სულებია, რომლებიც დროებ-
ით სხეულს სტოვებენ, ამიტომ ნამდვილი ადამიანი პასუხისმგებელი
ყველა იმ მოქმედებისათვის, რასაც ის სიზმარში მოიმოქმედებს, მა-
გალითად იმთურმა 1884 წ. ეს მოვლენა შეამჩნია გვინეულ ინდოე-
ლებში.

ეკლესიის მიმართ გამოიხატა: ღმერთმა შექმნა ქვეყანა, თუ ქვეყანა დასაბამიდან არსებობს?

იმისდამიხედვით, თუ როგორ უპასუხებდენ ამ საკითხს ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკათ გაიყვნენ. ისინი, რომლებიც სულის პირველდასაბამობას წინააღმდეგ ბუნებისა — ამტკიცებდენ, ე.ი. ასე თუ ისე ქვეყნის გაჩენის აქტს ღებულობდენ (და ეს ქვეყნის შექმნა ზოგიერთ ფილოსოფოსებთან, აი მაგ. ჰეგელთან უფრო დაბნეული და შეუძლებელია, ვიდრე თვით ქრისტიანობაში) შეადგენდენ იდეალისტების ბანაკს. დანარჩენი, რომლებიც ბუნების პირველობას სცნობდენ, ეკუთვნოდენ მატერიალიზმის სხვა და სხვა სკოლებს.

ეს ორი ტერმინი — მატერიალიზმი და იდეალიზმი — პირველად სხვა აზრით არ იხმარებოდა და არც ჩვენ ვიხმართ მათ აქ სხვა აზრით.

მაგრამ აზროვნების და არსის ურთიერთობის საკითხს სხვა მხარეც აქვს: რა დამოკიდებულება აქვს ჩვენს აზრებს გარემოცულ ქვეყანასთან? შეუძლია თუ არა ჩვენს აზროვნებას ნამდვილი ქვეყნის შეცნობა, შეუძლია თუ არა ჩვენს წარმოდგენას და ცნებას სინამდვილის სწორი სარკის ანარეკლი შექმნას? ფილოსოფიურ ენაზე ამას აზროვნების და არსის იგივეობის საკითხი ჰქვია; ფილოსოფოსების დიდი უმრავლესობა ამ საკითხზე დადებითად უპასუხებს. ასე, მაგ. ჰეგელის დადებითი პასუხი ამ კითხვაზე თავისთავად იგულისხმება, ნამდვილ სამყაროში ჩვენს სწორედ მის გონებისდაგვარ შინაარს შევიცნობთ, სწორედ იმას ცის წყალობითაც მსოფლიოში აბსოლუტური იდეის თანდათანობითი განხორციელებაა, რომელიც მსოფლიოს გაჩენამდე სადღაც არსებობდა სრულიად დამოუკიდებლად. თავისთავად იგულისხმება, რომ აზროვნებას შეუძლია იმ შინაარსის შეცნობა, რომელიც იმ თავითვე სავსებით აზრის შინაარსია. არა ნაკლებ გასაგებია ისიც, რომ ამგვარი მსჯელობით ვამტკიცებთ მხოლოდ იმ დებულებას, რომელსაც გამოუთქმელათ უკვე ვგრძნობდით ჩვენს პოსტულატში. ამან ხელი არ შეუშალა ჰეგელს

აზროვნების და არსის იგივეობისაგან ის დასკვნა გამოეტანა, რომ რაკი ჩემი აზროვნება მართებულად ალიარებს ჩემსავე ფილოსოფიას, მაშასადამე, ერთად - ერთი სწორი ფილოსოფია ყოფილა და აზროვნებისა და არსის იგივეობის გამო კაცობრიობამ ეს ფილოსოფია დაუყონებლივ თეორიიდან პრაქტიკაში უნდა გადაიტანოს და მთელი ქვეყანა ჰეგელის საფუძველზე მოაწყოს. ეს არის ის ილიუზია, რომელიც ჰეგელს ახასიათებს თითქმის სხვა ყველა ფილოსოფოსთან ერთად.

მაგრამ არის ისეთი ფილოსოფოსებიც, რომელნიც ან საზოგადოთ უარყოფენ სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას ან, ყოველ შემთხვევაში, შეუძლებლად სთვლიან სრულ მის შეცნობას. ახლებს შორის ასეთი არიან მაგალითად, ჰიუმი და კანტი, რომელთაც ძლიერ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ფილოსოფიურ განვითარებაში. ამ მოაზროვნეების მკვეთრი კრიტიკა, რომელიც საზოგადოთ შესაძლებელი კი იყო იდეალიზმის თვალსაზრისით, უკვე ჰეგელმა მოგვცა. ფეირბახის მიერ დამატებული მატერიალისტური მოსაზრებანი უფრო გონებამახვილობას მოწმობენ, ვიდრე ღრმა აზროვნებას. ყველაზე კარგად კი ამ ფილოსოფიურ „თხზულებას“ თვით პრაქტიკა აღღვევს, ე.ი. ექსპერიმენტი და ინდუსტრია. თუ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ესა თუ ის ბუნების მოვლენა გვაქვს სწორედ შეცნობილი იმით, რომ თვით გამოვიწვევთ მას, წარმოვშობთ შესაფერი პირობების მიხედვით და ვაიძულებთ ჩვენ მიზნებს ემსახუროს ამით კანტის „საგანს თავის - თავად“ ბოლო ეღება. ქიმიური შეერთებანი, რომელნიც ცხოველებისა და მცენარეების სხეულში იქმნებიან, იყვნენ ამგვარი „საგნები „თავის - თავად“, სანამ ორგანულმა ქიმიამ არ ისწავლა მათი მომზადება, ამის შემდეგ „საგნები თავის—თავად“ გადიქცენ საგნებად ჩვენთვის, მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ მარენის საღებავი, ალიზარინი, რომელსაც ახლა ქვანახშირის ფისისაგან ბევრად უფრო იაფად, და ადვილათ ეღებულობთ, ვიდრე წინათ ვღებულობდით,

როცა ის მიწდევრებში, მარენის ფესვებში იზრდებოდა. კოპერნიკის სისტემას სამაი წლის განმავლობაში დიდი დამაჯერებელი ძალა ჰქონდა, მაგრამ მაინც ჰიპოტეზად დარჩა. ხოლო, როცა ლევერრიემ, ამ სისტემის ძირითადი მოსაზრების მიხედვით, არა თუ დაამტკიცა, რომ კიდევ ერთი წინათ უცნობი პლანეტი უნდა არსებობდეს, არამედ გამოანგარიშების შემწეობით მისი ადგილიც განსაზღვრა ზეციურ სივრცეში და, როცა ამის შემდეგ გალლემ მართლაც თვით ეს პლანეტიც აღმოაჩინა, (ე.ი. ნეპტუნი მ.გ.) კოპერნიკის სისტემა საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა და თუ დღეს ნეოკანტიანელები გერმანიაში კანტის შეხედულებათა აღდგენას სცდილობენ, ხოლო ინგლისელი აგნოსტიკოსები ჰიუმის შეხედულებათა აღდგენისათვის ზრუნავენ (ეს შეხდულებანი ინგლისში საბოლოოდ არასოდეს არ მომკვდარან), ეს, ამ მეცნიერულად და პრაქტიკულად დიდი ხანია უარყოფილი თვალსაზრისის მიმართ, მეცნიერულათ უკუქცევითი მოძრაობაა, პრაქტიკულად კი მას ის აზრი აქვს რომ, ამ მორცხვ ადამიანებს შეაძლებლობა ენიჭებათ უკან კარებში შემოუშვან იგივე მატერიალიზმი, რომელიც წინა კარებიდან იდევნება საზოგადოების დასანახად.

მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დეკარტიდან ჰეგელამდე და ბაბსიდან ფოიერბახამდე ფილოსოფოსებს წინ მარტო ერთად-ერთი წმინდა აზროვნების ძალა როდი ეწოდა, როგორც ეს თვით ძათ ჰქონდათ წარმოდგენილი, პირიქით ნამდვილათ მათ წინ ეწეოდა ბუნებისმეტყველებისა და მრეწველობის უზარმაზარი სულ უფრო და უფრო აჩქარებულ წარმატება. მატერიალისტების ნაწერებში ეს პირდაპირ თვალში გვიჭერ. მაგრამ იდეალისტების სისტემებიც შეუჩერებლივ მატერიალისტური შინაარსით იმსჭვალებოდა და პანტეიზმის შემწეობით მატერიისა და სულის წინააღმდეგობის გადალახვას ცდილობდა. ბოლოს ჰეგელის სისტემაში კი

საქმე იქამდე მივიდა, რომ ის მეთოდითაც და შინაარსითაც გადაყირავებული მატერიალიზმი აღმოჩნდა.

3. ლენინი.

მარქსის მატერიალიზმი.

1844—5 წლეებიდან როცა მარქსის შეხედულებანი ჩამოყალიბდნენ, იგი მატერიალისტი იყო. სახელდობრ ლ. ფეიერბახის მომხრე. შემდეგ იგი ამ უკანასკნელის სუსტ მხარეს მისი მატერიალიზმის თანმიმდევრობის უქონლობასა და ცალმხრიობაში ხედავდა. მარქსი ფეიერბახის მსოფლიო ისტორიულ, „ეპოქის შემქნელ“ მნიშვნელობათ სთვლიდა სწორეთ იმას, რომ მან გაბედულად კავშირი გასწყვიტა ჰეგელის იდეალიზმთან და აღიარა მატერიალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ „XVIII-საუკუნეში, განსაკუთრებით საფრანგეთში, წარმოადგენდა ბრძოლას არა მარტო არსებულ პოლიტიკურ დაწესებულებათა და მათთან ერთად რელიგიის და თეოლოგიის წინააღმდეგ, არამედ ყოველი მეტაფიზიკის წინააღმდეგაც“ (მეტაფიზიკა გაგებული როგორც „მთვრალი სპეკულიაცია“, „ფხიზელი ფილოსოფიიდან“ განსხვავებული). (იხ. „წმინდა ოჯახი“ „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“). — „ჰეგელისათვისო, — სწერდა მარქსი, — აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტად აქცევს, სინამდვილის დემიურგია (შემოქმედი)—ჩემთვის კი, პიროქით, იდეალური იგივე მატერიალურია ადამიანის თავში გადატანილი, და იქ დამუშავებული“ (კაპიტალი, 1, მეორე გამოც. წინასიტყვ.). ფრ. ენგელსი, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა მარქსის მატერიალისტურ ფილოსოფიას და გადმოსცემდა მას, სწორედ სწერდა „ანტიდიურიგში“ (მარქსი. ამ ნაწარმოებს ხელნაწერში გაეცნო): „სამყაროს ერთიანობა მდგომარეობს არა მის არსში, არამედ მის მატერიალობაში, რომელიც მტკიცდება ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების ხანგრძლივი და მძიმე განვითარე-

ბით... მოძრაობა მატერიის ყოფნის ფორმაა. არსად და არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს მატერია უმოძრაოთ, მოძრაობა უმატერიოთ... თუ საკითხს დავსვამთ რა არის აზროვნება და შემეცნება, საიდან ვღებულობთ მათ, ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი ადამიანის ტვინის პროდუქტებია, ხოლო თვით ადამიანი ბუნების ნაწარმოებია, რომელიც ერთგვარ ბუნების გარემოში განვითარდა ამ გარემოსთან ერთად. ამიტომ თავის - თავად იგულისხმება, რომ ადამიანის ტვინის ნაწარმოებნი, რომელნიც საბოლოო ანგარიშში ბუნების ნაწარმოებთ წარმოადგენენ, არ ეწინააღმდეგებიან ბუნების დინარჩენ ურთიერთობას, არამედ შეესაბამებიან მას" „ჰეგელი იდეალისტი იყო". ე.ი. მისთვის ჩვენი თავები აზრები წარმოადგენდენ არა ნამდვილი საგნების და პროცესების ანარეკლებს ხან და ხან ენგელსი „ანაბეჭდებზე" ლაპარაკობს, არამედ. პირიქით. საგნები და მათი განვითარება ჰეგელისთვის სადღაც ქვეყნის წარმოშობამდე არსებული იდეის ასახვა იყო", თავის თხზულებაში „ლუდვიგ ფეიერბახი", რომელშიც ფრ. ენგელსი გადმოსცემს თავის და მარქსის შეხედულებებს ფეიერბახის ფილოსოფიაზე და რომელიც ენგელსმა მხოლოდ მას შემდეგ გაგზავნა დასაბეჭდად. როცა წინასწარ გადაიკითხა თავისი და მარქსის ძველი, 1844-5 წლების ხელნაწერი ჰეგელსა. ფეიერბახსა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებაზე. იგი სწერს: „ყოველი, განსაკუთრებით უანლესი ფილოსოფიის ძირითად საკითხს აზროვნების და არსის, სულის და ბუნების ურთიერთობის საკითხი წარმოადგენს... რა უსწრებს წინ: სული ბუნებას, თუ ბუნება სულს... ფილოსოფოსები ორ ბანაკად გაიყვნენ იმისდამიხედვით. თუ როგორ უპასუხებდენ ამ საკითხს. ისინი, რომელნიც ამტკიცებდენ. რომ სული ბუნებაში ადრე არსებობდაო, რომელიც მაშასადამე. ასე თუ ისე სამყაროს გაჩენას აღიარებდნენ, იდეალისტურ ბანაკში მოექცნენ. ხოლო ისინი, რომელნიც ძირითად დასაწყისიდან ბუნებას სთვლიდენ. მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლას მიემხრ-

ნენ". ფილოსოფიური იდეალიზმის და მატერიალიზმის ცნებების სხვანაირი გაგება არევდარევას იწვევს. მარქსმა გადაჭრით უარყო არა მარტო იდეალიზმი, რომელიც ყოველთვის, ასე თუ ისე სარწმუნოებასთან არის დაკავშირებული არამედ განსაკუთრებით ჩვენ ეროში გავრცელებული ჰიუმის და კანტის თვალსაზრისიც, აგნოსტიციზმი, კრიტიციზმი, სხვა და სხვა სახის პოზიტივიზმი: იგი „რეაქციონურად" სთვლიდა ამ ოთ ფილოსოფიას, იდეალიზმისადმი დათმობით-ხოლო საუკეთესო შემთხვევაში „მატერიალიზმის მორცხვად უკანა კარებში შემოშვებათ, როცა იგი იდევნება საზოგადოების დასანახვათ". (იხ. საკითხზე, გარდა მარქსის და ენგელსის დასახელებულ ნაწერებისა, მარქსის წერილი ენგელსისადმი, 1866 წლის 12 დეკემბრით დათარიღებული,) სადაც იგი აღნიშნავს ცნობილი ბუნებისმეტყველი ტ. ჰექსლის ჩვეულებრივზე „უფრო მატერიალისტურ" გამოსვლას. და მის აღსარებას, რომ რამდენადაც ჩვენ მართლაც ბუნებას ვაკვირდებით და ვაზროვნებთ. არ შეგვიძლია მატერიალიზმის ნიადაგს მოვსცილდეთ; მარქსი უსა ყვედურებს მას „გასაძრომი" დაიტოვა აგნოსტიციზმის, ჰიუმიზმისკენო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარქსის შეხედულება თავისუფლებისა და აუცილებლობის დამოკიდებულებაზე: „აუცილებლობა ბრმაა, სანამ იგი. შეგნებული არაა. თავისუფლება აუცილებლობის შეგნებაა" (ენგელსი „ანტიდიურინგში"), აღიარებაა ბუნების ობიექტიურ კანონშეზომილებისა და აუცილებლობის დიალექტიკურ გადაქცევისა თავისუფლებათ. მის გვერდით ხდება შეუცნობელი, მაგრამ შესაცნობელი „თავისთავადი საგნის" გადაქცევა „საგნათ ჩვენთვის", „საგნების არსებისა" „მოვლენებად". „ძველი", სხვათა შორის ფეირბახისეული (მით უმეტეს ბიუხნერ ფონტმოლეშოტის „ულგარული") მატერიალიზმის ძირითად ნაკლად მარქსი და ენგელსი სთვლიდენ: 1) იმას რომ ეს მატერიალიზმი „უმთავრესად მექანიკური იყო და ანგარიშს არ უწევდა

თანამედროვე ქიმიის და ბიოლოგიის განვითარებას (დღეს უნდა დაგვეძატებია კიდევ მატერიის ელექტრონული თეორია); 2) იძაბ რომ ძველი მატერიალიზმი არა ისტორიული, არა დიალექტიკური იყო, (მეტაფიზიკური იყო ანტიდიალექტიკის აზრით), თანმიმდევრად და ყოველ მხრივ არ ატარებდა განვითარების თვალსაზრისს, 3) რომ მას „ადამიანის არსება" ესმოდა აბსტრაქტულათ და არა როგორც განსზღვრული კონკრეტულ ისტორიული საზოგადოებრივი ურთიერთობის „მთლიანობა", და ამიტომ მხოლოდ „განმარტავდა" სამყაროს, მაშინ როცა საქმე ეხება მის „შეცვლას", ერთი სიტყვით, ძველ მატერიალიზმს ჯერ ესმოდა „რევოლუციურ პრაქტიკული მოღვაწეობის" მნიშვნელობა.
(იხ. ლენინის წიგნაკი: „კარლ მარქსი").

გ. პლეხანოვი.

8. მატერიის ცნება მატერიალისტების ბანმარტებით.

ბ-ნი ბერნშტაინი ერთ თავის წერილში სწერს: „წმინდა, ანუ აბსოლუტური მატერიალიზმი სწორედ ისევე სპირიტუალისტურია; როგორც წმინდა და აბსოლუტური იდეალიზმი, ორთავე ჰგულისხმობს (თუმცა სხვა და სხვა თვალსაზრისით), რომ აზროვნება და არსი იდენტიურია. ბოლოს და ბოლოს ისინი მხოლოდ გამოთქმის საშუალებით განსხვავდებიან. პირიქით, ახალი მატერიალისტები პრინციპიალურად ისევე ხელაღებით დგებიან კანტის თვალსაზრისზე, როგორც ეს ჩაიდინა თანამედროვე დიდებულ ბუნებისმეტყველთა უმრავლესობამ" Neue Zeit № 34.

ეს დანასკვი ფრიად საინტერესოა. მაგრამ რა არის „წმინდა ანუ აბსოლუტური მატერიალიზმი." ბ-ნი ბერნშტაინი ამ საკითხზე პასუხს როდი იძლევა. ამის მაგივრად მოჰყვას შენიშვნაში ერთ ერთი „უახლესი" მატერიალისტის განმარტება, რომელიც საკუთრივ „კანტისებურად" ამბობს „ჩვენ ატომი მხოლოდ გვწამს".

ცხადია, ბ-ნი ბერნშტაინის აზრით, „წმინდა ანუ აბსოლუტური" მატერიალისტები ვერასოდეს ვერ შეიწყნარებენ ზემოხსენებულ განმარტებაში დახასიათებულ აზროვნებისა და თქმის ხერხს. რამდენად მართლდება ფილოსოფიის ისტორიის მიერ ბერნშტაინის ეს გაგება აი, რა არის საკითხავი. რომელთ შორის უნდა ვიგულოთ ჰოლბახი? „წმინდა" თუ „არა წმინდა" მატერიალისტთა შორის? ცხადია, პირველთა შორის, მაგრამ რა აზრისა იყო ჰოლბახი მატერიის შესახებ.

ᲫᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲪᲮᲐᲓᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲐᲡ.

„ჩვენ არც ერთი საგნის რაობა არ ვიცით, თუ აბსიტყვით ვიგულისხმებთ იმას, რაც მის (საგნის) საკუთარ ბუნებას შეადგენს, მატერიას ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ იმ შეგრძნებათა და იდეათა მიხედვით, რომელთაც იგი იძლევა, შემდეგ ჩვენ გავსჯით ძას, ცუდათ ან კარგად, იმის მიხედვით, თუ როგორია ჩვენი ორგანოების მოწყობა".[1]). და შემდეგ.

ჩვენთვის მატერია არის ის, რაც იწვევს გარეგანი გრძნობის გაღიზიანებას და თვისებები, სხვაადასხვა მატერიებს რომ მივაწერთ დაფუძნებულია იმ სხვა და სხვა შთაბეჭდილებებსა თუ ცვლილებებზე, რომელთაც ისინი ჩვენ"ში მოახდენენ".[2]).

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐᲜᲗ:

„ჩვენ არ ვიცით არც რაობა მატერიისა არც ნამდვილი ბისი ბუნება, თუმცა უნარი გვაქვს ზოგიერთი მისი თვისება და რომელობა გამოვარკვიოთ იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმეედებს იგი ჩვენზე".[3]).

მივხედოთ ახლა მეორე მატერიალისტ – ჰელვეციუსს. აქვს თუ არა მატერიას გრძნობის უნარი? ამ საკითხს, რომელიც მე-XVIII საუკუნის მრავალ ფრანგ ფი-

---

[1]) Systeme de la Natute. I, p .28,
[2]) Ibid I, p. 28
[3]) Ibid II, p. 116, 1871 წ. გამოცემა

ლოსოფოსს ეინტერესებოდა და რომელსაც ჩვენ შემდეგში კვლავ დავუბრუნდებით, ჰელვეციუსი შემდგენაირად უპასუხებს: „ამაზე დიდი ხანი დაობენ. ძალიან გვიან მიხვიდენ, დაჰკითხებოდნენ თავის თავს სახელდობრ, რაზე დაობენ და აგრეთვე სიტყვა მატერიასთან უკვე, გარკვეული ცნება დაეკავშირებინათ. ამ დავის დაწყებისთანავე სიტყვა „მატერიის" მნიშვნელობა რომ სწორედ გამოერკვიათ, მიხვდებოდნენ, რომ ადამიანები, აბა, ვთქვათ, მატერიის შემოქმედნი არიან [1]) *. მე მგონია, ეს ციტა უფრო ნათელია ვიდრე თქმა: „ჩვენ მხოლოდ გვწამს ატომი"

ჰოლბახისა და ჰელვეციუსის ფილოსოფიური იდეები მე ჩემს თხუზულებაში „მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევში" გავარჩიე. ამიტომ აქ მე მათ დაწერილებით განხილვას აღარ გამოვუდგები. ერთს რასმე აღვნიშნავ, მხოლოდ: **ჰელვეციუსისათვის სხეულების არსებობა ჩვენს გარეშე მხოლოდ საეგებიოა.** იგი დაბეინის „ფილოსოფიურ ფანტაზიებს". მისი აზრით ჩვენ დაკვირვებას უნდა მივყვებოდეთ და შევჩერდეთ იმ მომენტშივე, როდესაც იგი აღარ გვახლავს. ჩვენ უნდა გვქონდეს გაბედულება არ ვიცოდეთ ის, რის ცოდნაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია" [2]).

რობინე ავტორი წიგნისა „Dela Nature", აღნიშნავს: „ჩვენ, ჩვენი ბუნების მიხედვით მოკლებულნი ვართ უნარს შევიცნოთ ის, რაც საგრაობას შეადგენს. ჩვენ ხელთ არაა არავითარი ღონისძიება მის შესაცნობად. რაობის შეცნობა ჩვენს ძალთა გარეშეა". [3]).

ხსენებულ თხზულების სხვა ადგილას იგი ამბობს: „სულმა თავის საკუთარ რაობის შესახებ მეტი არა იცის

---

[1]) „De l'Esprit" Discourt I, chap. IV

[2]) **იხ. Очерки по истории Материализм გვ. 87 და შემდეგი.**

[3]) De la Nature-Amsterdam M. Dies L. XIII.

რა, რაც სხვა რაობათა შესახებ. იგი იმდენადვე ნაკლებად განსჭვრეტს თავის თავს, რამდენადაც მასთან დაკავშირებულ სხეულის მასას, რომლის ცხოველობითი ძალებს იგი ვერ გრძნობს და ვერც ხედავს განა ეს საკვლევი კანტისებურათ არ არის ნათქვამი?

მოუსმინოთ ახლა ლამეტრის მატერიალისტურ ფილოსოფიის ამ „enfent perdu-ის იმ ადამიანს, რომელ მაც თავის გაბედულობით ფრიად გამბედავნიც კი გააკვირვა, იგი ამბობს:

ადამიანისა და ცხოველთა სულის რაობა ჩვენთვის უცნობია და მარადის უცნობად დარჩება, ისევე როგორადაც მატერიისა და ნივთიერების რაობა. თუმცა ჩვენ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს მატერიის რაობაზე, მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვართ აღვიაროთ არსებობა იმ თვისებათა, რომელთაც ჩვენი გარეგანი გრძნობები აღმოაჩენ[1] მატერიაში).

თავის „Abrege des Svstemes-ში, აკრიტიკებს რა სპინოზას ფილოსოფიას, ლამეტტრი სწერს.

„ჩვენი სული გარემყარის საგნებს ვერ შეიცნობს, ის ამ საგანთა მიმართებითს და მხოლოდ რამოდენიმე ცალკე ცალკე თვისებას სრულიად განყენებულს, იცნობს. დაბოლოს, გრძნობათა და იდეათა უმრავლესობა იმდენად დამოკიდებულია ჩვენს ორგანოებზე, რომ იგინი სულ სვე იცვლება, თუ იცვლება ეს უკანასკნელები.“

როგორც ვხედავთ, ერთ ერთი „აპსოლუტიურ“ მატერიალისტთაგანი აქ ისევ საკვლევით „კანტისებურად“ ლაპარაკობს და მის მსგავს განცხადებებთან შედარებით ფრიად კომიკურია დებულება: „ჩვენ მხოლოდ გვწამს ატომი“ რაიც ბ-ნი ბერნშტაინს მოჰყავს, როგორც მხოლოდ რაღაც სრულიად „ახალი“ რამ.

იქნებ ბ-ნ ბერნშტაინს ჰგონია ფრიდრიხ ენგელსმა არ იცოდა, რომ ატომი ჩვენ მხოლოდ გვწამს?

---

[1]) „Ocures philosphiques de Monsieur de la Mettri-“ Amsterdam MDCCJXIV, I pp. 83, 87.

საფიქრებელია, რომ ენგელსმა ეს ფრიად კარგად იცოდა მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა კანტის ფილოსოფიასთან ებრძოლნა და თავის წიგნში: „ლუდვიგ ფოიერბახი“ შემდეგი სტრიქონები დაეწერა: და თუ გერმანელი ნეოკანტიანელები ცდილობენ კანტის შეხედულებანი, ხოლო ინგლისელი აგნოსტიკები იუმის შეხედულებანი (რომელნიც ინგლისში სავსებით არასოდეს გამქრალა) მკვდრეთით აღადგინონ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ თეორიამაც და პრაქტიკამაც დიდი ხანია გააკრეა როგორც პირველი, ისე მეორე. ეს მეცნიერულის მხრით უკან სვლას ნიშნავს, ხოლო პრაქტიკაში ამ მორცხვს ადამიანებს შესაძლებლობას ანიჭებს, უკანა კარიდან შემოუშვან სწორედ ის მატერიალიზმი, რომელსაც ქვეყნის დასანახავად წინა კარებში უარი ეთქვა“.

იქნებ ბ-ნმა ბერნშტაინმა ამის საწინააღმდეგოთ ბრძანოს: ენგელსს თვითონაც ნათლად არ ესმოდა თუ რაშია აქ საქმეო?

ბ-ნი ბერნშტაინი დიდიხნის განმავლობაში ფრ. ენგელსთან ახლობელ ურთიერთობაში ცხოვრობდა და მისი ფილოსოფია ვერ გაიგო. ბერნშტაინს შეეძლო უდიდეს მოაზროვნის მდიდარ სალაროდან ორიგე ხელი ეხვეჭნა და იგი კი იძულებული ყოფილა ბ-ნ კონრად შმიდტის qvasi ფილოსოფიური წერილი წაეკითხნა რათა ფილოსოფიურ საკითხებით დაინტერესებულიყო და თავის თავს დაჰკითხებოდა: მართლაც და, რას წარმოადგენს ჩემი მასწავლებლის ფილოსოფია? უფრო საკვალო ისაა, რომ ბერშტაინისათვის საკმარისი ყოფილა ბ-ნ კ. შმიდტის ორიოდე პარალოგიზმის გაცნობა, რათა ზღურბლს გარეთ გადაესროლნა მთელი ეს ფილოსოფია. ეს დაუჯერებელია. მაგრამ თქმია. ეს ფრიად სამწუხაროა მარქს-ენგელსის სკოლისათვის და ფრიად სამწუხაროა უპირველესად ყოვლისა თვით ბ-ნ ბარნშტაინისათვის.

მაგრამ რანაირადაც გნებავთ შეხედოთ, ჩვენ არავითარი ხასიათი არა გვაქვს ამ „კრიტიკოსის“ კვალს გავ-

ყვეთ, როდესაც ეგი მოგვიწოდებს: „უკან კანტისაკენო' პირიქით, ჩვენ მასვე მოუწოდებთ: უკან ფილოსოფიის შესწავლისაკენ.

(სტატიიდან „ბერნშტაინი და მატერიალიზმი).

3. ლენინი.

II. მატერიის გნოსეოლოგიური რაობა.

მატერიალიზმი და იდეალიზმი განსხვავდება იმის მიხედვით თუ როგორ სწყდება საკითხი ჩვენი შემეცნების დასაბამის შესახებ, თუ როგორ გამოიხატება შემეცნებისა ე. ი. „ფსიქიური" და „ფიზიკური ქვეყნის" დამოკიდებულების საკითხი, მატერიის შენების საკითხი. ე. ი. მატერიის ატომისტური თუ ელექტრონული გაგება. ეხება მხოლოდ ამ „ფიზიკურს ქვეყანას". როდესაც ფიზიკოსები ამბობენ: „მატერია ჰქრება". ამით მათ იმის თქმა სურთ, რომ აქამდე ბუნებისმეტყველება ფიზიკური ქვეყნის დასაბამში არსებედა სამ ცნებას: მატერია, ელექტრობა და ეთერი. ახლა კი დარჩა ორი უკანასკნელი. მატერია დაყვანილი იქნა ელექტრობაზე. ატომს ხსნიან. როგორც მზის სისტემისადაგვარ დაუბოლოვებულ მცირეს, რომლის შინაგან ნაწილებში დადებითი ელექტრობაა. ირგვლივ უდიდესი სიჩქარით სრბოლავს უარყოფითი ელექტრობა, ამრიგად „ფიზიკური ქვეყანა" ნაცვლად ათეული ელემენტებისა აშენებულია ორი თუ სამი ელემენტებისაგან. ფიზიკოსი პელლს ამბობს, რომ დადებითი და უარყოფითი ელექტრობა არის „ორი არსებითად განსხვავებული მატერია," ე.ი. ბუნებისმეტყველებას მიეყენებართ „მატერიის მთლიანობისაკენ" [1]. ეი ერთად ერთი შინაარსი იმ ფრაზისა, რომელიც ამბობს, რომ „მატერია ჰქრება". მატერიის ადგილს ელექტრობა იქერს და სხვ.

---

[1]) (ხ. Oliver Lodge, Sur les electrons Paris, 1906 p 139. „მატერიის ელექტრონული თეორია, ე. ი ფუნდამენტალურ სუბსტანციათ ელექტრობის აღიარება, არის თეორიული მიღწევა იმისა რა. ს ც მიეცნრაფენ ოდენ ფილოსოფოსები ე. ი. მატერიის მთლიანობისა

„მატერია ჰქრება“—ეს იმას ნიშნავს, რომ ჰქრება ის საზღვარი, სანამდე ჩვენ მატერიას ვიცნობდით, ჩვენი ცოდნა კი წინ მიდის, ის ღრმავდება, ჰქრებიან მხოლოდ მატერიის ის თვისებები, რომლებიც ჩვენ აქამდე აბსოლუტური, უცვლელი და პირველობით გვეგონა (გაუსმენელობა, ინერტიულობა, მასა და სხვა): ახლა აღმოჩნდა, რომ ეს თვისებები შეფარდებული ყოფილან მატერიის ზოგიერთ მდგომარეობასთან. მატერიის ერთად ერთი „თვისება“ კი, რომლის აღიარება ფილოსოფიური მატერიალიზმის საქმეა, არის მისი ობიექტიური რეალობის სახით არსებობა, ყოფნა დამოუკიდებლად ჩვენი ცნობიერებისაგან.

მახიზმი და მახისტური ფიზიკის შეცდომა, არის ის, რომ ყურადღებას არ აქცევენ ფილოსოფიური მატერიალიზმის ამ უძირითადეს საფუძველს: მახიზმი ვერ ამჩნევს აგრეთვე იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მეტაფიზიკურს და დიალექტიკურ მატერიალიზმის შორის. აღიარება იმისა, რომ არსებობს უცვლელი ელემენტები, საგნების რაღაც უცვლელი არსება და სხ. არ არის მატერიალიზმი, ეს მხოლოდ მეტაფიზიკური, ე.ი. ანტიდიალექტიკური მატერიალიზმია. ასეთი გაგების წინააღმდეგ დიცგენი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მეცნიერების საგანი დაუბოლოვებულია“, ბოლომდე მისი შემეცნება შეუძლებელია, ამოუწურავია, არამც თუ დაუბოლოვებლობა, არამედ თვით „უმცირესი ატომიც“, ბუნებას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული (Kl. phil. Schriften. გვ. 229-230) გამო მოჰყავს ფრ. ენგელსს ქვანახშირის კუპრიდან ალიზარინის მიღების მაგალითი და აკრიტიკებს მექანისტურ მატერიალიზმს. იმისთვის, რომ საკითხი ერთად ერთი სწორი, ე. ი. დიალექტიკურ მატერიალისტურ თვალსაზრისით დავსვათ, უნდა ვიკითხოთ: არსებობს თუ არა ადამიანის ცნობიერებიდან დამოუკიდებლად, ე. ი. ობიექტური რეალობის ელექტრონი, ეთერი, თუ სხვა რამე? ამ საკითხს ბუნებათმეცნიერებამ ისეთივე დადებითი პასუხი უნდა გასცეს, როგორც მაგ. იმათ

უყოყმანოთ მიღებული აქვთ, რომ ბუნება ადამიანამდე არსებობდა, არაორგანიული ქვეყანა ორგანიულამდე. ამით კი საკითხი მატერიალიზმის სასარგებლოთ სწყდება. როგორც ვსთქვით, მატერიის ცნება გნოსეოლოგიურად სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არ ობიექტიურ რეალობას, რომელიც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, (ცნობიერება მხოლოდ სახავს მას.
(ვ. ლენინი „მატერიალიზმი და ემპიროიკრიტიციზმი")

კ. მარქსი.

მეორე დავალება.

10. მე-XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის შესახებ.

არსებობს ფრანგული მატერიალიზმის ორი მიმართულება: ერთი წარმოსდგება დეკარტიდან მეორე ლოკიდან. ეს უკანასკნელი მიმართულება განსაკუთრებით ფრანგულ განმანათლებელ ელემენტს წარმოადგენს და პირდაპირ სოციალიზმს ერთვის. პირველი მიმართულება კი, მექანიკური მატერიალიზმი, ფრანგული ბუნებისმეტყველებაში გადადის, ორივე მიმართულება ერთი მეორეში იხლართება განვითარების მსვლელობაში. ჩვენთვის საჭირო არ არის დეკარტიდან მომავალი ფრანგული მატერიალიზმის განხილვა, არც ნიუტონის ფრანგ მიმდევრების სკოლაზე ლაპარაკი. არც საზოგადოთ ფრანგული ბუნებისმეტყველების ვათვალისწინება.

აღვნიშნოთ მხოლოდ შემდეგი: თავის ფიზიკაში დეკარტე მატერიას შემოქმედებითი ძალას ანიჭებს და მექანიკური მოძრაობას მისი სიცოცხლის გამოხატულებათ სთვლის, ის სრულიად სთიშავს თავის ფიზიკას თავის მეტაფიზიკიდან. მისი ფიზიკის საზღვრებში მატერია ერთადერთ სუბსტანციას წარმოადგენს, არსისა და შემეცნების ერთად ერთს საფუძველს.

ფრანგული მექანიკური მატერიალიზმი დეკარტის ფიზიკას მიემხრო მისი მეტაფიზიკის წინააღმდეგ. მისი

მიმდევრები პროფესიით ანტიმეტაფიზიკოსები ყვნენ ე. ი. ფიზიკოსები.

ეს სკოლა ექიმ ლერუადან იწყება და თავის უმაღლეს განვითარებას ექიმ კაბანისში აღწევს. ექიმი ლამეტრი მისი ცენტრია. ჯერ კიდევ დეკარტეს სიკოცხლეში ლერუა სულს მიუდგა თავის მასწავლებლის შეხედულებით ცხოველის აგებულებაზე და სული სხეულის მოდუსად გამოაცხადა, ხოლო იდეები მექანიკურ მოძრაობად. ლერუას კი ეგონა, რომ დეკარტმა დამალა თავისი ბამდვილი აზრი ამ საგნის შესახებ. დეკარტმა პროტესტი გუნაცხადა. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს კაბანისმა დაამთავრა კარტეზიული მატერიალიზმის შემუშავება, თავის წიგნში: Rapport du phynque et du moral de ذhomme.

კარტეზიული მატერიალიზმი დღესაც არსებობს საფრანგეთში. მისი დიადი წარმატება მექანიკური ბუნებისმეტყველების წარმატება იყო.

მეჩვიდმეტე საუკუნის მეტაფიზიკას, რომლის მთავარი წარმომადგენელი საფრანგეთში დეკარტე იყო, დაბადების დღიდანვე მატერიალიზმში უმთავრესი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მატერიალიზმმა დეკარტის წინააღმდეგ გაილაშქრა გასსენდის სახით, რომელმაც ეპიკურის მატერიალიზმი აღადგინა. ფრანგულ და ინგლისურ მატერიალიზმს ყოველთვის მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა ეპიკურსა და დემოკრიტთან. კარტეზიული მეტაფიზიკის მეორე მოწინააღმდეგე ინგლისელი მატერიალისტი ჰობბსი იყო. გასსენდიმ და ჰობბსმა მოწინააღმდეგე თავიანთ გარდაცვალების შემდეგ დაამარცხეს, იმ დროს, როცა ის ოფიციალურად ყველა ფრანგულ სკოლებში ბატონობდა.

ვოლტერი აღნიშნავს, რომ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგების გულგრილობა იეზუიტებისა და იანსენისტების კამათისადმი იმდენად ფილოსოფიის გავლენით არ აიხსნება, რამდენადაც ლოუს ფინანსიურ სპეკულიაციებით და მართლაც, მეჩვიდმეტე საუკუნის მეტიფიზიკის

დამხობა მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტური თეორიის გავლენით მხოლოდ იმდენად შეიძლება აიხსნას, რამდენადაც თვით ეს უკანასკნელი თეორეტიული მოძრაობა მაშინდელი ფრანგული ცხოვრების პრაქტიკით შეიძლება აიხსნას. ეს ცხოვრება უშუალო თანადროულობას. საქმეა ქვეყანას, ამ ქვეყნიურ სიამოვნებასა და ამ ქვეყნიურ ინტერესებს ეყრდნობოდა. მის ანტითეოლოგიურ, ანტიმეტაფიზიკურ. მატერიალისტურ პრაქტიკას უნდა შეგუებოდა ანტითეოლოგიური, მატერიალისტური თეორია, მეტაფიზიკამ პრაქტიკულად ყოველივე კრედიტი დაჰკარგა. ის ყოფნა დამტკიცებულიყო" (იხ. ჰიუმის დასახელ. შოკლე მიმოხილვის გაკეთება.

მეჩვიდმეტე საუკუნეში მეტაფიზიკა კიდევ პოზიტიური მსოფლიური შინაარსით იყო აღსავსე (გავიხსენოთ დეკარტე, ლაიბნიცი და სხვა). ის აღმოჩენებს აკეთებდა მათემატიკაში, ფიზიკასა და სხვა მეცნიერებაში, რომელნიც თითქმის მასთან იყვნენ დაკავშირებულნი. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში საეჭვო კავშირი უკვე გაწყდა. პოზიტიური მეცნიერებები გამოეყვნენ მეტაფიზიკას და დამოუკიდებული დარგები შეადგინეს ამგვარად იმ დროს, როცა მთელი ინტერესი რეალურ ქვეყანასა და მიწიერ საგნებს მიეპყრო, მეტაფიზიკის მთელი სიმდიდრე იდეებისა და ღვთაებრივი საგნებით შემოიზღუდა. ეს კი ძეტის-მეტად მკლე რამე იყო. იმავე წელში, რომელშიაც უკანასკნელი დიდი ფრანგი მეტაფიზიკოსები, მალბრანში და არნო გარდაიცვალნენ. პელვეციუსი. კონდილიაკი დაიბადნენ.

იმ ადამიანს, რომელმაც საზოგადოთ მეტაფიზიკას და კერძოთ მეჩვიდეტე საუკუნის მეტაფიზიკას თეორიაში ყოველი ნდობა დაუკარგა. პიერრ ბაილი ერქვა. მისი იარაღი იყო სკეპტიციზმი, რაც თვით მეტაფიზიკის სასწაულ - მომქმედ ფორმულებიდან იყო გამოკვეთილი. ბაილი თავდაპირველად დეკარტის მეტაფიზიკას ეყრდნობა. ჩვენს დროში ფაიერბახი სპეკულიატური თეორიის საწინააღმდეგო ბრძოლაზე გადავიდა. სწორედ იმი-

ტომ რომ ფილოსოფიურ სპეკულიაციაში მან თეოლოგიის უკანასკნელი საყრდელი დაინახა. მისთვის საჭირო იყო თეოლოგიების გადარეკა ყალბ მეცნიერულ პოზიციებიდან, რათა ისინი იძულებულნი გამხდარიყვნენ ხელი ტლანქ, პირველყოფილ რწმენებაში ეძებნათ. სწორედ ამგვარადვე რელიგიურმა ეჭვიანობამ ბაილი მეტაფიზიკას შეაჯახა. რომელიც სარწმუნოებას იცავდა. იმან მთელი მეტაფიზიკის ისტორია კრიტიკული განხილვის საგნათ აქცია. ბაილი მეტაფიზიკის ისტორიკოსი გახდა, რათა მისი გარდაცვალების ისტორია დაეწერა. ის განსაკუთრებით სპინოზასა და ლეიბნიცს უარჰყოფდა.

პიერრ ბაილმა მეტაფიზიკა სკეპტიკიზმის შემწეობით გახარწნა და ამით საფრანგეთში კარგი ნიადაგი ბოლშევიზმად მატერიალიზმსა და საღი გონების ფილოსოფიას, კიდევ მეტი: ის ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია ათეისტებიდან შემდგარი საზოგადოების არსებობა, რომ ათეისტი შეიძლება ძალიან პატივსაცემი ადამიანი იყოს. რომ ადამიანს ათეიზმი კი არა. ცრუმორწმუნეობა და ეკლეზიასტიკა ამცირებს. ის იყო მახარობელი ათეისტური საზოგადოებისა, რომლის არსებობა ჩქარა უნდა დაწყებულიყო.

ერთი ფრანგი მწერლის სიტყვით. პიერრ ბაილი „უკანასკნელი მეტაფიზიკოსი იყო მეჩვიდმეტე საუკუნის მნიშვნელობით და პირველი ფილოსოფოსი მეთვრამეტე საუკუნის აზრით.“

მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის თეოლოგიის და მეტაფიზიკის ნიკეტიური დარღვევის გარდა. საჭირო იყო დადებითი ანტიმეტაფიზიკური სისტემის შექმნება. დაიბადა მოთხოვნილება ისეთ წიგნზე, რომელიც სისტემატიურად დაალაგებდა და თეორიულად დაასაბუთებდა იმ დროინდელ ცხოვრების პრაქტიკას. ლოკის თხუზულებამ „ადამიანის გონების წარმოშობა“-ზე. სწორედ დროზე მოუსწრო. სრუტის გალმა ნაპირიდან მას აღტაცებით შეეგებენ, როგორც სასურველს და ძვირფასს სტუმარს.

საკითხი: არის ლოკკი სპინოზას მოწაფე? „უბრალო“ ისტორიას შეუძლია პასუხის გაცემა: მატერიალიზმი დიდ-ბრიტანეთის ღვიძლია შვილია. ჯერ კიდევ მისი სქოლასტიკოსი დუნს სკოტტუს თავის თავს ეკითხებოდა: „შეუძლია თუ არა მატერიას აზროვნება“?

რომ ასეთი სასწაული შესაძლებელი გამხდარიყო. ის ღმერთის ყოვლის შემძლეობას მიმართავდა, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან თეოლოგია აიძულა მატერიალიზმი ექადაგნა. ამას გარდა ის ნომინალისტი იყო. ნომინალიზმი ინგლსელ მატერიალისტების აზრებში უმთავრეს ელემენტს შეადგენს და ის საზოგადოდ მატერიალიზმის პირველ გამოხატულებას წარმოადგენს.

მაგრამ ინგლისური მატერიალიზმის და ახალ დროის მთელი ექსპერიმენტული მეცნიერების ნამდვილი მამამთავარი ბეკონი იყო. მისთვის ჭეშმარიტი მეცნიერება ბუნებისმეტყველებაა, ხოლო გარეგნული გრძნობების მოწმობაზე დაყრდნობით ფიზიკა ბუნებისმეტყველების მთავარი ნაწილია. მის ავტორიტეტებათ ხშირად გამოდიან ანაქსაგორი თავისი ჰომოიომერებით და დემოკრიტი თავისი ატომებით. მისი აზრით, გრძნობებს, რომელნიც ცოდნის ერთად ერთს წყაროს წარმოადგენენ, არ შეუძლიათ ჩვენი შეცდომაში შეყვანა. მეცნიერება არის ცდა. ის წარმოადგენს რაციონალურ მეთოდის შემწეობით გრძნობების მიერ მოცემულ მასალის დამუშავებას. ინდუქცია, ანალიზი, შედარება, დაკვირვება, და ა. რაციონალური მეთოდის მთავარი პირობები. მატერიის პირველ და უმთავრეს თანდაყოლილ თვისებას მოძრაობა წარმოადგენს, არა მარტო მექანიკური და მათემატიკური მოძრაობა, არამედ მოძრაობა, როგორც მისწრაფება, ცხოველი სული, დაჭიმულობის ძალა, მატერიის ტანჯვა. იაკობ ბემეს სიტყვით რომ ვთქვათ, მატერიის პირვანდელი ფორმები მასზე მიკუთვნებული ინდივიდუალური, ცხოველი ძალები არიან, რომელნიც არსებათა სპეციალურ განსხვავებას ჰქმნიან.

თავის პირველ შემოქმედის, ბეკონის აზროვნებაში, მატერიალიზმი კიდევ სხვადასხვა ჩანასახების გულუბრ-ყვილო შეერთებას წარმოადგენს. მატერია კიდევ პოეტურ გრძნეულ ელვარებას ინარჩუნებს და ალეგორიულად ულიმის მთლიან ადამიანს. აფორისტულ ფორმაში გამოხატული მოძღვრება კი, პირიქით თეოლოგიური ულოლიკობითაა აღსავსე.

თავის შედგომ განვითარებაში მატერიალიზმი ცალმხრივი ხდება. ჰობბსი ბეკონის მატერიალიზმის სისტემატიკოსი იყო. მსჭვრეტელობა მის თვალში ფერს ჰკარგავს და გეომეტრიის გამოყენებულ მსჭვრეტელობად იქცევა. ფიზიკური მოძრაობა მსხვერპლად ეწირება მექანიკურ, ან მათემატიკურ მოძრაობას. გეომეტრია უმნიშვნელოვანეს მეცნიერებათ ცხადდება. მატერიალიზმი ადამიანობის მოძულე ხდება. მატერიალიზმმა თვით უნდა იწყოს სხეულის დათრგუნვა. ასკეტი უნდა გახდეს, რათა საბოლოოდ თავის უკანასკნელი საფარიდან ადამიანობის მოძულე, უსხეულო სული გამოაგდოს. ძატერიალიზმი გამოდის გონების არსების სახით; მაგრამ ზიმდეევნობით ანვითარებს გონების ყველა დასკვნებს.

ბეკონის მოძღვრების საფუძველზე ჰობბსი ამტკიცებს, რომ თუ სრულ ჩვენს ცოდნას გარე გრძნობები გვაძლევს, მსჭვრეტელობა, აზრი წარმოდგენა და სხვ.

მხოლოდ ფანტონები ყოფილან ხორცშესხმული ქვეყნისა. რომელიც ცოტათ თუ ბევრად მოკლებულია ‘ადაკუთარ გარეშე. გრძნობებისათვის მასაწვდომ ფორმებს. მეცნიერებას მხოლოდ ამ ფანტომების სახელწოდების მოცემა შეუძლია. ერთი და იგივე სახელი შეიძლება რამოდენიმე ფანტომს მიუდგეს ერთს და იმავე დროს. შეიძლება აგრეთვე სახლთა სახელი იქნას გამოგონილი. მაგრამ ეს იქნებოდა წინააღმდეგობა, თუ გადავსწყვეტდით რომ რა კი ყველა იდეები გარეშე ქვეყნის მოვლენებისაგან წარმოსდგებიან, გარდა იმ კერძო არსებებისა, რომელნიც ჩვენს წარმოდგენაში გამოჰკრთიან, კიდევ რაღაც ზოგიერთი არსებებიც არიან. უსხეულო სუბსტანცია ისე-

თავი წიაალმდეგობაა, როგორც უსხეულო სხეული სხეული, არსი. სუბსტანცია ერთი და იგივე რეალური იდეაა. არ შეიძლება აზრის გამოყოფა იმ მატერიიდან, რომელიც აზროვნობს. მატერია ყველა ცვლილებების სუბიექტია. სიტყვა დაუსრულებელი უაზროა, როცა ის სხვა რასმე ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია ყოველი მოცემული რაოდენობა დაუსრულებლივ გავადიდოთ რადგან აღქმას და შემეცნებას მხოლოდ მატერიალური ქვეყანა ექვემდებარება, ღვთაების არსებობაზე ჩვენ სრულიად არაფერი არ ვიცით. უეჭველია მხოლოდ ჩემი საკუთარი არსებობა. ყოველი ადამიანური გულისთქმა მხოლოდ ახლად დაწყებული ანახლად [illegible] მექანიკური მოძრაობაა. ბესწრაფებათა ობიექტი ისაა, რასაც ჩვენ [illegible] ადამიანი იმგვარივე კანონებს ემორჩილება [illegible] ბუნება. ძალასა და თავისუფლებას შორის სრული იგივეობაა.

ჰობბსმა სისტემატიურად დაალაგა ბეკონი, მაგრამ დაწვრილებით არ შეუმუშავებია [illegible] ინდივიდუალ[illegible] ბ[illegible]ნციპი[illegible] იდეებისა და ცოდნის წარმოშობა [illegible] [illegible] [illegible]

აღიარა, რომ არ შეიძლება ფილოსოფია არსებობდეს ადამიანის ჯანსაღ გარეგნულ გრძნობის მოწმობის და მასზე დამყარებულ გონების გარეშე.

ლოკკის პირდაპირმა მოწაფემ და ფრანგულად გადმომთარგმნელმა კონდილიანმა ლოკკის სენსუალიზმი დაუყონებლივ მეჩვიდმეტე საუკუნის მეტაფიზიკის წინააღმდეგ მიმართა. ის ამტკიცებდა რომ ფრანგები მარტივულად მოიქცენ, როცა ის უკუაგდეს, როგორც ფანტასიის უბრალო და მახინჯი ნაყოფი. მან გამოსცა ლ. ლორტეს, სპინოზას, ლაიბნიცის და მალბრანშის სისტემის კრიტიკა თავის თხუზულებაში „Essaj sur l'origine des connaissances humaiines" (ცდა ადამიანური ცოდნის წარმოშობის შესახებ) კონდილიაკი იმ აზრს ატარებდა, რომ არა მარტო სული, არამედ გარე გრძნობებიც, არა მარტო იდეების შედგენის ნიჭი, არამედ შთაბეჭდილების მიღების ნიჭიც ცდისა და ჩვეულების საქმეა, ამიტომ ადამიანის მთელი განვითარება აღზრდასა და გარეშე გარემოებაზეა დამოკიდებული. მხოლოდ ეკლექტიურმა ფილოსოფიამ შესძლო კონდილიაკის გაძევება ფრანგულ სკოლებიდან.

ფრანგული და ინგლისური მატერიალიზმის სხვადასხვაობა სრულიად შეეფერება ამ ორ ერს შორის არსებულ განსხვავებას. ფრანგებმა ინგლისურ მატერიალიზმს სული, ხორცი და სისხლი შეასხეს და გონებამახვილება და მჭერმეტყველობა მისცეს, მიანიჭეს აგრეთვე ტემპერამენტი და გრაცია. ერთი სიტყვით, მატერიალიზმს ცივილიზაცია შეათვისებინეს.

ჰელვესიუსის წყალობით, რომელიც აგრეთვე ლოკკის მოძღვრებიდან გამოდიოდა მატერიალიზმმა წმინდა ფრანგული ხასიათი მიიღო. ის პირდაპირ საზოგადოებრივ ცხოვრებას მიუდგა (ჰელვეციუსი „Del homme" ადამიანისათვის") ყოველი ზნეობის საფუძველს გარე გრძნობების მიერ მიღებული შთაბეჭდილებები, ეგოიზმი, სიამოვნება სწორად გაგებული პირადი ინ-

ტერესი წარმოადგენს. მისი სისტემის მთავარი მომენტებია: ყველა ადამიანების სულიერი ნიჭის ბუნებრივი თანასწორობა, თანაბარობა გონების და მრეწველობის წარმატების შუა, ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება კეთილისადმი, აღზრდის ყოვლის შემძლებლობა. ლამეტტრის ნაწარმოები კარტეზიული მატერიალიზმის შეერთებას წარმოადგენს ინგლისურთან. ლამეტტრი დეკარტის ფიზიკის წვრილმანსაც კი იყენებს. მისი "L,homme machine („ადამიანი მანქანა") დეკარტის „ცხოველი მანქანის" მიხედვითაა აშენებული, ჰოლბახის „Systeme ete"-ში („ბუნების სისტემა") ფიზიკის ნაწილი აგრეთვე ფრანგული და ინგლისური მატერიალიზმის შეერთებას წარმოადგენს, ხოლო ეთიკა ჰელვეციუსის მორალს ეყრდნობა. ფრანგი მატერიალისტი, რომელიც მეტაფიზიკასთან ყველაზე მჭიდროთ იყო დაკავშირებული და ამიტომ ენგელსის ქებას ეღირსა სახელდობრ რობინე („De la Nature" ბუნებისათვის) პირდაპირ ლეიბნიცს ეყრდნობა.

ჩვენთვის საჭირო არ არის არც ვოლნეის, დიუპოს, დიდროს და სხვების, არც ფიზიოკრატების გახსენება, რაკი ფრანგული მატერიალიზმის ორმაგი წარმოშობა გამოვააშკარავეთ, (ერთი მხრით დეკარტის ფიზიკისა და მეორე მხრით ინგლისური მატერიალიზმიდან) და აგრეთვე ფრანგული მატერიალიზმისა და მეჩვიდმეტე საუკუნის, ე. ი. დეკარტის, სპინოზას, მალბრანშის და ლეიბნიცის მეტაფიზიკის წინააღმდეგობა აღნიშნეთ. გერმანელებმა ეს წინააღმდეგობა მხოლოდ იმის შემდეგ დაინახეს, როცა თვით აჯანყდენ სპეკულიატური მეტაფიზიკის წინააღმდეგ.

როგორც კარტეზული მატერიალიზმი ბუნების მეტყველებათ იქცა, ისე ფრანგული მატერიალიზმის მეორე მიმართულება პირდაპირ სოციალიზმსა და კომუნიზმის ერთვის.

დიდი ჭკუა არ არის საჭირო რომ დაინახო, თუ რა აუცილებელი კავშირი აქვს კომუნიზმსა და სოციალ-

ლიზმთან ფრანგულ მატერიალიზმის მოძღვრებას—ყველა ადამიანების ბუნებრივი ნიჭის თანასწორობისა. ქეთილისადმი ბუნებრივი მიდრეკილების, გამოცდილების, ჩვეულების და აღზრდის ყოვლის შემძლებლობის, ადამიანზე გარეშე მოვლენების გავლენის წარმოების მაღალი მნიშვნელობის, სიამოვნების, ზნეობრივ კანონიერ ბის და სხვათა და სხვა გარეშე ქვეყნიდან და ამ ქვეყანაში შეძენილ გამოცდილებიდან ღებულობს, მაშინ ცხადია ეს გარეშე ქვეყანა ისე უნდა მოეწყოს, რომ ადამიანმა ღირსეული შთაბეჭდილებანი მიიღოს. ჭეშმარიტად ადამიანურ ურთიერთობას შეეჩვიოს, თავის თავი ადამიანათ იგრძნოს. თუ სწორედ გაგებული პირადი ინტერესი ყოველი ზნეობის საფუძველია, საჭიროა ვიზრუნოთ იმის შესახებ. რომ კერძო პირის ინტერესები ეთანხმებოდეს კაცობრიობის ინტრესებს. ამ სიტყვის მატერიალისტურ მნიშვნელობით ე. ი. თუ პირი თავისუფლება მდგომარეობს არა ამა თუ იმ მოქმედების აცდენის შესაძლებლობაში. არამედ თავისი პირადი თვისებების გამოაშკარავებაში, საჭიროა არა კერძო პირების დასჯა ჩადენილ დანაშაულებისათვის არა-მედ თვით დანაშაულობის ანტი-საზოგადოებრივი წყაროების მოსპობა და საზოგადებაში ყოველი ცალკე ადამიანის სამოქმედოთ შესაფერი ადგილის განთავისუფლება. თუ ადამიანის ხასიათს გარემოებანი ჰქმნიან, საჭიროა ამ გარემოებათა გარდაქმნა ისე, რომ ისინი ღირსნი იყვნენ ადამინისა.თუ ბუნებამ ადამიანი საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის დანიშნა, ცხადია ის მხოლოთ საზოგადოებაში გამოააშკარავებს თავის ნამდვილ ბუნებას. მისი ბუნების ძალა უნდა შესწავლული იქნა: არა ცალკე პირებზე, არამედ მთელს საზოგადოებაზე.

ესა და ამგვარი დებულებანი თითქმის სიტყვა-სიტყვით გვხვდება უძველეს ფრანგ მატერიალისტების ნაწერებში. მათი აქ განხილვა უადგილო იქნებოდა. მატერიალიზმის სოციალისტური ტენდენციაც ძლიერ კარგად გამოკრთის ლოკკის ერთს უპირველეს მოწოფეს,

მანდევილის, ე. წ. გარყვნილებათა დაცვაში. მანდევილი ამტკიცებს, რომ გარყვნილება აუცილებელი და სასარგებლო არის თანამედროვე საზოგადოებაში. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ ის თანამედროვე საზოგადოებას იცავდეს.

ფურიე უშუალოდ ფრანგული მატერიალიზმის მოძღვრებიდან გამოდის, ბაბეფის მიმდევრები ტლანქი, გაუნათლებელი მატერიალისტები იყვნენ. მაგრამ უფრო განვითარებული კომუნიზმიც პირდაპირ ფრანგულ მატერიალიზმიდან გამოდის სწორედ იმ სახით, რომელიც მატერიალიზმს ჰელვეციუსმა მისცა, ეს მიმართულება თავის სამშობლოს ინგლისს უბრუნდება — ჰელვეციუსის მორალზე ააშენა ბენტანმმა თავისი სისტემა სწორად გაგებული ინტერესისა, ბენტამის სისტემის საფუძველზე კი ოუენმა ინგლისური კომუნიზმი ააშენა. ინგლისში ემიგრანული ცხოვრების დროს ფრანგი კაბე გაიმსჭვალა იქაური კომუნისტური იდეებით და საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ კომუნიზმის ყველაზე პოპულიარული, მაგრამ იმავე დროს ყველაზე ნაკლებ ღრმა წარმომადგენელი გახდა. იმავე მეცნიერული მიმართულების ფრანგი კომუნისტები: დეზამი, გაი და სხვები მატერიალისტურ მოძღვრებას ანვითარებენ, რომელიც რეალურ ჰუმანიზმსაც წარმოადგენს და კომუნიზმის ლოგიკურ საფუძველსაც. (იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი: „Die heilige Familie, Nachlass I. S 222-240.

ფრ. ენგელსი

11) მექანიკური მატერიალიზმის კრიტიკა.

წარსული საუკუნის მატერიალიზმი უმთავრესად მექანიკური იყო. ეს იმით აიხსნება, რომ ყველა ბუნებათმეცნიერებიდან ერთგვარ საბოლოო დასკვნამდე მისული იყო მხოლოდ მექანიკა და ისიც მხოლოდ სიმძიმის მექანიკა. ე. ი. მიწისა და სამყაროს მკვრივ სხეუ-

ლთა მექანიკა. ქიმია მხოლოდ მის ბავშურ ფლოგისტურ ჩანასახში არსებობდა. ბიოლოგია მხოლოდ ეცნებაში იყო. მცენარის და ცხოველის ორგანიზმი ჯერ კიდევ ძალიან უხეშად იყო გამორკვეული, მის ფუნქციებს წმინდა მექანიკურ მიზეზებით ხსნიდენ, როგორც დეკარტისათვის ცხოველი ისე მე-XVIII საუკუნის მატერიალისტებისათვის ადამიანი მხოლოდ მანქანა იყო სპეციფიური, მაგრამ იმ დროისთვის აუცილებელი, ნაკლი ფრანგულ კლასიკური მატერიალიზმისა იმაში მდგომარეობს, რომ ის მექანიკური საზომით ზომავდა ყველა ქიმიურ და ორგანიულ მოვლენას, ამ მოვლენებზე რასაკვირველია, მექანიკურ კანონებსაც აქვთ გავლენა, მაგრამ აქ ისინი სხვა უფრო მაღალი ტიპის კანონებით არის დაჩრდილული.

მეორე სპეციფიური ნაკლი ამ მატერიალიზმისა ის იყო, რომ მან ვერ შესძლო ქვეყანა გაეგო ისე, როგორც პროცესი, როგორც ისტორიულ განვითარების დაქვემდებარებული ნივთი, ეს რასაკვირველია, ეფარდებოდა ბუნებათმეცნიერების განვითარების მაშინდელ საფეხურს და მასთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ აზროვნების მეტაფიზიკურ, ე. ი ანტიდიალექტიკურ მეთოდს. ბუნება რომ მაგრად მოძრაობის პროცესია-ეს მაშინაც იცოდენ, მაგრამ ეს მოძრაობა მაშინდელი წარმოდგენის მიხედვით ერთს უცვლელ წერტილში ტრიალებდა. ის სულ ერთსა და იმავე დასკვნებს იძლეოდა და ასეთი წარმოდგენა იმ დროს, რასაკვირველია, აუცილებელი იყო, კანტის თეორია შესახებ მზის სისტემის წარმოშობისა ახალი წამოყენებული იყო და ჯერ კიდევ უბრალო კურიოზს წაგავდა. დედამიწის განვითარების ისტორია, გეოლოგია, იმ დროს სრულიად უცნობი იყო, და წარმოდგენა რომ დღეს არსებული ცოცხალი არსებანი ხანგრძლივი განვითარების მსვლელობის შედეგია, უბრალოსაგან რთულისაკენ,—იმ დროს მეცნიერულად სრულიად შეუძლებელი რამ იყო. ასე, ბუნებაზე არა ისტორიული შეხედულება ამ დრო-

ისთვის აუცილებელი იყო. როგორ შეიძლება მე-XVIII საუკუნის ფილოსოფოსებს ეს შეცდომები არ ვაპატიოდ, როდესაც მათ ჩვენ ჰეგელთანაც კი ვნახულობთ.

ჰეგელისათვის ბუნება, როგორც უბრალო გამოვლინება იდეისა, მოკლებული დროში განვითარების საშუალებას, მას აქვს უნარი თავის მრავალსახიანობა სივრცეში გაშალოს, და ამგვარად, იძულებულია მუდმივ ერთი და იგივე პროცესი განიმეოროს. ერთსა და იმავე დროს და ერთი მეორის გვერდით ის აყენებს ყველა მასში მოთავსებულ განვითარების საფეხურებს და ამ უაზროებას (ე. ი. განვითარებას არა დროში, რომელიც ყოველ განვითარების ძირითადი პირობაა, არამედ სივრცეში) ჰეგელი თავზე ახვევდა ბუნებას იმ დროს, როცა უკვე საკმაოდ განვითარებული იყო გეოლოგიაც, მეცნიერებისა და ცხოველების ფიზიოლოგიაც, ორგანიული ქიმიაც, და როცა ამ ახალი მეცნიერების საფუძველზე ყველგან გენიალური ჰიპოთეზები იბადებოდნენ, თანამედროვე განვითარების თეორიის წინამორბედნი (მაგ. გიოტე და ლარმარკი) უკვე არსებობენ, მაგრამ ამას მოითხოვდა სისტემა, ხოლო სისტემის გულისათვის მეთოდს თავის თავისთვის უნდა ელალატნა.

ასეთი არა ისტორიული გაგება ჰფლობდა თვით ადამიანთა ისტორიასაც. აქ ყველას აბრმავებდა ბრძოლა საშუალო საუკუნეების მიმართ. საშუალო საუკუნეებს უცქეროდენ ისე, როგორც ისტორიის მსვლელობის უბრალო შეწყვეტას, ათასწლოვანი საზოგადო ბარბაროსობით გამოწვეულს, არავინ არ აქცევდა ყურადღებას საშუალო საუკუნოებში გადადგმულ დიად ნაბიჯებს: ევროპის კულტურულ წრის გაფართოებას, ერთი მეორეს მეზობლად დიდი ერების წარმოშვებას უზარმაზარ ტექნიკურ წარმოებას მე-XIV და XV-ტე საუკუნეებში. ამის გამო შეუძლებელი ხდებოდა დიდი ისტორიული მოვლენების რაციონალური გაგება და ისტორია უკეთეს შემთხვევაში ჰგავდა ფილოსოფოსის

მოსახმარად დალაგებულ ილიუსტრაციებსა და მაგალითების კრებულს.

იმ ადამიანებმა, რომელთაც ორმოცდაათიან წლებში გერმანიაში იაფ-ფასიანი მატერიალიზმის დამტარებლების როლი იკისრეს, ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ გაუსწრეს თავიანთ მასწავლებლებს. მათ მხოლოდ სამყაროს შემოქმედის წინააღმდეგ საბუთად გამოიყენეს ბუნებისმეტყველების ყოველი ახალი წარმატება. თეორიის წინ წასაწევად იმათ არავითარი მოწოდებაც არ ჰქონდათ. თუმცა იდეალიზმის სიბრმავე იმ დროისათვის საბოლოოდ გამოიფინა და 1848 წლის რევოლუციის შემდეგ იგი სასიკვდილოდ დაჭრილი იყო, მაგრამ ახლა ნუგეშებდა, რომ მატერიალიზმი დროებით დაბლა დაეცა. ფეიერბახი სრულიად მართალი იყო, როცა თავიდან იხსნიდა ყოველ პასუხისმგებლობას ასეთი მატერიალიზმისათვის. მხოლოდ მას მაშინდელი მოყიალე მქადაგებლების მოძღვრება ნამდვილ მატერიალიზმში არ უნდა აერია.

(იხ. „ლ. ფოიერბახი! etc)

3. ლენინი.

12) ანტიდიალექტიკური მატერიალიზმის მარქსისტული კრიტიკა.

მარქსი და ენგელსი ყოველთვის ჰკიცხავდენ ცუდ (და უმთავრესად ანტიდიალექტიკურ) მატერიალიზმს. მაგრამ ჰკიცხავდენ უფრო მაღალი განვითარებული, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით და არა ჰიუმიზმის ან ბერკლიანობის თვალსაზრისით, ცუდ მატერიალისტებს მარქსი, ენგელსი და დაცგენი ანგარიშს უწევდნენ, სცდილობდენ მათი შეცდომები გაესწორებიათ, ხოლო მახსა და ავენარიუსზე ისინი ბევრს არაფერს იტყოდენ, მხოლოდ ზიზღით მოიხსენებდენ მთელს მათს მიმართულებას.

ძნელია უფრო ნათლათ ლაპარაკი, ვიდრე ენგელსი ლაპარაკობს თავისი „ლუდვიგ ფოიერბახის“ მეო-

რე თავის ბოლოს მე-XVIII-ტე საუკუნის ფრანგულ მატერიალიზმზე და ბიუხნერსა, ფოხტსა და მოლეშოტზე. შეუძლებელია ადამიანმა იგი ვერ გაიგოს თუ მისი დამახინჯება არ მოისურვა. მე და მარქსი მატერიალისტები ვართ. ამბობს ენგელსი ამ თავში; ამასთანავე იგი არკვევს მატერიალიზმის ყველა სკოლის განსხვავებას იდეალისტების მთელი ბანაკისაგან, ყველა კანტიანელისა და ჰიუმისტისაგან საზოგადოთ, და ენგელსი ჰაცხავს ფოიერბახს ერთგვარი სულმოკლეობისათვის, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ეს უკანასკნელი ხანდახან ეარს ამბობდა მატერიალიზმზე. საზოგადოთ ამა თუ იმ მატერიალისტური სკოლის შეცდომების გამო, ფოიერბახს უფლება არ ჰქონდაო, ამბობს ენგელსი, ერთიანეთში აეორია დაძტარებლების (ბიუხნერის და კომპ.) მოძღვრება და მატერიალიზმი საზოგადოთო... (§ 21) ენგელსის ასეთი საყვედური ფეირბახის მიმართ შეიძლება გაუგებარი იყოს მხოლოდ ისეთი თავებისათვის, რომელნიც გაფუჭებულნი არიან გერმანელი რეაქციონური პროფესორების ნაწერების კითხვით და მათი მოძღვრების რწმენათ მიღებით.

ენგელსი ნათლათ ლაპარაკობს, „ბიუხნერი და კომპ. ვერაფერში ვერ გასცილდენ თავიანთი მასწავლებლების მოძღვრებას“ ე. ი. მე-XVIII-ტე საუკუნის მატერიალიზმს. ერთი ნაბიჯიც ვერ გადასდგეს წინო. ენგელსი ბიუხნერსა და კომპ. ჰაცხავს არა მათი მატერიალიზმისათვის, არამედ იმისათვის, რომ მატერიალიზმი წინ ვერ წასწიეს, „არც უფიქრიათ განევითარებიათ მატერიალიზმი თეორია“. მხოლოდ ამისთვის ჰაცხავს ენგელსი ბიუხნერსა და კომპ. და ენგელსი იქვე მუხლობრივ ჩამოსთვლის მე-XVIII-ტე საუკუნის მატერიალისტების ამ ძირითად „განსაზღვრულობას“ (Beschänkung....) რომლებშიანაც მარქსი და ენგელსი განთვისუფლდენ, ხოლო ბიუხნერი და კომპ. ვერა. პირველი განსაზღვრულობა: ძველი მატერიალის-

ტების შეხედულება „მექანიკური“ იყო. იმ აზრით, რომ ისინი „მხოლოდ მექანიკის მაშტაბით უდგებოდენ ქიმიური და ორგანიული ბუნების პროცესებს“ (19). ამ წიგნის შემდეგ თავში დავინახავთ, რომ ენგელსის ამ სიტყვების გაუგებრობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ზოგიერთი ადამიანი ახალი ფიზიკის გზით იდეალიზმში გადავარდა. ენგელსი იმისთვის კი არ უარყოფს მექანიკურ მატერიალიზმს, რასაც მას „უახლოესი“ იდეალისტური (ე. ი. მახისტური) მიმართულების ფიზიკოსები აყვედრიან. მეორე განსაზღვრულობა: ესაა ძველი მატერიალისტების „შეხედულებათა მეტაფიზიკურობა, მათი ფილოსოფიის ანტიდიალექტიკურობა“. განსაზღვრულობას ბიუხნერსა და კომპ. ერთად სავსებით ინაწილებენ ჩვენი მახისტებიც, რომელთაც, როგორც დავინახეთ, სრულიად ვერაფელი გაიგეს თუ როგორ ხმარობს ენგელსი დიალექტიკას გნოსეოლოგიაში (მაგ. ობსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტება). მესამე განსაზღვრულობა: ესაა იდეალიზმის შენარჩუნება „ზემოდ“. საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში ისტორიული მატერიალიზმის ვერ გაგება.

ენგელსი ჩამოსთვლის და სრულიად ნათლად ხსნის ამ სამ „განსაზღვრულობას“ (19-21) და იქვე უმატებს ამ ფარგლებს... (über diese Schranken) ვერ გასცილდენ ბიუხნერი და მისი კამპანიაო.

მხოლოდ და მხოლოდ ამ სამი რამისთვის. მხოლოდ და მხოლოდ ამ ფარგლებში უარყოფს ენგელსი მე-XVIII საუკუნის მატერიალიზმსა და ბიუხნერის და კომპ. მოძღვრებასაც! მატერიალიზმის დანარჩენ უფრო ანბანურ კითხვებში (რომელიც მახისტებმა შერყვნეს) ერთი მხრით მარქსს და ენგელსსა. ხოლო მეორე მხრით ამ ძველ მატერიალისტებს შორის არავითარი განსხვავება არ არის და არც შეიძლება იყოს. ამ სრულიად ნათელ კითხვაში არევ - დარევა მხოლოდ რუსმა მახისტებმა შეიტანეს; მათი დასაბუღეთ ევროპიელი მასწავლებლებისთვის და თანამოაზრეებისთვის ცხა-

დია, რომ მახის და მისი კომპ. ხაზი სრულიად დაშორებულია მატერიალისტების ხაზს საზოგადოთ. ჩვენ მახისტებს დასჭირდათ კითხვის არევ - დარევა. მათ უნდოდათ მარქსიზმისაგან გამოთიშვა და ბურჟუაზიული ფილოსოფიის ბანაკში გადასვლა ისე წარმოედგინათ. თითქო „პატარა შესწორებები" შეჰქონდათ მარქსიზმში.

გაიხსენეთ დიურინგი. შეუძლებელია მეტი ზიზღის გამოაშკარავება, ვიდრე ენგელსმა გამოხატა მის როგორც საზოგადოთ სხვა მატერიალსტებსაც. იგი დიურინგს და ენგელსს ლეკლერი, რომელიც ქებას ასხამდა მახის „გარეევოლუციონერებულ ფილოსოფიას." ლეკლერის შეხედულებით დიურინგი მატერიალიზმის უკიდურესი მემარცხენე ფრთაა, რომელიც შეგრძნებას' ისევე როგორც შეგნების და გონების ყოველივე გამოხატულებას, ცხოველური ორგანიზმის გამონაყონათ, ფუნქციათ, უმაღლეს ყვავილათ, შენაკრებ ეფექტად სთვლის ("Der Realismus" 1879 23-24).

განა ენგელსი დიურინგს ამისთვის აკრიტიკებდა? არა. ამ მხრივ იგი სავსებით ეთანხმებოდა დიურინგს, როგორც საზოგადოთ სხვა მატერიალისტებსაც. იგი დიურინგს დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისით აკრიტიკებდა, უწუნებდა თანმიმდევრობის უქონლობას, იდეალისტურ აბრუნდებს, რომელიც საძრომს სტოვებდა ფიდეიზმისთვის.

„ბუნება თვით მუშაობს წარმოდგენებით აღჭურვილ არსებაში აგრეთვე მის გარეშე. რათა კანონშეზომილად შექმნას შეკავშირებული შეხედულებანი და აუცილებლად საჭირო ცოდნა საგანთა მსვლელობაზე" ეს დიურინგის სიტყვებია. ლეკლერი გააფრთრებით ებრძვის მათში გამოთქმულ მატერიალიზმს, „ამ უტლანქეს მეტაფიზიკას", „თავის თავის მოტყუებას" და სხვა (s., 160 და 161 163).

და განა ენგელსი დიურინგს ამისათვის აკრიტი-

კებდა? არა იგი დასცინოდა ყოველივე მალალფარდოვანებას, მაგრამ აქ სრულიად ეთანხმებოდა დიურინგს, ისევე როგორც სხვა მატერიალისტებსაც. რომელნიც აღიარებენ ბუნების ობიექტიურ კანონშეზომილებას და მისი ასახვას შეგნების მიერ.

„აზროვნება მთელი დანარჩენი სინამდვილის უმაღლესი სახეა". „ფილოსოფიის ძირითადი წარნამძღვარია ნივთიერათ ნამდვილი ქვეყნიერების დამოუკიდებლობა და განსხვავება შეგნების მოვლენათა მიმართ, რომელიც ამ ქვეყნიერებაში წარმოიშობიან და მას შეიცნობენ" დიურინგის ეს სიტყვები ლეკლერს მოჰყავს. ამასთანავე იხსენებს დიურინგის თავდასხმას კანტზე და სხვა და ბოალს სდებს დიურინგს—მეტაფიზიკოსია, მეტაფიზიკურ დოგმას აღიარებსო და სხ.

განა ენგელსი დიურინგს ამისთვის აკრიტიკებდა? არ ქვეყნიერება რომ შეგნების დამოუკიდებლადა არსებობს და რომ კანტიანელების. ჰუმისტების და ბერკლიანელების მიერ ამ ჭეშმარიტების უგულებელყოფა სიყალბეა, ამას ენგელსი სცნობდა დიურინგსა და სხვა მატერიალისტებთან ერთათ. ენგელსს რომ დაენახა რომელი მხრიდან უპირებენ გაკრიტიკებას დიურინგს ლკლერი და მახი იგი ასჯერ უფრო დამამცირებელი ტერმინებით გალანძღავდა ამ რეაქციონურ ფილოსოფოსებს, ვიდრე დიურინგი გალანძღავდა, ლეკლერისათვის დიურინგი ბოროტი და მავნებელი რეალიზმის მატერიალიზმის განხორციელება იყო (შეად. კიდევ. Beiträge zu eine monist Erkenutnistheorie 1882, s 45) მახის მასწავლებელი და თანამოლაშქრე ვ. შუპპე დიურინგს 1878 წელს „ბოდვით რეალიზმს" აბრალებდა (Traumrealismus); მათ სამაგიეროს უხდიდა გამოთქმა „ბოდვითი რეალიზმისთვის," რომელიც დიურინგმა იდეალისტების წინააღმდეგ იხმარა. ენგელსისთვის კი, პირიქით დიურინგი ნაკლებ ნათელი, ნაკლებ თანმიმდევარი და დაუსრულებელი მატერიალისტი იყო.

როცა მარქსი, ენგელსი და ი. დიცგენი ფილო-

სოფიურ ასპარეზზე გამოვიდენ. მოწინავე ინტელიგენციაში საზოგადოთ და მუშათა წრეებში კერძოთ მატერიალიზმი იყო გამეფებული. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მარქსმა და ენგელსმა ყურადღება მიექციეს არა ძველი ამბების განმეორებას, არამედ მატერიალიზმის სერიოზულ განვითარებას. მის გამოყენებას ისტორიის მიმართ.

არა ძველი ამბების განმეორებას. არამედ მატერიალიზმის სერიოზულ თეორიულ განვითარებას, მის გამოყენებას ისტორიის მიმართ, ე. ი. მატერიალისტური ფილოსოფიის აშენებას სახურავამდე. სრულიად ბუნებრივია, რომ ისინი გნოსეოლოგიის დარგშიდ დაკმაყოფილდენ ფეიერბახის შეცდომების გასწორებით. მატერიალისტურ დიურინგის ბანალობათა სასაცილოდ აგდება, ბიუხნერის შეცდომების კრიტიკით (იხ. ი. დიცგენი). იმის აღნიშვნით, რაც განსაკუთრებით აკლდათ ამ მუშათა წრეში ვავრცელებულ და პოპულიარულ მწერლებს: ეს იყო დიალექტიკა. მარქსი და ენგელსი და ი. დიცგენი თავს არ იწუხებდენ საანბანო ჭეშმარიტებით. მთელს ყურადღებას იმას აქცევდენ, რომ არ მომხდარიყო ამ საანბანო ჭეშმარიტებათა გავულგარება და ზედმეტი გამარტივება, აზრის გაყინვა („ქვემოდ მატერიალიზმი, ზემოდ იდეალიზმი") დავიწყებას არ მიისცემდა იდეალისტური სისტემის ძვირფასი ნაყოფი —ჰეგელის დიალექტიკა, ეს მარგალიტი, რომელსაც ისეთი მამლები, როგორიც ბიუხნერები, დიურინგები და კომპ. იყვნენ (ლეკლერსა, მახსა და ავენარიუსთან ერთად) ვერ არჩევდენ აბსოლუტური იდეალიზმის ნაგავში

კ. მარქსი.

13. თეზისები ფეიერბახის შესახებ.

(დაწერილია ბრიუსელში 1845 წლის გაზაფხულზე).

1. მთავარი ნაკლი ყველა დღემდე არსებული მატერიალიზმისა ფეიერბახის გამოუკლებლად იმაში მდგო

მარეობდა, რომ ის საგანს, სინამდვილეს გრძნობელობას მხოლოდ ობიექტის ფორმაში ანუ განჭვრეტის ფორმაში განიხილავდა, და არა ადამიანურ მოქმედების გრძნობითი ფორმაში, არა როგორც პრაკას, არა სუბიექტიურად. ამიტომ მოქმედ მხარეს მატერიალიზმის წინააღმდეგ დღემდე იდეალიზმი ანვითარებდა, თუმცა ანვითარებდა განყენებულად, იმიტომ რომ იდეალიზმი, რასაკვირველია, გრძნობით ფორმას, როგორც ასეთს არც იცნობს. ფეერბახს სურს საქმე დაიჭიროს გრძნობით ობიექტებთან, რომელნიც მარტოოდენ ჩვენს აზრებში არსებულ ობიექტებიდან ნამდვილად განსხვავდებიან. მაგრამ ის ადამიანურ მოქმედებაში საგნობრივ მოქმედებას ვერ ხედავს. ამით აიხსნება, რომ „ქრისტიანობის არსებაში" ის მხოლოდ თეორეტიულ ძიდგომას იხილავს, როგორც ჭეშმარიტ ადამიანურ მოქმედებას, ხოლო პრაქტიკა იქ მხოლოდ მის ბინძურ „ურიული" სახით არის გაგებული და გამოხატული. სწორედ ამიტომ მას არ ესმის „რევოლუციური" პრაქტიკულ კრიტიკული მოქმედების მნიშვნელობა.

2. საკითხი იმის შესახებ. შეუძლია თუ არა ადამიანურ აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტების შეგრძნობა. სრულიადაც თეორეტიული საკითხი კი არ არის, არამედ პრაქტიკული, ადამიანმა ჭეშმარიტება პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს. რომ მას სინამდვილე და ძალა აქვს და მისი აზროვნება მოვლენათა მაღლა არ სდგას, ხოლო კამათი პრაქტიკიდან გაჭოთიშულ აზროვნების სისწორისა ან უსწორობის შესახებ წმინდა სქოლასტიური საკითხია.

3. მატერიალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვით ადამიანები გარემოებისა და აღზრდილ პროდუქტს წარმოადგენენ, და მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები შეცვლილ გარემოებისა და სხვაგვარი აღზრდის პროდუქტი არიან, ივიწყებს, რომ გარემოებას სწორედ ადამიანი სცვლის და აღმზრდელი თვით აღზრდილი უნდა იყოს. ამიტომ ამ მოძღვრებას აუცილებლად

საზოგადოების ორ ნაწილად გათიშვისაკენ მივყევართ. რომელთაგანაც ერთი ნაწილი საზოგადოების ზევით სდგას (მაგალითად, რობერტ ოუენის მიხედვით).

გარემოების ცვლილებისა და ადამიანურ მოქმედების შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სწორად გაგებული, თუ ის წარმოდგენილი იქნება როგორც რევოლუციური პრაქტიკა და რაციონალურად შემეცნებული.

4. ფეირბახი გამოდის რელიგიურ თვითგაუცხოების, ქვეყნიერების გაორების ფაქტიდან. რის შედეგად ერთის მხრივ რელიგიურ, მხოლოდ წარმოდგენაში არსებულ ქვეყანას ვღებულობთ, ხოლო მეორეს მხრივ ნამდვილს. მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიური ქვეყანა მის ქვეყნიურ საფუძველზე დაიყვანოს. ის ვერ ამჩნევს, რომ ამ ამოცანის ახსნის შემდეგ მთავარი საქმე მაინც კიდევ გაუკეთებელი რჩება. ქვეყნიური საფუძველი თავისივე თავს ეთიშება და ღრუბლებში ბინავდება, როგორც დამოუკიდებელი სამეფო. ეს ფაქტი შეიძლება ახსნილ იქნას მხოლოდ თვით ქვეყნიურ საფუძვლებში მთლიანობის უქონლობით და მრავალ წინააღმდეგობის არსებობით. ამრიგად თვით ეს უწინარეს ყოვლისა თავისშივე წინააღმდეგობაში გაგებული უნდა იქნას და შემდეგ წინააღმდეგობის მოხსნით მასში პრაქტიკულად რევოლუცია უნდა გამოვიწვიოთ. ასე, მაგალითად, რაკი გავიგეთ: რომ წმინდა სახლობის საიდუმლოება ამ ქვეყნიერ ოჯახში იმალება, ეს უკანასკნელი თეორეტიულ კრიტიკას უნდა დაუქვემდებაროთ და პრაქტიკულად გარდავქმნათ

5. ფეირბახს განყენებული აზროვნება არ აკმაყოფილებს და ის გრძნობით განსჯვრეტას მიმართავს: მაგრამ გრძნობათა მოვლენების ქვეყანა მას ეჩვენება ადამიანურ, გრძნობიურ, პრაქტიკულ მოქმედების სახით.

6. ფეირბახი სარწმუნოების არსებობას ადამიანის არსებაში ხედავს. მაგრამ ადამიანის არსება სრულიადაც ცალკე პირის დამახასიათებელ აბსტრაქტს არ წარმოადგენს. სინამდვილეში ის ყოველ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა ურთიერთობის სახეა. ფეირბახი ეცრ მიდის ამ ნამდვილ არსების კრიტიკამდე. ამიტომ ის იძულებულია: 1) ისტორიული განვითარების მსვლელობა უყურადღებოთ დასტოვოს, სარწმუნებრივი გრძნობა თავისთავად განიხილოს, - ვითომც და სრულიად განცალკევებული და სხვა მოვლენებთან შეუკავშირებელი რაიმე - და განყენებულ, განმარტოვებულ ადამიანურ ინდივიდუმს დაეყრდნოს.

2. ამიტომ ადამიანის არსება მას შეეძლო წარმოედგინა მხოლოდ როგორც „მოდგმა" ე. ი. როგორც შინაგანი, მუნჯი თანაზიარობა, რომელიც მხოლოდ ბუნებრივ კავშირს აბამს მრავალ ინდივიდებს შორის.

7. ამიტომ ფეირბახი ვერ ხედავს, რომ თვით „რელიგიური გრძნობა" საზოგადოებრივი პროდუქტია და მის მიერ ანალიტიურად შესწავლილი აბსტრაქტული ინდივიდი სინამდვილეში საზოგადოების რომელსამე განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის.

8. საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პრაქტიკულია. ყოველივე მისტერია, ყოველივე, რასაც თეორია მისტიკიზმისკენ მიჰყავს, რაციონალურ ახსნას პოულობს ადამიანურ პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში

9. უმთავრესი, რის მოცემა ინტუიტურ მატერიალიზმს შეუძლია, ე. ი. მატერიალიზმს, რომელიც გრძნობელობას პრაქტიკული მოქმედების სახით არ იხილავს ეს არის ცალკე პიროვნების განსჯვრეტის უნარი, „სამოქალაქო საზოგადოებაში."

10 ძველი მატერიალიზმის თვალთახედვის წერტილი „სამოქალაქო" საზოგადოებაა. ახალი მატერიალიზმის თვალთახედვა კი ადამიანური საზოგადოება ანუ განსაზოგადოებრივებული კაცობრიობა არის.

11. ფილოსოფოსები მსოფლიოს სხვა და სხვა ახსნა-განმარტებას იძლევიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ მსოფლიო შეიცვალოს.

3. ლენინი.

დავალება მესამე.

14. სუბიექტიური იდეალიზმის კრიტიკა.

ეპისკოპოს ჯორჯს ბერკლის თხუზულება „ტრაქტატი ადამიანის შემეცნების საფუძვლებზე"—რომელიც 1710 წელს გამოქვეყნდა შემდეგი მსჯელობით იწყება: ყველასათვის, ვინც ადამიანური შემეცნების ობიექტებს იხილავს, ცხადია, რომ ისინი ან ისეთი იდეებს (ideas) წარმოადგენენ რომელთაც ჩვენ ვღებულობთ ემოციების და გონების მოქმედებათა დაკვირვების დროს, ან ბოლოს ისეთს, რომელნიც მახსოვრობისა, წარმოდგენის შემწეობით იქნებიან.... მხედველობის შემწეობით მე ვადგენ იდეებს სინათლესა და ფერებზე, მათ სხვადასხვა საფეხურსა და სახეზე. შეხების შემწეობით მე ვითვისებ მაგარსა და რბილს, თბილსა და ცივს მოძრაობასა და წინააღმდეგობას... ყნოსვა სურნელებს მაძლევს, გემოვნება გემოთა შეგრძნებებს, სმენა ხმებს. რადგან ადამიანი სხვადასხვა იდეას ერთად ამჩნევს იგი მას ერთი სახელით აღნიშნავს და რაიმე საგნათ სთვლის. მაგალითად ვამჩნევთ, რომ შეერთებულია colections ot ideas) გინსაზღვრული ფერი, გემო, უსნი, ფორმა, კონსისტენცია. ამას ცალკე საგნათ ვსცნობთ და სიტყვა ვაშლს უწოდებთ. იდეათა სხვა კრებული (to qo toqelhel) შეადგენს ქვას, ხეს; წიგნს და სხვა ამგვარ გრძნობათა საგნებს... (§ 1).

ასეთია ბერკლის თხზულების პირველი მუხლის შინაარსი. ჩვენ უნდა დავიხსომოთ, რომ თავისი ფილოსოფიის საფუძვლად იგი სდებს „მაგარს, რბილს, თბილს, ცივს ფერებს, გემოვნებად, სურნელებათ და სხვა"...

ბერკლისთვის საგნები „იდეალთა კრებულია“; იდეები კი მას ესმის არა როგორც განყენებული აზრები, არამედ სწორედ როგორც ზემოჩამოთვლილი ფენომენები ანუ შეგრძნებანი.

ბერკლი შემდეგ ამბობს, რომ ამ „იდეებსა და როგორც შემეცნების ობიექტებს გარდა არსებობს მათი ამთვისებელი, გონება (Дух), სული (Душа) ანუ (§ 2) თავისთავად იგულისხმებაო, დაასკვნის ფილოსოფოსი რომ „იდეებს“ არ შეუძლიათ იარსებონ მათი ამთვისებელი გონების გარეშე. იმაში დავრწმუნდებით, თუ ჩაუფიქრდებით სიტყვა: არსებობის მნიშვნელობასო. როცა მე ვამბობ, რომ მაგიდა, რაზედაც ვწერ არსებობს მეთქი, ეს ნიშნავს, რომ მე ვხედავ და შევიგრძნებ მას; ჩემი ოთახიდანაც რომ გამოვსულიყავი ვიტყოდი მაგიდა არსებობს მეთქი, იმ აზრით, რომ თუ ოთახში ვყოფილიყავი, მე შემეძლებოდა მისი ათვისება“. ასე ლაპარაკობს ბერკლი თავისი თხუზულების § 3. და იქვე იწყებს კამათს იმ ადამიანებთან, რომელთაც მატერიალისტებს უწოდებს (§§16. 18. 19). ჩემთვის სრულიად გაუგებარიაო, ამბობს იგი - როგორ შეიძლება ლაპარაკი საგნების აბსოლუტურ არსებობაზე. იმისდა დამოუკიდებლად, რომ მათ ვინმე აღიქვამს? არსებობა ნიშნავს აღქმას their ე. ი. საგნების esse es percipi ესაა ბერკლის გამოთქმა § 3. რომელიც ხშირად მოჰყავთ ფილოსოფიის ისტორიის სახელმძღვანელოში. „საოცარი ამბავია, რომ ადამიანებში სჭარბობს ის შეხედულება, თითქო სახლებს, მთებს, მდინარეებს ერთი სიტყვით გრძნობად საგნებს ჰქონდეთ ბუნებრივი ანუ რეალური არსებობა. განსხვავებული იმისაგან რომ მათ გონება აღიქვამს“ § 4. ეს შეხედულება აშკარა წინააღმდეგობაა, ამბობს ბერკლი „მიტომ რომ რა არის ეს ზემოთ-აღნიშნული ობიექტები, თუ არ საგნები. რომელთაც ჩვენ აღვითქვამთ გრძნობათა შეგრძნებით? და რას აღვითქვამთ ჩვენ, თუ არ საკუთარ იდეებსა ანუ შეგრძნობებს (ides or sensationes)? და განა პირდაპირ ა

რობა არაა იმის თქმა, რომ რაიმე იდეები ანუ შეგ-
რძნებანი, ან მათი კომბინაციები შეიძლება არსებობ-
დეს მათი აღქმის გარეშე? § 4.

ბერკლი იდეათა კოლექციის მაგივრად ხმარობს
შესატყვის გამოთქმას: **შეგრძნებათა კომბინაციას,** ხო-
ლო მატერიალისტებს მიაწერს „უაზრო" მისწრაფებას,
კიდევ უფრო შორს მიდიან და რაღაც წყაროს ეძებენ
ამ კომპლექსისა. . . ე. ი. შეგრძნებათა ამ კომბინაცი-
ისათვისო. მეხუთე მუხლში მატერიალისტებს ბრალად
ედებათ, რომ აბსტრაქციას დასტრიალებენო, მიტომ
რომ შეგრძნების გამოთიშვა ობიექტიდან ბერკლის
აზრით უშინაარსო აბსტრაქციაა. მართლაც ამბობს
იგი § 5 ბოლოში, რომელიც გამოტოვებულია მეორე
გამოცემაში, ობიექტი და შეგრძნება ერთი და იგივეა
(are thesome thing) და ამიტომ შესაძლებელია მათი
ერთი მეორისაგან გარჩევა. თქვენ იტყვით სწერს ბე-
რკლი, რომ იდეები შეიძლება იმ საგნების ასლი ან ასა-
ხვა (resemblanc) იყო. რომელნიც გონების გარეშე არ-
სებობენ არამოაზროვნე სუბსტანციაში. მე გიპასუხებთ:
შეუძლებელია იდეა სხვა რასმე ჰგავდეს, გარდა იდეისა.

ფერი ან ფიგურა სხვას ვერაფერს დაგმსგავსება
გარდა მეორე ფერისა, მეორე ფიგურისა. . . . მე ვკით-
ხულობ, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ეს შესაძლებელი
ორიგინალები ანუ გარეშე საგნები აღვიქვათ, რომე-
ლთა გამოხატულებას ან წარმოდგენას თითქო ჩვენი
იდეები შეადგენენ? თუ ჰო, მაშინ ისინიც იდეები ყო-
ფილან და ჩვენ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწევთ წინ.
ხოლო თუ თქვენ იტყვით არაო, მაშინ მე მივმართავ
ვისაც გნებავთ და ვკითხავ, არის თუ არა რაიმე აზრი
იმის თქმაში, რომ ფერი რაღაცას უხილავს ჰგავს, მაგა-
რი და რბილი ჰგავს ისეთ რამეს, რის შეხებაც შეუძ-
ლებელია და სხვა § 8.

ბაზაროვის „საბუთები" პლეხანოვის წინააღმდეგ
იმ საკითხის შესახებ შეიძლება თუ არა ჩვენს გარეშე
საგნები არსებობდეს მათი ზემოქმედების დამოუკიდე-

ბლათ ჩვენზე, როგორც მკითხველი ჰხედავს, არაფრით განსხვავდება ბერკლის სუბუთებიდან მატერიალისტების წინააღმდეგ. ბერკლი „მატერიის ანუ სხეულებრივი სუბსტანციის არსებობის“ აზრს § 9 ისეთ „წინააღმდეგობათ“ ისეთ „უაზრობათ“ სთვლის, რომ ზედმეტად მიაჩნია დროს დაკარგვაც მის გასაბათილებლად. „მაგრამ ამბობს იგი, რადგან მოძღვრებამ (tenet) მატერიის არსებობის შესახებ, როგორც ეტყობა ფილოსოფოსების აზროვნებაში ღრმა ფესვები გაიდგა და მრავალრიცხოვან მავნე დასკვნები იწვევს, მე ვამჯობინებ, თუნდ მკითხველს ენაწყლიანი და მოსაწყენი ვეჩვენო, არაფერი დავზოგო ამ ცრუმორწმუნეობის სავსებით გამოსამჟღავნებლად და ძირიან-ფესვიანად ამოსაგდებად“ (§ 9).

ჩვენ ახლავე დავინახავთ რა მავნე დასკვნებზე ლაპარაკობს ბერკლი. მოვათავოთ ჯერ მისი თეორიული მოსაზრებანი მატერიალისტების წინააღმდეგ. უარყოფს რა ობიექტების აბსოლუტურ არსებობას, ე. ი. საგნების არსებობას ადამიანური ცნობიერების გარეშე, ბერკლი პირდაპირ ისე გადმოსცემს თავისი მოწინააღმდეგების შეხედულებებს, რომ ისინი აღიარებენ „საგანს თავისთავადო“ ბერკლი § 24 ხაზგასმით სწერს, ჩემ მიერ უარყოფილი შეხედულება სცნობს **გრძნობადი ობიექტების აბსოლუტურ არსებობას თავისთავად** (objects in themselves) ანუ **გონების გარემო** (ხსენებ. გამოც. 167 168 გვ.) ფილოსოფიურ შეხედულებათა ორი ძირითადი ხაზი აქ გაყვანილია იმ პირდაპირობით, სინათლით და გარკვეულობით, რომელიც ფილოსოფოს კლასიკოსებს ანსხვავებს ჩვენი დროის „ახალი“ სისტემების შემთხზველებისაგან. მატერიალიზმია აღიარება „ობიექტებისა თავისთავად ანუ გონების გარეშე, იდეები და შეგრძნებანი ამ ობიექტების ასლი და გამონაკრთომია. მოწინააღმდეგ მოძღვრება (იდეალიზმი) ამბობს: ობიექტები არ არსებობენ „გონების გარეშე“, ობიექტები „შეგრძნებათა კომბინაციებია“.

ეს დაწერილია 1710 წელს ე. ი. 14 წლის წინად

კანტის დაბადებამდე. ჩვენმა მახისტებმა კი ვითომდა უახლესი ფილოსოფიის საფუძველზე აღმოაჩინეს, რომ აღიარება „საგნის თავისთავად" წარმოადგენს მატერიალიზმის შერყვნის შედეგს კანტიანობის შემწეობით. მახისტების უახლოესი აღმოჩენანი შედეგია მათი გასაოცარი უმეცრებისა ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებების ისტორიაში.

მათი მეორე „ახალი" აზრი ისაა, რომ „მატერიის" ან „სუბსტანციის" ცნებანი ძველი არაკრიტიკული შეხედულებების ნაშთიაო. მახმა და ავენარიუსმა წინ წასწიეს ფილოსოფიური აზრი, გააღრმავეს ანალიზი და გააბათილეს ეს „აბსოლუტები", „უცვლელი არსნიო" და სხვა. აიღეთ ბერკლი, რათა პირველ წყაროზე შეამოწმოთ ეს მტკიცება და თქვენ დაინახავთ, რომ იგი პრეტენზიულ მოგონებას წარმოადგენს. ბერკლი სრულიად გარკვეულად ამბობს, რომ მატერია არის ის non entity (არაარსებული არსი § 68), რომ მატერია არის არარაობა (§80). თქვენ შეგიძლიათ, ირონიულად ეუბნება ბერკლი მატერიალისტებს, თუ გსურთ იმ აზრით იხმაროთ სიტყვა მატერია, როგორც სხვა ადამიანები სიტყვა „არარაობას" ხმარობენ. (196-197 გვ.) აღნიშ. გამ. თავდაპირველადო ამბობს ბერკლი სწამდათ რომ ფერები, ხურნელებანი და სხ. მართლაც არსებობენო, შემდეგ უარი სთქვეს ამ შეხედულებაზე და აღიარეს, რომ ისინი არსებობენ მხოლოდ ჩვენი შეგრძნებების მიხედვით. მაგრამ ეს უკუგდება ძველი შემცდარი ცნებებისა დამთავრებული არ არის: მათი ნაშთი „სუბსტანციის" ცნება (§ 73) ისეთივე ცრუმორწმუნეობა (გვ. 195). რომელიც საბოლოოდ ეპისკოპოსმა ბერკლიმ გამოამჟღავნა 1710 წელს. ხოლო 1908 წელს ჩვენში აღმოჩნდენ ისეთი ხუმარები, რომელთაც სერიოზულად დაუჯერეს ავენარიუსს, პეცოლტს, მახს და სხ. რომ მხოლოდ „უახლესმა პოზიტივიზმა", უახლესმა ბუნებისმეტყველებამ „შესძლო ამ მეტაფიზიკური" ცნების უკუგდებაო.

იგივე ხუმარები (მათ შორის ბოგდანოვი) არწმუნებენ მკითხველებს, სწორედ ახალმა ფილოსოფიამ გამოამჟღავნა, რომ მატერიალისტები შემკდარი არიან, როცა ქვეყნიერების გაორებაზე ლაპარაკობენ, ანუ ადამიანის შეგნების მიერ ისეთი საგნების ასახვაზე, რომელიც მათი ცხოვრების გარეშე იმყოფებაო. ამ „გაორებაზე" ზემოხსენებული ავტორების მიერ უამრავი მგრძნობიარე სიტყვაა დაწერილი. გულმავიწყებისა ან უმეცრების გამო მათ არ უთქვამთ, რომ ეს ახალი აღმოჩენანი უკვე 1710 წელშია აღმოჩენილი.

„ჩვენ მიერ მათ (ე. ი. იდეების და საგნების) შემეცნება, სწერს ბერკლი მეტათ დაბნეული, დახლართული, სახიფათო შცდომებისაკენ მიმართული იყო ჰიპოტეზის წყალობით გრძნობადი ობიექტების ორმაგ არსებობაზე სახელდობრ: ერთი არსებობაა ინტელიგიბლური-ანუ არსებობა გონებაში, მეორეა რეალური „გონების გერეშე" ე. ი. ცნობიერების გარეშე... მატერიის ანუ აღუქმული საგნების არსებობაო, სწერს ბერკლი, უმთავრესი დასაყრდნობი იყო ათეისტებისა და ფატალისტებისათვის, მაგრამ იმავე პრინციპებზეა დაფუძნებული კერპთაყვანისმცემლობის სხვადასხვა ფორმებიო (§ 94).

აქ ჩვენ მივადექით „მავნე" დასკვნებს „აბსურდული" მოძღვრებიდან (ვარეგანი ქვეყნიერების არსებობის შესახებ), რომელმაც ეპისკოპოსი ბერკლი აიძულა არა მარტო თეორიულად უარეყო ეს მოძღვრება, არამედ დაუნდობლად ედევნა მისი მომხრეები, როგორც მტრები. „მატერიის ანუ სხეულებრივი სუბსტანციის მოძღვრების ნიადაგზე, ამბობს იგი, აშენებულ იქნა ყველა უღვთო სისტემა ათეიზმისა და რელიგიის უარყოფისა... ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა დიდი მეგობარი იყო ათეისტებისათვის მატერიალური სუბსტანცია ყოველთვის. ყველა მათი საშინელი სისტემა იმდენათ ცხადია, იმდენათ აუცილებლად არის დამოკიდებული მატერიისაგან, რომ თუ ეს ქვაკუთხედი გამო-

ვაცალეთ, მთელი შენობა აუცილებლად ჩაიშლება. ამიტომ ჩვენ არ გვჭირია ყურადღების მიქცევა ათეისტთა ცალკე უბადრუკი სექტების უკულმართი მოძღვრებისათვის.“ (§92 დასახელ. გამ 203-204 გვ.)

რაკი მატერია განდევნილი იქნება ბუნებიდან, იგი თან წაიღებს უმრავ სკეპტიკურ და უღვთო სისტემას, უმრავ საკმაოთ და ბუნდოვან კითხვას, („აზრის ეკონომიის პრინციპი“, აღმოჩენილი მახის მიერ 1870 წელში „ფილოსოფია, როგორც აზროვნება სამყაროზე უმცირესი ძალის დახარჯვის პრინციპით“ ავენარიუსი 1876 წელს.) რომელიც თვალზე ბისტივით ჰქონდა გადაკრული თეოლოგებსა და ფილოსოფოსებს, მატერია იმდენად უნაყოფო შრომას აკისრებდა ადამიანთა ტომს, რომ თუნდ ის საბუთები, რაც ჩვენ მის წინააღმდეგ წარმოვადგინედ, საკმაოდ საფუძვლიანად არ იყო ცნობილი (პირადათ მე მათ სრულიად უეჭველად ვსთვლით). დარწმუნებული ვარ ჭეშმარიტების, მშვიდობიანობის და სარწმუნოების მეგობრები მოისურვებენ, რომ ისინი საკმარისად იყვნენ აღიარებული.

ეპისკოპოსი ბერკლი გულახდილათ მსჯელობდა, მარტივათ მსჯელობდა! ჩვენ დროში იმავე აზრებს „მატერიის“ „ეკონომიურ“ განდევნაზე ფილოსოფიიდან ბევრად უფრო თვალთმაქცურ და ახალი „თერმინოლოგიით“ დამძიმებულ ფორმაში ასხამენ, რათა ეს აზრები გულუბრყვილო ხალხს „უახლეს“ ფილოსოფიათ მოეჩვენოს!

მაგრამ ბერკლი იჩენდა არა მარტო გულახდილობას თავისი ფილოსოფიის ტენდენციების შესახებ, არამედ სცდილობდა მისი იდეალისტური სიტიტვლის დაფარვასაც, მის განთავისუფლებს აბდაუბდისაგან, რათა მისაღები გაეხადა „საღი გონებისათვის“. ჩვენი ფილოსოფიითო, ამბობდა იგი, თითქოს თავს იცავდა ინსტიქტურად იმის დაბრალებისაგან, რასაც დღეს შეიძლება სუბიექტიური იდეალიზმი ან სოლიპსიზმი უწოდოთ— ჩვენ არავითარი საგნები არ გვაკლდება ბუნებაშიო (§3)

„ბუნება რჩება, რჩება რეალური საგნების განსხვავებაც ქიმერებისაგან, მხოლოდ ერთნიც და მეორეხიც ერთნაირად არსებობენ ცნობიერებაში.“ მე სრულიადაც არ ვეძებ რაიმე საგნის არსებობას, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი გრძნობების ან მოსაზრების შემწეობით შევიმეცნოთ. მე სრულიადაც არ ვეშვობ, ხელით ვეხები რეალურად არსებობენ. ერთად ერთი საგანი, რომლის არსებობასაც ჩვენ უარყოფთ, არის ის, რასაც **ფილოსოფოსები** (ხაზგასმულია ბერკლის მიერ) მატერიას ანუ სხეულებრივ სუბსტანციას უწოდებენ. მისი უარყოფა არავითარ ზიანს არ მოუტანს დანარჩენ ადამიანთა ტომს, რომელიც (გაბედულათ ვიტყვი) ვერასოდეს ვერ შეამჩნევს მის არყოფნას .. ათეისტს მართლაც სჭირია ეს მოჩვენება ცალიერი სახელის, რათა თავისი ულვთობა დაასაბუთოს (36).

კიდევ უფრო ნათლადაა გამოხატული ეს აზრი § 37, სადაც ბერკლი პასუხს იძლევა ბრალდებაზე, შენი ფილოსოფია სპობს სხეულებრივ სუბსტანციებსო თუ სიტყვა სუბსტანციას გავიგებთ მდაბიოთ (vulgar) აზრით, ე. ი. როგორც გრძნობად თვისებათა ანუ განფენელობა, სიმკვიდრის, წონის და სხვა კომბინაციას, შეუძლებელია მათი მოსპობა დაბრალდეს, მაგრამ თუ სიტყვას სუბსტანციას ფილოსოფიური აზრით გავიგებთ როგორც შეგნების გარეშე არსებული აქცინდენციების ანუ თვისებების საფუძველს, მაშინ მე მართლაც ვაღიარებ, რომ ვსპობ მას, თუ შეიძლება ისეთი რამის მოსპობაზე ლაპარაკი, რაც არასოდეს არ არსებობდა თვით წარმოდგენაშიაც.

ინგლისელი ფილოსოფოსი ფეიზერი იდეალისტი და ბერკლიანობის მიმდევარი, რომელმაც ბერკლის თხზულებანი გამოსცა და თავისი შენიშვნებით აღჭურვა, ბერკლის მოძღვრებას ამაოთ როდი უწოდებს „ბუნებრივ რეალიზმს“. ეს ახირებული ტერმინოლოგია აუცილებლად უნდა აღინშნოს, მიტომ რომ იგი მართლაც გამოხატავს ბერკლის განზრახვას რეალიზმს შე-

ეგუოს. შემდეგ ხშირად შეხვდებით „უახლეს პოზიტივისტებს“ რომელნიც სხვა ფორმაში, სხვა სიტყვიერ სამოსში იმავე ოინს ან თაღლითობას იმეორებენ. ბერკლი როდი უარყოფს რეალური საგნების არსებობას. ბერკლი როდი ეთიშება მთელი კაცობრიობის შეხედულებას. ბერკლი უარყოფს „მხოლოდ“ ფილოსოფოსების მოძღვრებას, ე. ი. შემეცნების თეორიას, რომელიც სერიოზულად და გადაჭრით აღიარებს გარე ქვეყნების არსებობას და მის ასახვას ადამიანთა შეგნებაში. ბერკლი არ უარყოფს ბუნებისმეტყველებას, რომელიც ყოველთვის (უმეტეს ნაწილად შეგნებულად), ასეთ ე. ი. მატერიალისტური შემეცნების თეორიას ეყრდნობოდა და ეყრდნობა. ჩვენ შეგვიძლია, — ვკითხულობთ § 59 ჩვენი ცდებიდან (ბერკლის ფილოსოფია „წმინდა ცდის ფილოსოფიაა“[1]). იდეათა თანასწორობისა და თანამიმდევრობის შესახებ სწორი დასკვნები გავაკეთოდ, თუ რას განვიცდით ჩვენ (ან დავინახავთ ჩვენ) ისეთ პირობებში რომ მოვხვედრილიყავით, რომელიც დიდად განსხვავებული იქნებოდა დღევანდელი პირობებისაგან. „სწორეთ ამაში მდგომარეობს ბუნების შემეცნება. რასაც (ყური დაუგდეთ) შეუძლია თავისი მნიშვნელობა და აუცილებლობა შეინარჩუნოს სრულის თანმიმდევრობით და ზემო ნათქვამთა დაკავშირებით.“

მიიჩნიეთ გარემტარი ბუნება „იმ შეგრძნობათა კომბინაციათ“, რომელთაც ჩვენს გონებაში ღვთაება იწვევს, აღიარეთ ეს. უარი თქვით ცნობიერების გარეშე, ადამიანის გარეშე ეძიოთ ამ შეგრძნობათა საფუძვლები და მე ჩემი იდეალისტიური შემეცნების თეორიის ჩარჩოებში ვსცნობ ძთელს ბუნებისმეტყველებას, მისი დასკვნების მთელს მნიშვნელობას და აუცილებლობასო. მე ეს ჩარჩო და მხოლოდ ეს ჩარჩო მჭირია ჩემი დასკვნებისათვის „მშვიდობიანობისა და სარწმუნოების“ სასარგებლოთო. ასეთია ბერკლის აზრი, ეს აზრი სწორეთ ამოხატავს იდეალისტური ფილოსოფიის დედააზრს

[1]) ფრეიზერი თავის ნაწარმოებში დაჟინებით ამტკიცებს, რომ ბერკლი ისევე როგორც ლოკი მხოლოდ ცდას მიმართავს.

და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. მას ჩვენ შემდეგაც შევხვდებით, როცა ვილაპარაკებთ მახიზმის დამოკიდებულებაზე ბუნებისმეტყველებასთან.

შემდეგ რეალობის საკითხის გამო კიდევ უხდა შევნიშნოთ, რომ ბერკლი, უარს ამბობს რა აღიაროს საგნების არსებობა ცნობიერების გარეშე, სცდილობს მონახოს კრიტერიუმი რეალურისა და ფაქტიურის გასარჩევად. § 36-ში იგი ამბობს, რომ ადამიანის მიერ ოვითნებურად გამოწვეული „იდეები" ფერკმრთალი, სუსტი და მერყეევია იმ იდეებთან შედარებით, რომელთა გრძნობებით აღიქვამთ. ეს უკანასკნელი იდეები ჩვენში ბუნების განსაზღვრული წესების ანუ კანონების მიხედვით აღიბეჭდებიან და უფრო ძლიერ და ბრძენი გონების არსებობას მოწმობს, ვიდრე ადამიანის გონება არის. როგორც იტყვიან მათ მეტი რეალობა აქვთ, ვიდრე წინათ აღნიშნულ იდეებს. ეს იმას ნიშავს ისინი უფრო ნათელნი, მოწესრიგებულნი. განცალკევებულნი არიან და ამლმაქმელი გონების ფიქციას არ წარმოადგენენ. მეორე ადგილას (§ 84) ბერკლი სცდილობს რეალობის ცნება დაუკავშიროს ძრავალი ადამიანის მიერ ერთსა და იმავე დროს ერთი. იმავე გრძნობადი შეგრძნობის აღქმას. მაგალითად, როგორ უნდა გადასწყდეს კითხვა, რეალურია თუ არა წყლის გადაქცევა ღვინოთ, რის შესახებაც, ვთქვათ ჩვენ გვიამბობენ? „თუ ყველა თანადამსწრე სუფრაზე ღვინოს დაინახავდა, მის სუნს იგრძნობდა, დალევდა და იგემებდა, შემდეგ მისი დალევის გავლენასაც განიცდიდა. ჩემის აზრით, შეუძლებელი გახდებოდა ეჭვის შეტანა ამ ღვინის რეალობაში". და ფრეიზეი განმარტავს: ერთდროული შეგნება სხვადასხვა პირის მიერ ერთი და იმავე გრძნობადი იდეებისა, რაიცა განსხვავდება წარმოდგენილი ობიექტებისა და ემოციების ინდივიდუალურ ანუ პირადი შეგნებისაგან. აქ აღნიშნულია როგორც დამტკიცება პირველი რიგის იდეალთა რეალობის.

აქედან სჩანს, რომ შეუძლებელია ბერკლის სუბიექტიური იდეალიზმი ისე გავიგოთ, თითქო იგი უგულებულჰყოფდეს განსხვავებას ერთპიროვნულ და კოლექტიურ აღქმას შორის. პირიქით იგი სცდილობს ამ განსხვავებაზე ააგოს რეალობის კრიტერიუმი. ბერკლის „იდეები" გამოჰყავს ღვთაების ზემოქმედებიდან ადამიანის გონებაზე და ამრიგად იგი ობიექტიურ იდეალიზმს უახლოვდება: საჭყარო ჩემი წარმოდგენა როდი ყოფილა, არამედ ერთი უზენაესი სულიერი მიზეზის შედეგი. ეს მიზეზი „ბუნების კანონებსაც" ჰქმნის, განსხვავებასაც „უფრო რეალურ" და ნაკლებ რეალურ იდეებს შორის და სხ. თავის მეორე თხუზულებაში „სამი საუბარი ჰილასსა და ფილონუსს შორის" (1713 წ.) სადაც ბერკლი სცდილობს განსაკუთრებით პოპულიარულ ფორმაში გადმოსცეს თავისი შეხედულებანი, იგი შემდეგნაირად ახასიათებს თავისი დოქტრის წინააღმდეგობას მატერიალისტების დოქტრინასთან:

„მე თქვენ (მატერიალისტებს) გეთანხმებით, რომ რაკი ჩვენზე რაღაც გარედან მოქმედობს, ჩვენ უსაფუძ ვ�აღიაროთ ჩვენს გარეშე მყოფი ძალების არსებობა. ეს ძალები ეკუთვნის არსებას, რომელიც განსხვავდება ჩვენგან. მაგრამ ჩვენ ერთმანეთს აღარ ვეთანხმებით იმ საკითხში როგორია ეს ძლიერი არსება. მე ვამტკიცებ იგი სულია მეთქი, თქვენ ამბობთ მატერიაა, თუ არ ვიცი რაღაც (შემიძლია დაუმატო თქვენც არ ვიცით როგორი) მესამე ბუნება... (335 გვ. დასახ. გამ.)

ფრეიზერი კომენტარიებს უკეთებს: „ამაშია მთელი კითხვის ღერძი. მატერიალისტების აზრით გრძნობადი მოვლენები გამოწვეულია მატერიალისტური სუბსტანციით ან რაღაც უცნობი „მესამე ბუნებით". ბერკლის აზრით რაციონალური ნებისყოფით ჰიუმისა და პოზიტივისტების შეხედულებით მათი წარმოშობა ობსოლუტურად უცნობია, ჩვენ კი შეგვიძლია მხოლოდ მათი განზოგადება ინდუქტიური გზით, ჩვეულებრივ თანახმად".

ბერკლის ინგლისელი მოწაფე ფრეიზერი აქ თავისი თანამიმდევარი იდეალისტურ თვალსაზრისით შეუდგა იმავე ძირითად ხაზებს ფილოსოფიაში, რომელიც ასე ნათლად დაახასიათა მატერიალისტმა ენგელსმა თავის „ლუდვიგ ფეიერბახში“ ეს უკანასკნელი ფილოსოფოსებს ორ დიდ ბანაკად“ ჰყოფს: მატერიალისტებად და იდეალისტებათ. ენგელსს მხედველობაში აქვს ორივე ფერადი და შინაარსიანი თეორია, ვიდრე ფრეიზერი და ძირითად განსხვავებას მათ შორის იგი იმაში ჰხედავს, რომ მატერიალისტებისათვის ბუნება პირველადი რაცაა, ხოლო სული მეორადი, იდეალისტებისათვის პირუკუნ. მატერიალისტებსა და იდეალისტებს შორის ენგელსი ათავსებს ჰიუმის და კანტის მომხრეებს, რომელნიც უარჰყოფენ ქვეყნიერების შემეცნებას, ან ყოველს შემთხვევაში მისი სრული შემეცნების შესაძლებლობას, იგი მათ აგნოსტიკოსებს უწოდებს. თავისი „ლუდვიგ ფეიერბახში“ ენგელსი ამ უკანასკნელ ტერმინს მხოლოდ ჰიუმის მომხრეების დასახასიათებლად ხმარობს, მაგრამ წერილში „ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ იგი პირდაპირ ლაპარაკობს „ნეოკანტიანელი აგნოსტიკოსის“ თვალსაზრისზე, რადგან ნეოკანტიანიზმს აგნოსტიციზმის ერთ ერთ სახეთ სთვლის (იხ. მატერიალიზმი).

3. ლენინი.

15. ჰიუმის აგნოსტიციზმის კრიტიკა.

აი ჰიუმის მსჯელობა „გამოკვლევაში ადამიანური შემეცნების შესახებ“ სახელდობრ მე-12 თავში „სკეპტიკურ ფილოსოფიაზე“ შეიძლება აშკარად ვაღიაროთ, რომ ადამიანების ბუნებრივი ინსტიქტისა ან მიდრეკილების გამო ადვილად ენდობიან თავიანთ გრძნობებს და რომ ყოველი მსჯელობის დამოუკიდებლად ან თვით იქამდე, სანამ რაიმე მსჯელობას მივმართავდეთ, ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ გარეგანი ქვეყნიერების

(external universe) არსებობას? ეს ქვეყნიერება დამოკიდებული არ არის ჩვენი აღქმისაგან. იგი იარსებებდა ამ შემთხვევაშიც თუნდ ჩვენ და ჩვენთან ერთად ყველა შეგრძნობის ნიჭით აღჭურვილი ქმნილება გაქრალიყო ან მოსპობილიყო. თვით ცხოველები ხელმძღვანელობენ ასეთი შეხედულებით, ისინი ინარჩუნებენ ამ რწმენას გარეგანი ობიექტებისადმი ყველა თავიანთ განზრახვასა, გეგმასა და მოქმედებაში... მაგრამ ადამიანების ეს საყოველთაო და პირველყოფილი აზრი ჩქარა ინგრევა უადვილესი (slightes) ფილოსოფიისა. ჩვენი გონება ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევს, გარეგანსასვისა ან აღქმისა, და გრძნობები მხოლოდ არხებია (inlets) რომელთა შემოწმებით ეს ასახვანი გადაიცემიან, ისე რომ მათ არავითარი უშუალო ურთიერთობის (intersourse)დამყარება არ ძალუძთ გონებასა დაობიექტს შორის. მაგიდა უფრო პატარა სჩანს,თუ მას დაეშორდით, მაგრამ რეალური მაგიდა, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს. როდი იცვლება. მაშასადამე ჩვენს გონებას მხოლოდ მაგიდის გამოხატულება (image) ეჩვენება. ასეთია გონების ცხადი აღნიშვნანი და არც ერთს ადამიანს, რომელიც მსჯელობს, არასოდეს ეჭვი არ ჰქონია, რომ საგნები (existenees) რომელთა შესახებ ჩვენ ვამბობთ ეს მაგიდაა, ეს ხეაო, მხოლოდ ჩვენი გონების აღქმებია და მეტი არაფერი... რა საბუთით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ აღქმები ჩვენს გონებაში უნდა გამოწვეულ იქნან გარეგანი საგნებით, რომელნიც სრულიად განსხვავდებიან ამ აღქმებისაგან, თუმცა კიდევ ჰგვანან მათ (თუ ეს შასაძლებელია) დარომ ისინი არ გამოშდინარეობენ ან თვის გონების ენერგიისაგან, ან რაიმე უხილავი და უცნობი სულის მოქმედებისაგან, ან რაიმე სხვა მიზეზებისაგან, რომელიც უცნობია ჩვენთვის?.. როგორ შეიძლება ამ კითხვის გადაჭრა? ჯასაკვირველია, გამოცდილების შემწეო-

ბით, მაგრამ ამ პუნქტში გამოცდილება სდუმს და შეუძლებელიცაა არა სდუმდეს. გონების განკარგულებაში არასოდეს არავითარი საგნები არაა, გარდა აღქმებისა და მას არავითარს შემთხვევაში არ ძალუძს რაიმე ცდა მოახდინოს აღქმათა და ობიექტთა ურთიერთობის შესახებ. ამიტომ ურთიერთობის წარმოდგენა მოკლებულია ყოველი ლოგიკურ საფუძველს. უზენაესი არსების სიმართლისადმი მიმართვა ჩვენი გრძნობების სიმართლის დასამტკიცებლად იმას ნიშნავს, რომ ამ კითხვას დავსვამთ გარეგანი ქვეყნების შესახებ, დავკარგავთ ყველა საბუთს, რითაც შეიძლებოდა ასეთი არსების ყოფნა დამტკიცებულიყო" (იხ. ჰიუმის დასახელ ნაწარმოების 1882 წ. გამოცემის გვ. 150-153).

ამასვე იმეორებს ჰიუმი „ტრაქტატში ადამიანური ბუნების შესახებ" ნაწ. 4 განყოფ. 2: „სკეპტიციზმი გრძნობათა მიმართ". „ჩვენი ათვისებანი ჩვენი ერთად ერთი ობიექტებია" (281 გვ. ფრანგული თარგმანის რენუვიესა და პიიონის მიერ, 1878წ.) ჰიუმი სკეპტიციზმს უწოდებს ისეთ მიმართულებას, რომელიც უარს ამბობს შეგრძნობანი საგნების, სულის და სხ. ზემოქმედებით განმარტოს, უარს ამბობს აღქმები ერთი მხრით გარეგან ქვეყნიდან გამოიყვანოს, ხოლო მეორე მხრით ღვთაებისა და უცნობი სულისაგან. და ჰიუმის ფრანგული თარგმანის წინასიტყვაობის ავტორი პილონი (F. Pillon) მახის მონათესავე მიმართულების ფილოსოფოსი (როგორც ქვემოთ დავინახავთ) სამართლიანად ამბობს, ჰიუმისთვის სუბიექტი და ობიექტი არსებითად „აღქმების სხვადასხვა ჯგუფებია", შეგნების სხვადასხვა ელემენტები, სხვადასხვა შთაბეჭდილებანი, სხვადასხვა იდეები და სხვა, რომ ლაპარაკი უნდა სწარმოებდეს მხოლოდ „ამ ელემენტების შეჯგუფებასა და კომბინაციებზე. აგრეთვე ინგლისელი ჰიუმისტი ჰექსლი, შემომღები სხარტული და სწორი გამოთქმისა „აგნოსტიციზმი", თავის წიგნში ჰიუმის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი აღიარებდა რა „შეგრძნებებს" შეგნების პირვანდელ, დაუნაწილებელ

მდგომარეობათ. საკუთარი თანმიმდევარი არ იყო იმ კითხვაში, რით უნდა აიხსნას შეგრძნებათა წარმოშობა, ობიექტების ზეგავლენით ადამიანზე, თუ გონების შემოქმედებითი ძალითო. „იგი (ჰიუმი) ერთნაირად მისაღებ ჰიპოტეზათ სთვლის იდეალიზმსა და რეალიზმს". ჰიუმი როდი სცილდება შეგრძნებებს. „წითელი, ლურჯი ფერი, ვარდის სუნი უბრალო შეგრძნებანია... წითელი ვარდი რთული ათვისებას გვაძლევს (complex impression), რაც შეიძლება განაწილებულ იქნას ვარდის წითელი ფერის, სუნის და სხ უბრალო ათვისებათ" (64-65 გვ. იქვე) ჰიუმი დასაშვებათ სთვლის „მატერიალისტურ პოზიციასაც და იდეალისტურსაც (82 გვ.) ათვისებათა კოლექცია" შეიძლება წარმოშობილ იქნას ფიხტესელ „მეს" მიერ, შეიძლება აგრეთვე რეალური რამის (real something) გამოხატულება ან სიმბოლო იყოს. ასე განმარტავს ჰიუმს ჰექსლი.

...ენგელსი თავისი წერილში „ისტორიულ მატერიალიზმის შესახებ" ინგლისელ აგნოსტიკოსებზე (ჰიუმის მიმართულების ფილოსოფოსებზე) შემდეგს ლაპარაკობს:

ჩვენი აგნოსტიკოსი გვეთანხმება, რომ მთელი ჩვენი ცოდნა დამყარებულია იმ ცნობებზე (Mitteilungen), რომელთაც ჩვენი გრძნობებით ვღებულობთ... „(Neue Zeit, 1892 №1).

„მაგრამ, უმატებს იგი (აგნოსტიკოსი), საიდაც ვიცით, რომ ჩვენი გრძნობები გვაძლევს მათ მიერ აღქმული საგნების სწორს გამოსახულებას (abb'der)? შემდეგ იგი გვამცნობს, რომ როცა საგნებსა და მის თვისებებზე ვლაპარაკობ, ნამდვილად ვგულისხმობ არა თვით ამ საგანს ან მათ თვისებათ, რომელთა შესახებ აზოფერი შეიძლება ვიცოდე უტყუარად, არამედ იმ შთაბეჭდილებებს, რომელნიც მათ მოახდინეს ჩემს გრძნობებზე" ... (N. Z. S. 18).

რომელ ორ ფილოსოფიურ ხაზს უპირდაპირებს ერთმანეთს აქ ენგელსი. ერთი ხაზი შემდეგია: „გრძნობები გვაძლევენ საგნების სწორ ასახვას, ჩვენ ვიცით

თვით ეს საგნები, გარეგანი ქვეყნიერება ზემოქმედებას ახდენს ჩვენი გრძნობის ორგანოებზე. ეს მატერიალიზმია. მას აგნოსტიკოსი არ ეთანხმება. რაღაშია აგნოსტიკოსის ხაზის დედაარსი. იმაში რომ იგი არ სცილდება შეგრძნობათ, რომ იგი ჩერდება მოვლენათა გამოღმა მხარეს, უარს ამბობს რაიმე „უტყუარი" დაინახოს შეგრძნებათა საზღვრებს იქით. ამ საგნებზე (ე. ი. საგნებზე, „ობიექტივებზე თავის თავად" როგორც მატერიალისტები ლაპარაკობენ, რომელთაც ბერკლი ეკამათებოდა) ჩვენ შეგვიძლია უტყუარათ ვიცოდეთ: ასეთია აგნოსტიკოსის გარკვეული განცხადება. მაშასადამე იმ კამათში, რომელზედაც ენგელსი ლაპარაკობდა, მატერიალისტი ანტიკიცებს, არსებობენ და შეიცავენ საგნები თავის თავად. აგნოსტიკოსი დაუშვებლად სთვლის თვით აზრს საგნებზე თავის თავად და აცხადებს, არაფერი შეგვიძლია უტყუარად ვიცოდეთ მათ შესახებ.

ენგელსს სახელები განგებ არ აქვს ჩამოთვლილი, იგი აკრიტიკებს არა ჰიუმიზმის განცალკევებულ წარმომადგენლებს (პროფესიულ ფილოსოფოსებს უყვართ ორიგინალურ სისტემად დასახვა ნამცეცის ოდენა-ცვლილებებისა, რომელიც რომელიმეს მათ შორის ტერმინოლოგიასა და არგუმენტაციაში შეაქვს), არამედ ჰიუმიზმის მთელს ხაზს. ენგელსი აკრიტიკებს არა წვრილმანს, არამედ დედაარსს. იგი ლებულობს იმ ძირითად მომენტს, რომელშიც მატერიალიზმს ყველა ჰიუმისტი შორდება და ამიტომ ენგელსის კრიტიკა ხვდება მილლსაც, ჰექსლსაც და მახსაც. სულ ერთია როგორც ვიტყვით ჩვენ: რომ მატერია არის მუდმივი შესაძლებლობა შეგრძნებებისა (როგორც ჯ. სტ. მილლი ამბობდა), თუ რომ მატერია -„ელემენტი" შეგრძნებათა მეტად თუ ნაკლებად ურყევი კომპლექსებიაო (როგორც მახი ამბობს), ორივე შემთხვევაში აგნოსტიციზმის ფარგლებში ვრჩებით. ენგელსის მიერ აგნოსტიციზმის დახასიათება შეიცავს ორივე თვალსაზრისს ან უკეთ ორივე ფორმულას: აგნოსტიკოსი არ სცილდება შეგრძნებათ, იგი აცხადებს, რომ არაფერი შეუძლია

იცოდეს უტყუარი მათს წყაროზე ანუ მათ ორიგინალზე და სხვა... და თუ მახი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს მილლთან დაშორებას აღნიშნულ საკითხში, ეს იმიტომ ხდება, რომ მახს კარგათ უდგება ის დახასიათება, რომელიც ორდინალურ პროფესორებს ენგელსმა ასაცა: (Hionknaxner) წრყილის მტყლეტელი. ბატონები, თქვენ რწყილი გაჭყლიტეთ. როცა ნომენკლატურაში შესწორებანი და ცვლილებანი შეგქონდათ, იმის ძაგიერათ რომ ძირითადი გაორებული თვალსაზრისი დაგეტოვებიათ

როგორ აბათილებს მატერიალისტი ენგელსი (იგი თავის მატერიალიზმს აშკარად და გაბედულად უპირისპირებს აგნოსტიციზმს) ზემოდ გადმოცემულ დასკვნებს.

„. . . .ლაპარაკი არ უნდა ამბობს იგი, ეს ისეთი თვალსაზრისია, რომ თითქო ძნელი უნდა იყვეს მისი უარყოფა მარტოოდენ არგუმენტაციით. მაგრამ ადამიანები მოქმედებდენ, სანამ დასაბუთება დაიწყეს პირველად იყო სიტყვა. და ადამიანის მოქმედებამ გადააჭრა ეს სიძნელე ბევრად ადრე, ვიდრე ადამიანის ჭკუის ძალდატანება მას შექმნიდა. The proof of the pu ddin is in eating (პედდინგის შემოწმება ანუ გამოცდა იმაშია, რომ მას სჭამენო). იმ წუთში, როცა ჩვენ, შეგრძნებული საგნის თვისებების მიხედვით, ამ საგანს ვხმარობთ, ჩვენ უტყუარათ ვამოწმებთ ჩვენი გრძნობადი ათვისებები ჭეშმარიტებას ან ცდომილებას თუ ჩვენი ათვისება შემცდარი იყო, შემცდარი იქნება ჩვენი მსჯელობაც ამ საგნის გამოყენების შესახებ და ყოველი ცდა ასეთი შმარიტებას ან ცდომილებას, თუ ჩვენი ათვისება შემცდარი იყო, შემცდარი იქნება ჩვენი მჯელობაც ამ საგნის გამოყენების შესახებ და ყოველი ცდა ასეთი გამოყენების აუცილებლად მარცხით დამთავრდა. მაგრამ თუ ჩვენს მიზანს მივაღწიეთ, თუ დავინახეთ, რომ საგანი შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას მის შესახებ, რომ იგი იმ შედეგს იძლევა, რომელსაც მისი გამოყენებისაგან მოველოდით, მაშინ წართქმითი საბუთი გვაქვს,

რომ ამ ფარგლებში ჩვენი ათვისებანი საგანსა და მის თვისებებზე ეთანხმება ჩვენს გარეშე არსებულ სინამდვილეს".

ამ რიგად მატერიალისტური თეორია, რომლის ძიხედვით საგნებს აზრი ასახავს, აქ სრულიად ნათლად არის გადმოცემული: ჩვენს გარეშე საგნებში არსებობენ. ჩვენი ათვისებანი და წარმოდგენანი მათი გამოხატულებანია. ამ გამოხატულებათა შემოწმებას, ჭეშმარიტთა გამოყოფას შემცდართაგან პრაქტიკა იძლევა მაგრამ კიდევ მოუსმინოთ ენგელსს (ბაზაროვი აქ სწყვეტს სიტატას ენგელსიდან ან უკეთ პლეხანოვიდან, მიტომ რომ, როგორც ეტყობა ზედმეტად სთვლის ახგარიში გაუწიოს თვით ენგელსს).

„..თუ პირიქით, ჩვენ დავინახავთ, რომ შეცდომა ჩავიდინეთ, მაშინ უმეტეს შემთხვევაში, ჩქარა შეგვეძლებოდ შეცდომის მიზეზის აღმოჩენას. ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ აღქმა, რომელიც ჩვენს შემოწმებას დაედო საფუძვლად, ან თვით უსრულო და ზერეული იყო, ან სხვა ათვისებათა შედეგებთან იყო შეკავშირებული, ისე რომ იგი არ მართლდებოდა საქმის ვითარებით" (რუსული თარგმანი „ისტორიულ მატერიალიზმში" სწორი არ არის). სანამ ჩვენ სათანადოთ ვანვითარებთ ჩვენს გრძნობებს და ვიყენებთ მათ, სანამ ჩვენს მოქმედებას იმ ფარგლებში ვაყენებთ, რომელიც სწორათ მიღებულმა და გამოყენებულმა აღქმებმა შემოხაზა, ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიქნებით, რომ ჩვენი მოქმედების წარმატება ამტკიცებს, ჩვენი აღქმები აღქმნილი საგნების საგნობრივ ბუნებას შეესაბამებაო. რამდენადაც დღემდე ვიცით, არ არის არც ერთი ისეთი შემთხვევა როცა ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვესკვნა, რომ ჩვენი მეცნიერულად შემოწმებული გრძნობანი ათვისებანი ჩვენს ტვინში ისეთს წარმოდგენებს იწვევს გარეშე ქვეყნის შესახებ, რომელნიც თავიანთი ბუნებით შორდებიან სინამდვილეს ან კიდევ გარეგან ქვეყანას. და რომ ჩვენს გრძნობად ათვისებებს შორის თანდაყოლილი შეუსაბამობა არსებობს" . . . (N. Ž. S. 18).

იხ. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიზმი).

1. დიალექტიკური იდეალიზმის კრიტიკა.

მეტაფიზიკოსი საგნებს იხილავს და სწავლობს ცალცალკე და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. თუ იგი განზოგადებულ შეხედულების საჭიროებას განიცდის, მაშინ საგნებს მათ ურთიერთ ზედმოქმედებაში იხილავს; აქ იგი შესდგება, წინ აღარ მიდის და აღარ შეუძლია წავიდეს, ვინაიდან მისთვის საგნები ურთიერთისაგან გაყოფილნი არიან, ვინაიდან მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს მათს განვითარებაზე, რომელიც ახსნის, როგორც მათს მიზეზებს, ისე მათ შორის არსებულ ურთიერთობას. დიალექტიური იდეალიზმი სახავს მეტაფიზიკოსთათვის გარდუვალ საზღვრებს: იგი იხილავს ზედმოქმედების ურთიერთობის ორსავე მხარეს არა როგორც „უშუალოდ მოცემული", არამედ როგორც „მომენტებს, რომელიღაც მესამის, უმაღლესისას, რაიც არის „ცნება". მაგალითად ჰეგელი იხილავს სპარტის ზნე-ჩვეულებასა და კონსტიტუციას. „თუ ჩვენს განვიხილავთ, -ამბობს ის, — სპარტის ხალხის ზნე-ჩვეულებებს, როგორც მის კონსტიუციის შედეგს და, პირიქითა, კონსტიტუციას კიდევ, როგორც მის ზნე-ჩვეულებათა შედეგს, — თუმცა ეს თვალსაზრისი საერთოდ მართებული იქმნება, მაგრამ იგი ვერ იძლევა სრულს დაკმაყოფილებას, ვინაიდან მისი საშუალებით ვერ შეგძლებთ ნამდვილად ავხსნად კონსტიტუცია ან ამ ხალხის ზნე-ჩვეულებები; ეს ახსნა შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ორთავეს ეს მხარე, ისევ როგორადაც სხვა დანარჩენი მხარეები, რომელსაც ვამჩნევთ სპარტის ხალხის ცხოვრებასა და ისტორიაში, შეცნობილ იქმნება, რამდენადაც მათ საფუძველი აქვთ ამ ცნებაში (იხ. Encyklopödie ete § 156).

ფრანგი ფილოსოფოსები საშუალო საუკუნეებისადმი მხოლოდ ზიზღით და შეიძლება ითქვას, მხო-

ლოდ საძულეილით იყვნენ შეპყრობილნი. ჰელვეციუ-სის თვალში ფეოდალიზმი „სიბრიყვის შედეგია", ჰეგე-ლი საშუალო საუკუნეების ზნე-ჩვეულებათა და დაწე-სებულებათა რომანტიულ იდეალიზაციისაგან ფრიად შორსაა, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი ამ პერიოდს კა-ცობრიობის განვითარებისათვის აუცილებელ ელემენტად სთვლის. კიდევ უფრო მეტი: იგი უკვე ამჩნევს, რომ სა-შუალო საუკუნეთა ცხოვრების ინმანენტური წინააღმდე-გობის შედეგია თანამედროვე საზოგადოება.

ფრანგ ფილოსოფოსებს რელიგია მიაჩნიად მხო-ლოდ ცრუმორწმუნოების გროვად, რომელიც კაცობრი-ობას მიულია საკუთარ სიბრიყვისა და ქურუმთა წი-ნასწარმეტყველების მატყუარობის წყალობით. ფრანგმა ფილოსოფოსებმა რელიგიასთან მხოლოდ ბრძოლა იწო-დენ. მათი მუშაობა თუმცა თავის დროისათვის ფრიად სასარგებლო იყო, მაგრამ იგი სრულიადაც ვერ უწყობდა ხელს რელიგიის მეცნიერულ შესწავლას. დიალექტიურ-მა იდეალიზმმა შეამზადა ეს შესწავლა. შეადარეთ ერთ-მანეთს შტრაუსის „იესოს" ცხოვრება და „იესო-ქრისტეს კრიტიკული ისტორია" ჰოლბახისა და ადვილად დაინა-ხავთ, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგმულა წინ რელიგიის ფილოსოფოსის მიერ, ჰეგელის დიალექტიური მეთოდის კეთილის მყოფელ გავლენის წყალობით.

როდესაც „ფილოსოფოსნი" სწავლობდენ ფილო-სოფოსის ისტორიას ისინი ჩადიოდნენ ამას იმიტომ, რომ იქიდან ამოეკრიფად საბუთები თავის შეხედულებათა სასარგებლოდ, ან თავის იდეალისტ წინამორბედთა სის-ტემების დასამარცხებლად. ჰეგელი თავის წინამორბედ-თა სისტემებს როდი ებრძვის: ეს სისტემები მას მიაჩნია „მთლიან ფილოსოფიის" სხვადასხვა საფეხურებად. ყოვე-ლი ცალკე ფილოსოფია შვილია თავისი დროისა და დროის მიხედვით უკანასკნელი ფილოსოფია შედეგია ყველა წინამორბედ ფილოსოფიებისაო, იგი ამიტომ უხ-და შეიცავდეს ყველა წინანდელების პრინციპებს: ამი-ტომვე, თუ იგი მართლაც ფილოსოფიაა,

იგი ყველაზე მეტის შემცველი, მდიდარი და კონკრეტიული უნდა იყოსო.[1])

„უნაკლო კანონმდებლობა ფილოსოფოსთა კვლევაძიების ერთის საყვარელი საგანთაგანი იყო. ყოველ მათგანს საკუთარი უტოპია ჰქონდა. დიალექტიური იდეალიზმი ერიდებოდა ამგვარ კვლევა-ძიებას. სახელმწიფოვო ამბობს ჰეგელი, არის ინდივიდუალური მთლიანობა, რომლის არც ერთი ცალკე მხარეს, რა-გინდ უმაღლესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, მაგ., სახელმწიფოწყობილება, შეუძლებელია გამოიყოს თავის თავად და შეუძლებელია ამორჩეულ და დასახულ იქმნას იზოლიაციურად გამოკვლევისათვის. საჭიროა შეცნობა ხალხის სულისა, რომლისაგანაც გამომდინარეობს სახელმწიფოში ყველაფერი; იგი ვითარდება თავის თავად და მის განვითარებაში შეიძლება შევამჩნიოთ განსაზღვრული პერიოდები, რომელთაგან ყველასათვის აუცილებელია განსაზღრული კონსტიტუცია: მისი (კონსტიტუციის) ამორჩევა შეუძლებელია, იგი ეფარდება დროების სულს. მეორე მხრივ ისა, რომ არა მარტო კონსტიტუცია განისაზღვრება ხალხის სულით, არამედ თვით ეს სული ხალხისა არის რგოლი მსოფლიო სულის განვითარების მსვლელობაში, რომელისგანაც გამოდიან სხვადასხვა კონსტიტუციები".[2]).

ერთი სიტყვით დიალექტიური იდეალიზმი უყურებდა ქვეყნიერებას, როგორც ორგანიულ მთლიანობას, რომელიც ვითარდება საკუთარისავე „ცნებისაგან". ამ მთლიანობის, ამ განვითარების პროცესის შეცნობა და აღმოჩენა—აი ის ამოცანები, რომელსაც ისახავდა ფილოსოფია. კეთილშობილი, დიადი, საოცარი ამოცანაა ამის თანა ამოცანის დამსახველი ფილოსოფია ევროპის ბოლოჩვენებოდა „უფერულად" და „მომაკვდინებლად". პირიქით, იგი აღიტაცებდა ყველას თავისი სიცოცხლით, თავის. მოძრაობის გარდუვალ ძალოვნებით, თავისი მო-

---

[1]) Encyklopädie etc § 13

[2]) იხ. Phylosophie der Geochichte გვ. 50—51.

ელვარე ფერადთა სილამაზით, და მიუხედავად ამისა: იდეალისტური, დიალექტიურ ფილოსოფიის კეთილშობილი მისწრაფება განუხორციელებელი დარჩა. მან ვერ ხანახორციელა და არც შეეძლო განეხორციელებინა იგი. ადამიანის სულს გერმანულმა იდეალიზმმა დაუფასებელი სამსახური გაუწია და შემდეგ დაეცა თითქოს იმისათვის, რომ თავისი მაგალითით დაემტკიცებინა სიმართლე თავის თეორიისა: „ყველაფერი ბოლოვადი თავის თავს ანადგურებს და გადადის თავის საწინააღმდეგოში.“ ჰეგელის სიკვდილის ათიწლეულ შემდე მატერიალიზმი კვლავ გამოვიდა საფილოსოფიო განვითარების ასპარეზზე და განაგრძობს გამარჯვებათა მოპოებას თავის ძველ წინააღმდეგლებთან ბრძოლაში?

რა არის ცნება, აბსოლუტური იდეა, მსოფლიო სული, რომლებზედაც შეუწყვეტლად ლაპარაკობდა გერმანულ სპეკულიატური ფილოსოფია? არის თუ არა საშუალება იმ საიდუმლო არსების შეცნობისა, რომელზედაც ფიქრობდნენ:იგია ყველაფრის მამოძრავებელი და განმაცხოველებელიო?

დიაღ, არის. არის სრულიად უბრალო საშუალებაც საჭიროა მხოლოდ მას უფრო ყურადღებით დავაკვერდეთ. თუ ჩვენ ამას ვიზამთ. მყისვე მოხდება ერთ ერთი შესანიშნავი გარდაქცევათაგანი. ეს აბსოლუტური იდეაა ასეთი უძლეავი თავისი მოძრაობაში, ასეთი ნოყიერ და ნაყოფიერს დედას ყველაფერს იმისა, რაც ყოფილა, არის და იქნება მომავალ საუკუნეებში,—უცებ ფერი ეკარგება, უძრავი ხდება, წმინდა აბსტრაქციათ იქცევა და არამცთუ თვითონ ვერაფელს ახსნის. არამედ თავ. ს საკუთარ თავისთვის თავდაბლად მოითხოვს რაიმე ახსნას Sic transitgloria ideal (ასე ქრება დიდება. იდეისა.)

აბსოლუტური იდეა ყველა თავის იმანენტური კანონებით მხოლოდ ჩვენი აზროვნების პროცესის პერსონიფიკაციაა, ვინც ბუნების მოვლენათა, ან სოციალურ ევოლუციის ასახსნელად ამ იდეას მიმართავს, იგი სტო-

ვებს სინამდვილის ნიადაგს და შედის აჩრდილთა სამეფოში. სწორედ ეს დაემართოდ გერმანელ იდეალისტებს. წიგნში, რომელიც 1845 წელს გამოვიდა მაინის ფრანკფურტში და რომელიც დაწერილი იყო იმ ორი ადამიანის მიერ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში სახელი რომ გაფთქვას, ჩვენ ვხედავთ შესანიშნავ მხილებას „სპეკულიატურ სისტემათა საიდუმლოებისას."

„როდესაც ნამდვილად არსებულ ვაშლების, მსხლების, მარწყვისა და ნუშის ჩემ მიერ ცნობისა გამო შევიმუშავებ ჩემთვის წარმოდგენას „ხილი, როდესაც ამის შემდეგ მე წინ მივდივარ და მგონია, რომ ჩემი აბსტრაქტული (განყენებული) წარმოდგენა „ხილი," მიღებული ნამდვილი ხილთა მეოხებით არსებობს ჩემს გარეშე და მსხალთა, ვაშლთა და სხვათა ჭეშმარიტ რაობასაც ეს წარმოადგენს, მაშინ სპეკულიატური ფილოსოფიის ენით რომ ვილაპარაკოთ, მე „ხილს" ვაცხადებ მსხალთა, ვაშლთა, ნუშისა და სხვა „სუბსტანციად." მე ვამბობ: მსხალისთვის არსებითი როდია, რომ იგი მოგვევლინება მსხლის სახით; ვაშლისათვის როდია არსებითი ვაშლად ყოფნა. ამ საგნებში არსებითია არა ნამდვილი შეგრძნობით ათვისებული მყოფობა, არამედ ჩემ მიერ მათგან განყენებული და მათდამი მიწერილი რაობა, რაობა ჩემის წარმოდგენისა „ხილი" და მე ვაშლებს, მსხალსა და ნუშსა და სხვას—არსებობის უბრალო ფორმებად, „ხილის" მოდუსებად ვაცხადებ. მართალია ჩემი შეზღუდული გონება, დამყარებული გარეგან გრძნობებზე განასხვავებს ვაშლს მსხლისაგან და მსხალს ნუშისაგან, მაგრამ ჩემი სპეკულიატური გონება ამ გრძნობებს არა არსებითად მნიშვნელობა - მოკლებულად აცხადებს, იგი ვაშლს მიიჩნევს იმადვე, რადაც მიიჩნევს მსხალს: მსხალს კიდევ იმადვე—რადაც ნუშს. სახელდობრ: „ხილად". სხვადასხვა ნამდვილს ხილთ-მნიშვნელობა აქვთ უფრო, როგორც მოჩვენებითი ხილთ, რომელთა ჭეშმარიტს რაობას,—სუბსტანციას—„ხილი" შეადგენს [1]).

---

[1]) იხ. Heilrge Famille ete Frankfurt aM 1845. S. 79.

მაგრამ გერმანული სპეკულიატური ფილოსოფია, არსებითად სუბსტანციის თვალსაზრისზე როდი მდგარა „აბსოლუტური სუბსტანცია,—ამბობს ჰეგელი,—არის ჭეშმარიტება, მაგრამ ჯერ კიდევ როდია მთელი ჭეშმარიტება, იგი უნდა გვესმოდეს, როგორც მომქმედი, თავის თავად ცოცხალი და სწორედ ამიტომ იგი უნდა განიმარტოს როგორც სული.“ აბა ვნახოთ, თუ როგორ აღწევენ ამ უფრო მაღალსა და ჭეშმარიტ თვალსაზრისს; თუ ვაშლი, მსხალი, ნუში და მარწყვი ნამდილად სხვა არ არის რა, თუ არ სუბსტანცია“ „ხილი,“- საკითხავია: რატომ წარმომიდგება „ხილი“ ხან ვაშლის ხან მსხალის, ხან კიდევ ნუშის სახით, საიდან ჩნდება ეს მოჩვენება მრავალ-სახიანობისა, რომელიც ცხადად ეწინააღმდეგება ჩემს გონებრივ წარმოდგენას მთლიანობის, „სუბსტანციის, „ხილის“ შესახებ. ეს იმიტომ ხდება, გვიპასუხებს სპეკულიატური ფილოსოფოსი, რომ „ხილი“ მკვდარი უძრავი კი არა, არამედ ცხოველი თავისგნითგანვე გენთენილი, მოძრავი რაობაა. ნამდვილ ცოდვილ ხილთა მრავალფეროვნება არსებობს არა მარტო ჩემი გრძნობადი გონებისათვის. არამედ თვით „ხილისათვისაც“, სპეკულიატურ გონებისათვისაო. სხვადასხვა ცოდვილი ხილი ეს „მთლიანი ხილის“ ცხოვრების სხვადასხვა გამოხატულება, ეს კრისტალიზაციებია, რომელსაც თვით „ხილი“ ახდენს მაგალითად, ვაშლში „ხილი“ გამოსახავს თავის ვაშლგვარს; ხოლო მსხალში-მსხალგვარ მყოფობას. ამიტომ, შეუძლებელია იმის თქმა რასაც სუბსტანციის თვალსაზრისის მომხრენი ამბობენ: მსხალი „ხილია“, ვაშლი, ნუში-ხილიაო. უფრო მართებული იქნება ითქვას: „ხილი“ ისახვის მსხლის სახით: ის განსხვავებანი, რომელიც ჰყოფს ურთი - ერთისაგან ვაშლს, მსხალს და ნუშს, ეს არის მხოლოდ თვითგანსხვავებანი „ხილისა“ განსხვავებანი, რომელიც ცალკე „ხილს“ ცხოვრების პროცესის შორის არსებულ ცალკე როლებად... ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ქრისტიანული რელიგია ღლიარებს მხოლოდ ერთ განსახიერებას, ღვთისას.-სპეკულიატურმა ფილოსოფიამ იცის იმდენივე განსახიერება, რამდენი

საგანიც არსებობს, ისევე, როგორადაც იგი ყოველ ხილში ხედავს სუბსტანციის, აბსოლუტურ „ხილის“ განხორციელებას. ამიტომ სპეკულიატურ ფილოსოფოსის უმთავრესი ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას არსებობა ნამდვილ ცოდვილ ხილთან და საიდუმლო სახით იჩურჩულოს. რომ არსებობს მსხალი, ვაშლი, ნუში და ქიშმიში... ცხადია სპეკულიატურ ფილოსოფოსს შეუძლიან აწარმოოს ეს განუწყვეტელი შემოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ყველასათვის ცნობილ, ნამდვილად თვალით დასანახ თვისებებს ვაშლისას და სხვათა წარმოგვიდგენს როგორც თავის მიერ აღმოჩენილს განმარტებას და სინამდვილის ნივთებად დაგვისახავს იმისა, რის შექმნა შეუძლიან მხოლოდ აბსტრაქტულ გონებას. სახელდობრ გონების აბსტრაქტიულ ფორმულებს. ერთი სიტყვით, მას ეს შეუძლია თუ თავის საკუთარ მოღვაწეობას, რომლის მეოხებითაც იგი გადადის ვაშლის შესახებ წარმოდგენიდან მსხლის წარმოდგენაზე. თუ იგი ამ მოძღვრებას მიიმჩნევს აბსოლუტურ სუბიექტის „ხილის“ დამოუკიდებელ მოღვაწეობად.

იდეალიზმის ეს მატერიალისტური კრიტიკა იმდენადვე მკაცრია, რამდენადაც სამართლიანი. გერმანულ სპეკულიატურ ფილოსოფიის „აბსოლიუტური იდეა“, „ხილი“ მხოლოდ აბსტრაქცია იყო. მაგრამ აბსტრაქცია, რომლის შესახებ ჰგონიათ, იგი ბოლოსა და ბოლოს სწყვეტს ულრმეს მეცნიერების პრობლემებსო, — ასეთი აბსტრაქცია მეცნიერების პროგრესის შემაფერხებელია. და თუ იმ მოაზროვნეებმა, რომელთაც საქმე ჰქონდათ ამ აბსტრაქციასთან, დიდი სამსახური გაუწიეს ადამიანთა აზროვნებას, ეს მათ მოახდინეს არა ამ აბსტრაქციის წყალობით, არამედ მიუხედავად ამ აბსტრაქციისა, იმდენად რამდენადაც მას ხელი არ შეუშლია მათთვის საგანთა ნამდვილი ვითარება შეესწავლათ. მაგალითად, შელლინგის „ნატურ — ფილოსოფიაში“ ფრიად საინტერესო შედარებებს ვხდებით. შელლინგს ფრიად დიდი ცოდნა ქონდა საბუნებიმეტყველო მეცნიერებისა. მაგრამ მისთვის „მატერიალური სამყარო“ მხოლოდ „იდეათა გან-

სახიერების სამყაროა". შეიძლება იგი არც კი ეწინააღმდეგებოდა თავის თავს, როდესაც ამტკიცებდა: „მაგნეტიზმი" განსულიერების, „ერთობილობი მრავლადობაში, ცნების — განსხვავებაში" შეეჭრაო და „ის გადაქცევაა სუბიექტიურისა ობიექტიურად, რომელიც იდეალობაში... არის, თვითცნობიერება ჩვენ გვხდება არსში გამოხატულადო" მაგრამ ერთი ნაბიჯიც შეიძლება გადავდგათ ამის წყალობით მაგნეტიზმის მოვლენათა, ან მისი ბუნების გაგებაში? ჩვენ არამც თუ წინ არ წავწეულვართ, არამედ მოგველის საშიშროება იმისა, რომ ნამდვილი ფაქტები უარყოთ იმ თეორიისათვის, რომელიც შეიძლება ზოგიერთს ასე თუ ისე გონება მახვილად მოეჩვენოს, მაგრამ რომელიც სავსებით ზებუნებრივი და ნაძალადევია (იხ. გ. პლეხანოვი: „ნარკვევი მატერიალიზმის ისტორიიდან").

ვ. ლენინი.

ობიექტიური იდეალიზმის კრიტიკა.

(ნაწყვეტები ლენინის მეთორმეტე კრებულიდან)

1. ჰეგელი ძალიან ვრცლად ჩერდება პლატონის „ნატურფილოსოფიაზე", ჩასჩიჩინებს სულელური იდეათა მისტიკას. აი მაგალითად: ასე რომ „გრძნობადი საგნების არსება სამკუთხედია"... (იხ. Hegal, Geschichte der Philoshphie მე-2 ტ.256 გვ. და სხ. მისტიური სისულელეს ძალიან დამახასიათებელია, მისტიკი იდეალისტი და სპირიტუალისტი ჰეგელი (ისე როგორც ჩვენი დროის მთელი კაზიონური — ხუცურ იდეალისტური ფილოსოფია) პირდაპირ ღეჭს და ცოხნის მისტიკას და იდეალიზსმ ფილოსოფიის ისტორიაში, მატერალიზმს ეს აყალბებს და გაურბის („შეადარე... ჰეგელი დემოკრიტზე ერთს სიტყვასაც არ ამბობს, პლატონზე კი - პირდაპირ ზღვაა მისტიური ლაყბობისა).

არისტოტელის კრიტიკა პლატონის „იდეებისა" არის იდეალიზმის კრიტიკა, იდეალიზმის კრიტიკა საერ-

თოდ: მარლაც, საიდან გაჩნდა ცნება აბსტრაქცია, საიდან კანონი, საიდან „აუცილებლობა“ და სხვა. იდეალისტი ჰეგელი უტიფრად გვერდს უვლის იმას. თუ როგორ (პლატონის იდეიის გაკრიტიკების დროს) არისტოტელმა იდეალიზმს საფუძვლები გამოაცალა.

2. როდესაც ერთი რომელიმე იდეალისტი მეორე იდეალისტის იდეალიზმის საფუძვლებს აკრიტიკებს, ამისაგან ყოველთვის მატერიალიზმი გამოდის გაგებული (ასეთია ჰეგელის კრიტიკა კანტისა, არისტოტელის პლატონისა და სხვა).

3. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი დროის ფილოსოფიური განათლება ვერ ამაღლდა იმ შეგნებამდე და იმ აზრამდე, რომ ფილოსოფოსების დროს ლაპარაკია მხოლოდ ზოგადზე, გამოითქმება მხოლოდ ზოგადობა და სხვა (იხ. ჰეგელი იქვე გვ. 143).

ასეთად მიაჩნია ჰეგელს ახალი დროის სკეპტიციზმიც (კანტი) და ისინიც, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ გრძნობადი თვალთნათლობა ჭეშმარიტებაა, (ეს მიტომ, რომ „გრძნობადი“ თვით „ზოგადია“ იქვე 143 გვ.).

.....ამით ჰეგელმა დასძლია ყოველი მატერიალიზმი დიალექტიკურის გარეშე.

...ჰეგელს სერიოზულად სწამდა, იგი სერიოზულად ფიქრობდა, რომ მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფია შეუძლებელია, იმ მოსაზრებით—რომ ფილოსოფია არის მეცნიერება აზრონებაზე, ზოგადობაზე, ზოგადი კი არის აზრი. აქ მან გაიმეორა იმავე სუბიექტიური იდეალიზმის შეცდომა, რომელსაც თვითონ ყოველთვის „ცუდ იდეალიზმს“ უწოდებდა. ობიექტიური (და კიდევ უფრო აბსოლუტური) იდეალიზმი ზიგზაგებით (ყურყუმალაობით) მეიდროდ მივიდა მატერიალიზმთან. ნაწილობრივ კი მასში გადავიდა.

4... არისტოტელთან ყოველთვის ობიექტიური ლოგიკა სუბიექტიურშია არეული, მაგრამ ისე, რომ ყოველგან ობიექტიური მოსჩანს. შემეცნების ობიექტიურობაში ეჭვი არ არის შეტანილი, არის გულუბრყვილო რწმენა გონების ძლიერებაში, ძლევამოსილებაში, შემეცნებაში,

ობიექტიურ შეჭეშმარიტებაში, და გულუბრყვილო დაბნეულობა, უსუსური დაბნეულობა ზოგადისა და კერძო დიალექტიკაში, ცნებასა და გრძნობით აღქმულ კერძო საგნის რეალობასა, საგანსა და მოვლენას შორის (სქოლასტიკამ და ხუცობამ არისტოტელიდან მკვდარი შეითვისენ და არა ცოცხალი: კითხვები, ძიება ლაბირინტი.
(იხ. «Ленинский Сборник» XVI).

ვ. ლენინი.

პლეხანოვის ფილოსოფიური შეცდომების კრიტიკა

ა) პლეხანოვის შეცდომა „ცდის" ცნების შესახებ

„ლუდვიგ ფეიერბახისადმი" მიძღვნილ წინასიტყვაობაში პლეხანოვი 10-11 გვერზე (1905 წლის გამოც.) ამბობს: „ერთი გერმანელი მწერალი ამბობს, რომ ემპირიოკრიტიციზმისთვის ცდა მხოლოდ კვლევა – ძიების საგანი და არა შემეცნების საშუალებაო. თუ ეს ასეა, ემპირიოკრიტიციზმის დაპირისპირებას მატერიალიზმისადმი ყოველი აზრი ეკარგება, და მსჯელობა იმ თემაზე, რომ ემპირიოკრიტიციზმი მოწოდებულია მატერიალიზმის ადგილი დაიჭიროსო, ამაო და უშინაარსო ხდება".

ეს სრული არევ-დარევაა.

ფრ. კარსტანიენი, ავენარიუსის ერთი ყველაზე უფრო „ორტოდოქსალური" მიმდევარი თავის წერილში ემპირიოკრიტიციზმის შესახებ (ვუნდტის პასუხი) ამბობს, რომ „წმინდა გამოცდილების კრიტიკისთვის გამოცდილება არის არა შემეცნების საშუალება, არამედ მხოლოდ კვლევა-ძიების საგანი" [1]) თუ პლეხანოვს დაუჯერეთ ფრ. კარსტანიენის შეხედულებების დაპირდაპირებას მატერიალიზმისადმი ყოველი აზრი ეკარგება.

ფრ. კარსტანიენი თითქოს სიტყვა სიტყვით გადმოგვცემს ავენარიუსს, რომელიც თავის „შენიშვნებში"

---

[1]) Vierteljahrschrtft für wissch. philosophie 1898. S. 45.

გადაჭრით უპირდაპირებს თავის გაგებას გამოცდილებისა, როგორც ისეთი რამისა, რაც მოცემული გვაქვს. რასაც წინასწარ ვპოულობთ (dus Vorgefunchne) იმ შეხედულებას, რომელიც „გაბატონებული, სავსებით მეტაფიზიკური შემეცნების თეორიების მიხედვით", ცდის „შემეცნების საშუალებათ" სთვლის (l. c. s. 401). ამასვე იმეორებს პეცოლდტიც თავის „წმინდა ცდის ფილოსოფიის შესავალში" (ტ.I.s. 170). თუ პლეხანოვს დაუჯერეთ, კარსტანიენის, ავენარიუსის და პეცოლდტის შეხედულებათა დაპირდაპირება მატერიალიზმისადმი მოკლებულია ყოველივე აზრს. ან პლეხანოვს „ბოლომდე არ წაუკითხავს კარსტანიენი და მისი თანამოაზრეები, ან თავისი ციტატი „ერთი გერმანელი მწერლიდან" პირდაპირ კი არა, შუამავლობის შემწეობით მიუღია.

რას ნიშნავს გამოჩენილი ემპირიოკრიტიკოსების ეს დებულება, რომელიც გაუგებარია პლეხანოვისათვის. კარსტანიენს სურს სთქვას, რომ ავენარიუსი „თავის წმინდა ცდის კრიტიკაში" კვლევა - ძიების საგნად ღებულობს ცდას, ე. ი. ყოველგვარ „ადამიანურ გამოთქმათ". ავენარიუსი აქ არ იხილავსო, ამბობს კარსტანიენი (იხ. კ. 50 მოხ. წერილ.), რეალურია ეს გამოთქმანი, თუ ისინი, მაგალითად, მოჩვენებათ ეკუთვნიანო: იგი მხოლოდ ჯგუფებს სისტემატიურად ალაგებს, ფორმალურად კლასიფიკაციას უკეთებს ყოველგვარ ადამიანურ გამოთქმათ, იდეალისტურსაც და მატერიალისტურსაც (s. 53), ისე რომ კითხვას არსებითად როდი იხილავს. კარსტანიენი სრულიად მართალია, რომ ამ თვალსაზრისს „უმთავრესად სკეპტიციზმს" უწოდებს (s 231), კარსტანიენი, სხვათა შორის, ამ წერილში თავის ძვირფასს მასწავლებელს იცავს სამარცხვინო ბრალდებისაგან (გერმანელი პროფესორის თვალსაზრისით), რომელიც მას ვუნდტმა წარუდგინა, რომ იგი მატერიალისტიაო, რას ამბობთ, ჩვენ რა მატერიალისტები ვართ. ასეთია კარსტანიენის პასუხის აზრი: — თუ ჩვენ „ცდის შესახებ"

ვლაპარაკობთ, ამ ცნებას ვხმარობთ არა ჩვეულებრივი, მორალური აზრით, რომელმაც შეიძლება მატერიალიზმამდე მიგვიყვანოს, არამედ ყოველივე იმის გამოკვლევის აზრით, რასაც ადამიანები გამოთქვამდენ, როგორც „გამოცდილებას". კარსტანიენი და ავენარიუსი მატერიალისტურად სთვლიან ისეთ შეხედულებას გამოცდილებაზე, რომელიც მას შემეცნების საშუალებათ სთვლის (ეს შეიძლება ჩვეულებრივი შეხედულება იყოს, მაგრამ მაინც სწორი არ არის, როგორც ფიხტეს მაგალითზე დავინახეთ). ავენარიუსი ემიჯნება „გაბატონებულ მეტაფიზიკას", რომელიც არ იშლის და ტვინს აზრის ორგანოთ სთვლის და რომელიც ანგარიშს არ უწევს ინტროექციის და კორდინაციის თეორიებს. ჩვენ მიერ ნახულათ და მოცემულათ და (Das Vorgefundene) ავენარიუსი სთვლის დაურღვეველ კავშირს მე-სა და გარემოს შუა, რაც „გამოცდილების" იდეალისტურათ არეულ-დარეულ გაგებას იწვევს.

ერთი სიტყვით, „ცდის" ცნების ქვეშ, უეჭველათ, შეიძლება დაიმალოს როგორც მატერიალისტური და იდეალისტური ხაზი ფილოსოფიაში, ისე ჰიუმისტური და კანტიანურიც, მაგრამ არც ცდის განსაზღვრა, როგორც კვლება-ძიების საგნისა[1]), არც მისი განსაზღვრა, როგორც შემეცნების საგნის, არაფერს წყვეტს ამ მხრით. სპეციალურად კარსტანიენის შეწიშვნებს ვუნდტის წინააღმდეგ კი არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ემპირიოკრიტიციზმის და მატერიალიზმის წინააღმდეგობის კითხვასთან.

---

[1]) შეიძლება პლეხანოვს ეჩვენება, რომ კარსტანიენმა სთქვა „შემეცნების ობიექტი, დამოუკიდებული შემეცნებისაგან" და არა „კვლევა-ძიების საგანი". მაშინ ეს მართლაც მატერიალიზმი იქნებოდა. მაგრამ არც კარსტანიენს და არც სხვა ვისმეს, ვინც ემპირიოკრიტიციზმს იცნობს, ეს არ უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა.

ბ) იეროგლიფების თეორიის კრიტიკა.

იმის დასამტკიცებლად, რაც ზემოთ ვსთქვით იდეალისტებზე, როგორც ემპირიოკრიტიციზმის თანამოლაშქრეებსა და მემკვიდრეებზე საჭიროა აღვნიშნოთ, თუ როგორ აკრიტიკებენ მახისტები ზოგიერთ ფილოსოფიურ დებულებას, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში დაისვა. მაგალითად, ჩვენი მახისტები, რომელთაც სურთ მახისტებათ დარჩენ, განსაკუთრებული სიხარულით დაესხენ თავს პლეხანოვის „იეროგლიფებს", ე. ი. თეორიას, რომლის მიხედვით ადამიანის შეგრძნებანი და წარმოდგენანი ნამდვილი საგნების და ბუნების პროცესების ასლები, სახეები კი არ არიან, არამედ პირობითი ნიშნები, სიმბოლოები, იეროგლიფები და სხვ. ბაზაროვი დასცინის იეროგლიფურ მატერიალიზმს და უნდა ითქვას, რომ იგი მართალი იქნებოდა იეროგლიფური მატერიალიზმი რომ უარეყო არა იეროგლიფური მატერიალიზმის სასარგებლოდ. მაგრამ ბაზაროვი აქაც ჯამბაზურ ხერხს ხმარობს, იგი კონტრაბანდათ გვაპარებს მატერიალიზმის უარყოფას „იეროგლიფიზმის" კრიტიკის სახით. ენგელსი არ ლაპარაკობს არც სიმბოლოებზე, არც იეროგლიფებზე, არამედ ლაპარაკობს საგნების ასლებსა, სურათებსა, გამოხატულებებსა, სარკის გამონაკრთომზე. იმის მაგივრად, რომ დაგვანახოს რამდენად შემცდარია პლეხანოვი, როცა შორდება ენგელსისეული მატერიალიზმის გაგებას, ბაზაროვი, პლეხანოვის შეცდომის, შემწეობით მკითხველს ენგელსის ჭეშმარიტებას უმალავს.

პლეხანოვის შეცდომის და ბაზაროვის არევ-დარევის გამოსამჟღავნებლად მივმართოთ „სიმბოლოების თეორიის" (საქმის ვითარება არ იცვლება, თუ სიტყვა სიმბოლოს მაგივრად იეროგლიფი ვიხმარეთ) უდიდეს წარმოდგენელს ჰელმჰოლცს და ვნახოთ, როგორ აკრიტიკებენ ჰელმჰოლცს ერთი მხრივ მატერიალისტები და მეორე მხრით იდეალისტები მახისტებთან ერთად.

ჰელმჰოლცი უდიდესი ბუნებისმეტყველი იყო, მაგრამ ფილოსოფიაში თანმიმდევრობა აკლდა, როგორც ბუნებისმეტყველთა უმრავლესობას. იგი კანტიანობისაკენ იხეოდა, მაგრამ თავის გნოსელოგიაში ეს თვალსაზრისიც ვერ გაატარა ბოლომდე. აი მაგალითად, როგორ მსჯელობს იგი „ფილოსოფიურ ოპტიკაში“ ცნებათა და ობიექტთა ურთიერთობის შესახებ: „შეგრძნებანი აღვნიშნე როგორც გარეგანი მოვლენათა სიმბოლოები და უარვყავი რომ რაიმე ანალოგია არსებობს მათსა და იმ საგნებს შორის, რომელთაც ისინი წარმოადგენენ“ (579 გვ. ფრანგ. თარგ., 442 გვ. გერმანული ორიგ). ეს აგნოსტიციზმია, მაგრამ ქვემოთ იმავე გვერდზე ეკითხულობთ: „ჩვენი ცნებანი და წარმოდგენანი ის მოქმედებანია, რომელთაც ჩვენს ნერვიულ სისტემას და ჩვენს შეგნებაზე ჩვენ მიერ დანახული ან წარმოდგენილი საგნები ახდენენ“, ეს უკვე მატერიალიზმია. ჰელმჰოლცს მხოლოდ, როგორც მისი შემდგომი მსჯელობიდან სჩანს, ნათლად წარმოდგენილი აქვს აბსოლუტური და შედარებითი ჭეშმარიტების ურთიერთობა. მაგალითად ჰელმჰოლცი ქვემოდ ამბობს: „მაშასადამე მე ვფიქრობ, რომ არავითარი აზრი არ ექნებოდა, რომ ჩვენი წარმოდგენების ჭეშმარიტებაზე გველაპარაკნა სხვაფრივ, თუ არა პრაქტიკული ჭეშმარიტების აზრით, შეუძლებელია ის წარმოდგენანი, რომელთაც ჩვენ ვადგენთ საგნებზე, სხვა რამე იყოს, გარდა სიმბოლოებისა, ობიექტების ბუნებრივი ნიშნებისა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენი მოძრაობის და მოქმედების მოსაწესრიგებლად, როცა ჩვენ ვეჩვევით ამ სიმბოლოების სწორად წაკითხვას, მათი შემწეობით შეძლება გვეძლევა ჩვენი მოქმედება ისე წავმართოთ, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ“... ეს სწორი არ არის: ჰელმჰოლცი აქ თავქვე ეშვება სუბიექტივიზმისაკენ, ე. ი. ობიექტიური რეალობის და ობიექტიური ჭეშმარიტების უარყოფისაკენ. და იგი საშინლად სცდება, როცა ამ აბზაცს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „იდეა და მის მიერ წარმოდგენი-

ლი ობიექტი ორი სხვა და სხვა საგანია, რომელიც ალბათ ორ სრულიად განსხვავებულ სამყაროს ეკუთვნის". მაგრამ ცოტატი კიდევ ქვემოდ ვკითხულობთ: „რაც შეეხება, უწინარეს ყოვლისა, გარეგანი საგნების თვისებებს, საკმაოა ცოტათი დავფიქრდეთ, რათა დავინახოთ, რომ ყველა თვისება, რომელიც შეიძლება მათ მივაწეროთ, ნიშნავს გარეგანი საგნების ზემოქმედებას ან ჩვენს გრძნობებზე ან ბუნების სხვა საგნებზე". (380—318 გვ. ფრან. თარგ.; 443-445 გვ. გერმ. ორიგ.). მე ვთარგმნი ფრანგულ გამოცემიდან. აქ ჰელმჰოლცი ხედავდა მატერიალისტურ თვალსაზრისზე გადადის. ჰელმჰოლცი მერყეევი კანტიანელი იყო: ხან აზროვნების აპრიორულ კანონებს სცნობდა, ხან დროისა და სივრცის „ტრანსცენდენტურ რეალობას" აღიარებდა (ე. ი. მათ მატერიალისტურად უყურებდა), ხან ადამიანური შეგრძნებანი გარეგანი საგნებიდან გამოყავდა, ხან აცხადებდა – ისინი მხოლოდ სიმბოლოებია, ე. ი. რაღაც თვითნებური ნიშნები, სრულიად გამოთიშული საგნობრივი ქვეყნიერებიდანო (შეად. Heyfelder Ueber den Begriff der Erfahrung bei Helmholts" 1807).

აი როგორ გამოხატავს ჰელმჰოლცი თავის შეხედულებებს 1878 წელს წარმოთქმულ სიტყვაში — „ფაქტები ათვისებაში" (ამ სიტყვას ლეკლერმა უწოდა „დიდი მოვლენა რეალისტურ ბანაკში"): „ჩვენი შეგრძნებანი სწორედ მოქმედებანია, რომელთაც ჩვენს ორგანოებში გარეგანი მიზეზები იწვევს. და ის გარემოება, თუ როგორ მეღავნდება ასეთი მოქმედება, რასაკვირველია, არსებითად დამოკიდებულია იმ აპარატის ხასიათზე, რომელზედაც ზემოქმედება ხდება. რამდენადაც ჩვენი შეგრძნების თვისება ცნობას გვაძლევს იმ გარეგანი ზემოქმედე-

ბის თვისებაზე, რომელმაც ეს შეგრძნება გამოიწვია, იმდენად შეგრძნება შეიძლება ნიშნათ (Zeichen) ჩაითვალოს და არა გამოხატულებათ, მიტომ რომ გამოხატულება ერთგვარად უნდა ჰგავდეს გამოსახატავ საგანს... ნიშნისთვის კი საჭირო არ არის არავითარი მსგავსება იმ საგანთან, რომლის ნიშანიც იგი არის" Vorträge und Reden S. 226. 1884 მეორე ტომისა). თუ შეგრძნება საგნის გამოხატულება კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი ნიშანი ან სიმბოლო, რომელსაც „არავითარი მსგავსება" არ აქვს მასთან, მაშინ ჰელმჰოლცის გამოსავალი მატერიალისტურ წარნამძღვარი ბათილდება, ხოლო გარეგანი საგნების არსებობა რამდენიმეთ საეჭვო ხდება, მიტომ რომ ნიშნებიანი სიმბოლოები შეიძლება არა რეალურ საგნებსაც ეხებოდეს, და ყველამ იცის ასეთი ნიშნების ანუ სიმბოლოების მაგალითები. ჰელმჰოლცი კანტის მიხედვით სცდილობს პრინციპიალური ხაზის მაგვარი რამ გამოიყვანოს „მოვლენასა" და „თავისთავად საგანს" შორის. ჰელმჰოლცი არ ეთანხმება პირდაპირს, აშკარა, ნათელ მატერიალიზმს, მაგრამ იგი ცოტათი ქვემოდ ამბობს: „მე არ ვიცი როგორ შეიძლებოდა იმ უკიდურესი სუბიექტური იდელიზმის სისტემის გაბათილება, რომელიც მოისურვებდა ცხოვრება ოცნებათ გამოეცხადებია. შეიძლება იგი საეგებისოთ, უაღრესად არადამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ, მეც მივემხრობოდი უკიდურეს უარისმყოფელს. მაგრამ შეიძლება ამ სისტემის თანმიმდევრად გატარება... რეალისტური ჰიპოთეზი, პირიქით, ენდობა ჩვეულებრივი თვითდაკვირვების მოწმობას (გამოთქმას: aussgae), რომლის მიხედვით გარკვეული მოქმედების მომდევნო აღქმის ცვლილებებს არავითარი ფსიქიური კავშირი არ აქვს ნებისყოფის წინამორბედს იმპულსთან. ეს ჰიპოთეზები სთვლის, რომ ყველაფერი რაც ყოველდღიური აღქმის დასტურდება, მატერიალისტური სამყარო ჩვენს გარეშე, ჩვენი წარმოდგენების დამოუკიდებლად არსებობს. უეჭველია, რომ რეალისტური ჰიპოთეზი ყველაზე უბრალოა, რომლის შედგენა ჩვენ შეგვი-

ძლია, გამოცდილი და დადასტურებულია ფართო გამოყენების წყალობით, ზედმიწევნით განსაზღვრულია თავის ცალკე ნაწილებში და ამიტომ უაღრესად გამოსადეგი და ნაყოფიერია როგორც მოქმედების საფუძველი (242 — 243.) ჰელმჰოლცის აგნოსტიციზმიც „მორცხვ მატერიალიზს“ ჰგავს, ჰექსლის ბერკლიანური იერიშების მაგივრათ, იგი კანტიანურ იერიშებს მიმართავს.

(იხ. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.)